



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტრუქტურული ერთეულების 2016 წლის
ანგარიშები

ხარისხის სამსახური-----	1
განვითარების სამსახური-----	6
საგარეო ურთიერთობების სამსახური-----	15
იურიდიული სამსახური -----	33
ადამიანური რესურსები მართვის სამსახური-----	40
შესყიდვების სამსახური-----	42
მატერიალური რესურსების მართვის სამსახური-----	44
საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სამსახური-----	49
საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის სამსახური -----	57
სტუდენტური დეპარტამენტი-----	94
ბიბლიოთეკა-----	105
გამომცემლობა -----	140
საუნივერსიტეტო ბაზები და დამხმარე ობიექტები-----	142
სტუდენტური აღრიცხვა ანგარიშის დეპარტამენტი-----	151
ილიაუნის თეატრი-----	152
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური-----	156
კანცელარია -----	157

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
2016 წლის ანგარიში**

2016 წლის მანძილზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- აუდიტი
- ახალი კვალიფიკაციების დამატება, აკადემიური და სასერტიფიკატე პროგრამები და მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სტუდენტების რეესტრის ბაზის მართვა;
- დიპლომები და კვალიფიკაციები;
- კვლევები;
- საერთაშორისო ბაზები და რეცენზიები.

აღნიშნული მიმართულებებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

აუდიტი

2016 წლის ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა სახელმწიფო აუდიტის სამუშაო ჯგუფთან უნივერსიტეტში არსებული შიდა ხარისხის მექანიზმების საკითხებზე. აუდიტის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა უნივერსიტეტში წარგენილ იქნა ნოემბერში. დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან და სკოლებთან სტუდენტური სერვისების და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მექანიზმების ჩამოყალიბებასა და დანერგვაზე.

ახალი კვალიფიკაციები

ახალი სამაგისტრო პროგრამების შემუშავების მიზნებისთვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იყო სამაგისტრო საფეხურის ორი კვალიფიკაცია: *რელიგიის კვლევები* და *ენისა და მეტყველების თერაპია*. შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, აღნიშნული კვალიფიკაციები დამატებულ იქნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტში.

აკადემიური პროგრამები და მარეგულირებელი დოკუმენტები

წლის განმავლობაში ფაკულტეტებთან და სკოლებთან თანამშრომლობით მომზადდა და პროგრამული აკრედიტაციის მიზნებისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იყო 15 პროგრამა. აქედან 9 პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია:

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (*სასერტიფიკატო, #6 17/03/2016*);
- საერთაშორისო ურთიერთობები - ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა) (*საბაკალავრო საფეხური, #104 19/08/2016*);
- International Relations (minor) (*საბაკალავრო საფეხური*);
- კულტურის მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა) (*საბაკალავრო საფეხური, #91 11/08/2016*);
- რელიგიის კვლევები (*სამაგისტრო საფეხური, #71 26/07/2016*);
- საზოგადოებრივი ურთიერთობები (*სამაგისტრო საფეხური, #72 26/07/2016*);

- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია (*სამაგისტრო საფეხური, #103 19/08/2016*);
- მინერალური რესურსების და ენერგეტიკის მართვა და მდგრადი განვითარება (*სამაგისტრო საფეხური, #102 19/08/2016*);
- საჯარო სამართალი და პოლიტიკა (*სამაგისტრო საფეხური, #101 19/08/2016*).

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების დასკვნების გათვალისწინებით, შეწყდა წარმოება ორ პროგრამაზე:

- კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (*საბაკალავრო საფეხური*)
- Computer Engineering (Major) (*საბაკალავრო საფეხური*)

ორმა საბაკალავრო პროგრამამ - კულტურის მენეჯმენტი (*#92 11/08/2016*) და Business Administration (tourism, management) (Major) (*#90 11/08/2016*) ვერ მიიღო აკრედიტაცია. ამასთან, პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, განახლებული საბაკალავრო პროგრამა Business Administration (tourism, management) (Major) ხელახლა იყო წარდგენილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ამ ეტაპზე მიღებულია პროგრამის დასკვნა.

ბიზნესის სკოლასთან და ISETთან თანამშრომლობით მომზადდა ორი საგანმანათლებლო პროგრამა:

- Economics (*საბაკალავრო საფეხური #21 21/09/2016*)
- Economics (*სამაგისტრო საფეხური #21 21/09/2016*).

ავტორიზაციის მიზნით, ორივე პროგრამა წარგენილი იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. უნივერსიტეტს მიენიჭა აღნიშნული პროგრამების ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების უფლებამოსილება.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების 2017 წლის ავტორიზაციის მიზნებისთვის განხორციელდა უნივერსიტეტში არსებული ყველა საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა/რეცენზია და უკუკავშირის მიცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტების/სკოლების ხარისხის სამსახურების უფროსებისა და კურიკულუმის ექსპერტებისათვის პროგრამების განახლებასთან დაკავშირებით ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან მიმართებით.

აკადემიურ საბჭოზე განსახილველად წარდგენილ იქნა დასკვნები უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სკოლების მიერ მომზადებული 13 სასერტიფიკატო პროგრამის შესახებ.

მარეგულირებელ დოკუმენტებთან მიმართებაში:

- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, განახლდა და დამტკიცდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებაში შესული ცვლილებების შესაბამისად, განახლდა ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- შემუშავდა და დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც

დამოუკიდებლად არსებული პროგრამის განხორციელების, მასზე მიღებისა და სერტიფიკატის გაცემის წესი;

Pearson-სა და English Books in Georgia-თან თანამშრომლობით განახლდა ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (შესაბამისი დოკუმენტები).

2016 წლის მაისში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიგზავნა ყველა მიმდინარე (2011, 2012, 2013, 2014, 2015 წლებში აკრედიტებული) პროგრამის თვითშეფასების ანგარიში. ამავე წლის ივნისში ცენტრში წარდგენილ იქნა ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიში.

პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით დანერგა Turnitin პროგრამასამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტების ფარგლებში. ილიას სხელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ორგანიზება გაუწია კომპანია Turnitin-ის წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ???? პრეზენტაციას უნივერსიტეტის სივრცეში.

სტუდენტების რეესტრის ბაზის მართვა

2016 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელი იყო უნივერსიტეტის სტუდენტთა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზის მართვაზე. კერძოდ, სამსახური მონიტორინგს უწევდა შესაბამის ფაკულტეტებს სტუდენტების მონაცემების შეყვანის, ცვლილებების ასახვის და კორექტირების საკითხებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და შიდასაუნივერსიტეტო ვადების დაცვით. ბაზის მონიტორინგის შედეგები აისახება შესაბამისი გრანტების ჩარიცხვის სისწორესა და სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისის ხელმისაწვდომობაზე.

დიპლომები და კვალიფიკაციები

2016 წლის მარტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იურიდიულ სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავა და დასამტკიცებლად მოამზადა „კურსდამთავრებულთათვის უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომებისა და დიპლომის დუბლიკატების შევსების მიზნით ინფორმაციული ბარათების ფორმებში“ შესატანი ცვლილებების პროექტი; წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახდენდა გასული წლების კურსდამთავრებულთა დიპლომებისა და დიპლომის დუბლიკატების გაცემისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოძიებასა და შემოწმებას; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებდა კურსდამთავრებულთა სახელზე დიპლომების გაცემის მიზნით ფაკულტეტების/სკოლების მიერ წარდგენილ მონაცემებს; ამასთან, სამსახური უწევდა კონსულტაციებს შესაბამისი საინფორმაციო ფორმებისა და დიპლომის დანართების შევსების თაობაზე. ამჟამად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ კურსდამთავრებულთა სახელზე გასაცემი სერტიფიკატებისა და დანართების ფორმების შემუშავებასა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შესათანხმებლად მომზადებაზე.

კვლევები

2012-2013 სასწავლო წლიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აამოქმედა სწავლის, სწავლების და კვლევის ციკლური სისტემა, რაც გულისხმობს ყველა საფეხურზე სტანდარტული

ინსტრუმენტებით გარკვეული პერიოდულობით სტუდენტთა გამოკითხვას არგუსის ელექტრონული სისტემის საშუალებით. შეფასების ეს მოდელი იძლევა როგორც სასწავლო პროცესის ციკლური შეფასების და წლების მიხედვით ამ შედეგების შედარების, ასევე საუნივერსიტეტო რესურსებისა და საჭიროებების შესწავლის საშუალებას. კვლევის დასრულების შემდეგ შედეგები განიხილება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და იგეგმება ცვლილებები. ის ანგარიშები, რომლებიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იტვირთება მოიცავს, როგორც შედეგების მოკლე მიმოხილვას, ისე ინფორმაციას ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი ინტერვენციების შესახებ.

2014-2015წლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობდა არგუსის ელექტრონული სისტემაში კვლევითი მოდულის დახვეწაზე. განხორციელებულმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა სემესტრის ბოლო ყველა საფეხურის, ყველა კურსის შეფასების განხორციელება და და ნიშნების განაწილებები ხელმისაწვდომია თითოეული ლექტორისათვის და ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის წარმოადგენლებისათვის.

ჯამურად 2016 წლის განმავლობაში ათი კომპლექსური კვლევა განხორციელდა, კვლევების ნაწილი იყო ციკლური (კურსების და პროგრამების შეფასება), ნაწილი კი - სასწავლო წლის მანძილზე წარმოქმნილი საჭიროებებიდან გამომდინარე დაიგეგმა. კვლევებში პასუხების მაჩვენებელი მინიმალურ ნიშნულზე ბევრად მაღალია, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების სანდოობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო და კვლევითი პროცესის შეფასების რაოდენობრივი მეთოდების გარდა თვისებრივ მეთოდებსაც იყენებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევითი მიმართულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სტუდენტების ჩართვა კვლევით საქმიანობაში. კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები მონაწილეობენ სატელეფონო გამოკითხვებში, ფოკუს-ჯგუფების მოდერაციაში და მონაცემების შეყვანა - დამუშავებაში.

განხორციელებული კვლევები და აქტივობები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საჭიროებისა და აქტუალობის ანალიზი.
- ინგლისური ენის კურსის 2015 წლის შემოდგომის სემესტრის ანალიზი;
- 100 ქულიანი შეფასებების მაღალი წილის მქონე საგნების ანალიზი;
- 2014 წლის საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.
- „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ კურსის შეფასება;
- "ევროსტუდენტი VI" საველე სამუშაოების კოორდინირება
- სასწავლო პროცესის შეფასება საფეხურების და საგნების მიხედვით;
- აუდიტის შეფასების პროექტის კვლევით კომპონენტში თანამშრომლობა;
- 2015 წლის ეროვნული გამოცდების შედეგების შედარებითი ანალიზი;
- სტუდენტების საჭიროებათა ანალიზი;
- ინგლისური ენის კურსის შუალედური შეფასება - მიმდინარე
- ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ამავე პროგრამის სტუდენტებს ინფორმირებულობის კვლევა - მიმდინარე;
- კურსდამთავრებულთა კვლევის დაგეგმვა, კოორდინირება - მიმდინარე;

საერთაშორისო ბაზები და რეცენზიები

2016 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დახმარებას უწევდა სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს პუბლიკაციების გამოქვეყნების მიზნით საერთაშორისო რეფერირებადი და იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალების მოძიებაში.

ასევე, სამსახური ამზადებდა დასკვნებს დოქტორანტების მიერ გამოქვეყნებული სტატიების შესაბამისობაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების მოთხოვნებთან, ჟურნალების საერთაშორისო რეფერირებისა და მათი იმპაქტ ფაქტორის გათვალისწინებით. აგრეთვე უზრუნველყოფდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დასაბეჭდად წარმოდგენილი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების საერთაშორისო რეცენზირებას. ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებული მასალების განხილვის საფუძველზე მომზადდა დასკვნა აკადემიური ჟურნალისათვის „ისტორიის რეკონსტრუქციები“ უნივერსიტეტის სახელისა და ლოგოს მინიჭების თაობაზე.

2016 წლის განმავლობაში ხარისხის სამსახურის მიერ გამოვლინდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთათვის დაწესებული პასკალის პრემიის 4 ლაურეანტი.

განახლდა და გაიზავნა უნივერსიტეტის 2015 წლის მონაცემები აკადემიური პერსონალის, საერთაშორისო პარტნიორებისა და დამსაქმებლების შესახებ QS უნივერსიტეტების რანჟირებაში მონაწილეობის მოთხოვნების შესაბამისად.

განვითარების სამსახურის 2016 წლის ანგარიში

გრანტების მიმართულება

I. ადგილობრივი გრანტები

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

2016 წლის მაისში შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა კონკურსი სეზონური სკოლების ორგანიზებასთან დაკავშირებით. განვითარების სამსახურის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით კონკურსზე წარდგენილ იქნა შემდეგი საპროექტო განაცხადი:

1. ელექტრო - მაგნიტური თავსებადობისა და სიგნალის მთლიანობის თანამედროვე (პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი ვეშაპიძე) პროექტი რეგიონულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ითვალისწინებდა მასში მონაწილე სტუდენტებისთვის მიწოდებინა ინფორმაცია, თუ რა აკადემიური და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები არსებობს ამ დარგში: გაეცნონ, თუ როგორ ხდება მჭიდრო თანამშრომლობა ელექტრული ინჟინერიის მსხვილ კომპანიებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის აშშ-ში, როგორ უწყობს ხელს მათი ერთობლივი კვლევითი პროექტები ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო სფეროს ურთიერთდაკავშირებულ სწრაფ განვითარებას.
2. განვითარების სამსახურმა ასევე ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა რუსთაველის ფონდის სხვადასხვა კონკურსებში წარსადგენ საგრანტო განაცხადებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა მონაწილეობით.

II. საერთაშორისო გრანტები

2016 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ხორციელდებოდა 74 საერთაშორისო გრანტი. 43 გრანტი არის წინა წლებში მიღებული გრანტების გაგრძელება, ხოლო 31 გრანტის რეგისტრაცია მოხდა 2016 წელს. მიმდინარე საერთაშორისო რეგისტრირებული გრანტების საერთო ბიუჯეტი შეადგენს 11,320,265.49 ლარს. ამ ჩამონათვალში არ შედის ერასმუს+ის 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 5 გრანტი, რომელთა რეგისტრაცია მოხდება 2016 წლის დასასრულს, ან მომავალი წლის დასაწყისში. ამ გრანტების ბიუჯეტი შეადგენს 1,279,087 ლარს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერასმუს+ის 2016 წელს მიღებული გრანტი “Assisting Better Communication” (ABC), რომელიც აერთიანებს 16 უმაღლეს სასწავლებელსა და ორგანიზაციას და რომლის კოორდინატორიც არის ილიას უნივერსიტეტი. ამ პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 998,416 ევროს (=2,755,628 ლარი), ხოლო ილიას უნივერსიტეტისთვის ამ საერთო თაქსიდან გამოყოფილია 191,664 ევრო (=528,993 ლარი)

1. ინსტიტუციური განვითარების პროექტები Erasmus+ CBHE საგრანტო პროგრამა (ყოფილი ტემპუსი)

შეხვედრები და კონსულტაციები

2016 წლის 21 ოქტომბერს - სამიზნე ჯგუფებს დაეგზავნათ დეტალური ინფორმაცია გამოცხადებული საგრანტო კონკურსის და მისი პირობების შესახებ.

2016 წლის 21 ოქტომბერს - სამიზნე ჯგუფებში დაიგზავნა ინფორმაცია ახალი საგრანტო კონკურსის და საინფორმაციო დღის ორგანიზების შესახებ დაინტერესებულ პირთათვის ზოგადად, რომელსაც ორგანიზება გაუწია Erasmus+-ის ეროვნულმა ოფისმა.

2016 წლის 9 ნოემბერი - ინსტიტუციური განვითარების საგრანტო კონკურსისადმი მიძღვნილ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს როგორც განვითარების სამსახურის წარმომადგენლებმა, ასევე უნივერსიტეტიდან სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

2016 წლის ნოემბერის ბოლო - განვითარების სამსახურიდან უნივერსიტეტის დეკანებს დაეგზავნათ დეტალური ინფორმაცია გამოცხადებული საგრანტო კონკურსის და მისი პირობების შესახებ. ასევე შედგა ინდივიდუალური შეხვედრები, რათა პოტენციური საგრანტო იდეების შესახებ მომხდარიყო ინფორმაციის აკუმულირება.

კავშირები საერთაშორისო პარტნიორებთან

ინსტიტუციური განვითარების პროექტებზე გამოცხადებული საკონკურსო პერიოდის განმავლობაში განვითარების სამსახურმა განახორციელა შემდეგი სახის აქტივობები:

- ზოგადი წერილის მომზადება ინსტიტუციური განვითარების საგრანტო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის ევროპელი და რეგიონული პარტნიორებისადმი. აღნიშნული წერილი ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუციური განვითარების პროექტებში.
- უნივერსიტეტის საპროექტო იდეების გადაგზავნა ევროპელ უნივერსიტეტებთან და პოტენციური პარტნიორების მოძიება.
- ევროპელი და რეგიონული უნივერსიტეტებიდან მიღებული საპროექტო იდეების განხილვა, დამუშავება და შეთანხმება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან.
- შვედეთის და ესტონეთის დელეგაციის ვიზიტისას ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება და მათთვის პოტენციური საგრანტო იდეების პრეზენტაცია.

საპროექტო კონცეფციები

ა. ილიას უნივერსიტეტიდან წარდგენილი საპროექტო იდეები

ინსტიტუციური განვითარების კონკურსზე წარსადგენად განვითარების სამსახურმა დაამუშავა შემდეგი საპროექტო იდეები:

- Integration of Innovative Methods of Teaching Entrepreneurship in Business and Engineering Curriculum
- Developing advanced, interdisciplinary educational programme (executive, master or certificate) in European Integration and Sustainable Development
- Small and Medium Business Development in Vineyard & Winery Management
- Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia
- Modernizing and Increasing Accessibility of Library
- Clustering the Regional Black Sea Studies Actors and strengthening Black Sea Cluster (აღნიშნული პროექტი შარშან წარადგინა განვითარების სამსახურმა დასაფინანსებლად. პროექტმა ვერ მიიღო დაფინანსება. განვითარების სამსახური გეგმავს პროექტის კონსორციუმის გაფართოებას და მეტი ევროპელი თუ რეგიონული პარტნიორების ჩართვას)

ამჟამად საპროექტო კონცეფციები დაგზავნილია ევროპულ და ადგილობრივ პარტნიორებთან და რამდენიმე უნივერსიტეტისგან მიღებულია თანხმობა პროექტის პარტნიორობაზე.

ბ. ევროპელი უნივერსიტეტებისგან მიღებული საპროექტო იდეები

ევროპელი უნივერსიტეტებიდან ჯერ-ჯერობით შემოვიდა რამდენიმე შემოთავაზება ილიას უნივერსიტეტის როგორც კონსორციუმის წევრი ორგანიზაციის ჩართვასთან დაკავშირებით, კერძოდ შემდეგ პროექტებში:

- ASSEssment Tools for new learning environments in higher education institutions (ASSET)
- Enhancing Development Studies at HEIs of partner countries

თითოეული შემოთავაზების შემთხვევაში განვითარების სამსახური უკავშირდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებს ან რელევანტურ სტრუქტურულ ერთეულს და მათთან განიხილავს შემოთავაზებულ პროექტებში მონაწილეობის პერსპექტივებს და რელევანტურობას. ზემოთ ჩამოთვლილი პროექტები ამჟამად განხილვის პროცესშია და შეთანხმებულია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შემდგომი მოსამზადებელი სამუშაოებისთვის.

2016 წლის თებერვალში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით წარდგენილ იქნა 20 საპროექტო განაცხადი (აქედან 2 საპროექტო განაცხადი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინირებით). აღნიშნული პროექტებიდან საქართველოს მასშტაბით დაფინანსდა მხოლოდ 9 პროექტი, რომლიდანაც 5 პროექტში მონაწილეობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც გრანტის მიმღები ორგანიზაცია (1 პროექტი), ასევე პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსით (4 პროექტი). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით დაფინანსებული პროექტებია:

- ✓ Assisting Better Communication (ABC) - პროექტის კოორდინატორი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საკონტაქტო პირი უნივერსიტეტიდან - ნინო ცინცაძე
- ✓ Action research to innovate Science teaching and career orientation (ARTIST)- პროექტის კოორდინატორი ბრემენის უნივერსიტეტი; საკონტაქტო პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან - მარიკა კაპანაძე
- ✓ Curriculum reform for promoting Civic Education and Democracy in Teacher-Training Programs (CURE) - პროექტის კოორდინატორი - გორდონის აკადემიური კოლეჯი ისრაელში; საკონტაქტო პირი უნივერსიტეტიდან - შორენა მაღლაკელიძე
- ✓ Educational for Drone (eDrone) - პროექტის კოორდინატორი სანიოს უნივერსიტეტი იტალიაში; საკონტაქტო პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში - ნინო დვალიძე
- ✓ Paving the way to interregional mobility and ensuring relevanc, quality and equity of access – PAWER - პროექტის კოორდინატორი - ლაქვილას უნივერსიტეტი იტალიაში; საკონტაქტო პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში - ნინო დვალიძე

2. ჰორიზონტი 2020 (Horizon 2020)

საინფორმაციო შეხვედრები პროფესორებთან

2013 წლის დეკემბრის თვეში გამოცხადდა ევროპული კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ახალი შვიდწლიანი პროგრამა Horizon 2020, რომელმაც ჩაანაცვლა მეშვიდე ჩარჩო პროგრამა. ამასთან დაკავშირებით განვითარების სამსახურმა პროფესორებთან ჩაატარა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა, სადაც პროფესორები გაეცნენ პროგრამაში მონაწილეობის პირობებს. 2016 წელს (ივლისი - სექტემბერი) დაიგეგმა და შედგა შეხვედრები იმ სამეცნიერო ჯგუფებთან და პროფესორებთან, რომელთაც გამოთქვას პროგრამაში მონაწილეობის სურვილი. განვითარების სამსახური მიზნობრივად აგზავნიდა ინფორმაციას საგრანტო კონკურსების შესახებ სხვადასხვა მიმართულებით და აკავშირებდა ქართველ პროფესორებს უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი განაცხადების მომზადების მიზნით. სამსახური განაგრძობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს საპროექტო განაცხადების მომზადებასთან დაკავშირებით ამ დროისთვის ჰორიზონტი 2020-ის სხვადასხვა სტეპში ილიას უნივერსიტეტის მონაწილეობით მზადდება შემდეგი პროექტები:

Community Learning, Open Understanding and Discovery in Science (CLOUDS) - პროექტი მიზნად ისახავს განავითაროს საოჯახო სამეცნიერო გამოწვევები (Family Science Challenges). საოჯახო სამეცნიერო გამოწვევები არის რიგი სასწავლო აქტივობებისა, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში გააერთიანებს სკოლის მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სკოლებსა და მასწავლებლებს, სამომავლო დამსაქმებლებს და ზოგადად საზოგადოებას გამოიკვლიონ ცხოვრებისეული სამეცნიერო პრობლემები. არაფორმალური ინტერაქციის მეშვეობით საფუძველი ჩაეყრება სამეცნიერო კაპიტალს, რომელიც საზოგადოებას მისცემს შესაძლებლობას იყოს უკეთ ინფორმირებული მეცნიერების შესახებ. ამავდროულად ბავშვები და მათი მშობლები მეტად ჩართულები იქნებიან სამეცნიერო აქტივობებში.

პროექტის კოორდინატორია - Sheffield Institute of Education, Sheffield Hallam University

(Academic diplomacy on accessibility and inclusion in higher education) ENG-GLOBALLY - პროექტის ძირითადი მიზანია ინკლუზიური პოლიტიკის აქტუალიზაცია, რომელსაც შეუძლია უმაღლესი განათლების სფეროში მარგინალიზებული მოსახლეობის ჩართულობის ამაღლება.

პროექტის კოორდინატორია - University of Haifa

Ultra-high energy cosmic-rays: Novel particle acceleration mechanism in astrophysical compact objects (UHECoR) - პროექტის მიზანია შევიმუშავოთ პულსარის ბრუნვის შენელების ხარჯზე ნაწილაკების ეფექტური აჩქარების თეორიული მოდელი. მივიჩნევთ, რომ პულსარის მაგნიტოსფეროში მიმდინარე ფიზიკური პროცესები იძლევიან ნაწილაკების აჩქარების პლაზმური მექანიზმების განხორციელების შესაძლებლობას. ულტრარელატივისტური ელექტრონულ პოზიტრონული პლაზმა მოთავსებულია პულსართან ერთად მბრუნავ ძლიერ მაგნიტურ ველში. მაგნიტური ველის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ თავისუფლად უზრუნველყოფს პლაზმის ნაწილაკთა ველში 'ჩაყინულობას' და ისინი მიჰყვებიან ვარსკვლავთან ერთად მბრუნავ მაგნიტურ ძალწირებს. რაც ბრუნვის ენერჯის ნაწილაკებში გადატუმბვის საშუალებას იძლევა. მოცემულ პროექტში წარმოგიდგენთ ნაწილაკების ენერჯიაში ცენტრალური ობიექტის ბრუნვის ენერჯის გადატუმბვის თვისებრივად ახალ პარამეტრული არამდგრადობის რელატივისტურ მექანიზმს.

პროექტის წარმდგენი: Ilia State University - უნივერსიტეტის მხრიდან საკონტაქტო პირი - ნინო ჩხეიძე.

3. APPEAR (Austrian Partnership Programme in Higher Education and Research for Development)

ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შესახებ განვითარების სამსახური აქტიურად ავრცელებდა ინფორმაციას უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებს შორის. დამატებით, განვითარების სამსახური:

- კონსულტაციას უწევდა პროექტში მონაწილეობით დაინტერესებულ პირებს საგრანტო კონკურსების რეგულაციების შესახებ
- ეხმარებოდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ავსტრიელი პარტნიორების მოძიებასა და კონსორციუმის შექმნაში
- კომუნიკაციას აწარმოებდა დონორ ორგანიზაციასთან

მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში განვითარების სამსახური აქტიურად მონაწილეობდა საპროექტო განაცხადის მომზადებაში, უწევდა კონსულტაციებს ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით. პროექტი ეხება არასამთავრობო სექტორის შესაძლებლობების განვითარება და ერთობლივ სასერტიფიკატო პროგრამების შექმნა მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ისევე როგორც ერთობლივი ცენტრის ჩამოყალიბება არამომგებიანი სფეროს კვლევით მიმართულებაში.

პროექტი შევიდა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და ველოდებით ინფორმაციას დაფინანსების შესახებ.

4. BIAL FOUNDATION

მიმდინარე წლის ივლისში განვითარების სამსახური უნივერსიტეტის პროფესორ სიმონ სურგულაძესთან ერთად ამზადებდა საგრანტო განაცხადს ბიალის ფონდში წარსადგენად.

მომზადა საპროექტო განაცხადის შინაარსობრივი, საბიუჯეტო და ტექნიკური ნაწილი. საპროექტო განაცხადი სახელწოდებით Self-compassion and empathy as predictors of subjective well-being: neurophysiological study და გადაიგზავნა დასაფინანსებლად. ჯერ-ჯერობით კონკურსის შედეგები.

5. CEU VISITING FELLOWS

მიმდინარე წლის ივნისის და ივლისის თვეში მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკება ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის წარმომადგენელთან, რათა გლობალური სასწავლო პროგრამის ფარგლებში (CEU Global Teaching Fellowship Program) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოგვეწვია რამდენიმე აკადემიური პერსონალი, რომლებიც წაიკითხავდნენ სალექციო კურსს მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. დაინტერესება გამოთქვა რამდენიმე კანდიდატმა, რომლებთანაც ჩატარდა გასაუბრება და შეირჩა 1 კანდიდატი, რომლის მოწვევაც შესაძლებელია განხორციელდეს მომავალ წელს.

6. SOFT LOAN PROJECT FROM THE AUSTRIAN GOVERNMENT

განვითარების სამსახურის უშუალო მონაწილეობით მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა მუშაობა საპროექტო განაცხადზე, რომელიც ითვალისწინებს ტურიზმის კოლეჯის გახსნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. ამ ეტაპისთვის ჩატარებულია შემდეგი ტიპის აქტივობები:

- მომზადებულია პროექტის კონცეპტუალური ნაწილი შემდგომი ნაბიჯებისთვის, რომელიც საქართველოს მთავრობის შესაბამისი უწყებების თანხმობის შემთხვევაში შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ შეღავათიანი გრძელვადიანი სესხი ავსტრიის მთავრობისგან.
- შედგენილია პროექტის ბიზნეს გეგმა, რომელიც გადაგზავნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან განსახილველად.
- მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოს და ავსტრიის მთავრობის წარმომადგენლებთან.

7. MCA

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ გამოცხადდა კონკურსი პროფესიული განათლების პროგრამების განვითარების მიზნით, განვითარების სამსახურის უშუალო მონაწილეობით მომზადდა 3 საპროექტო განაცხადი. აღნიშნული განაცხადებიდან ორმა გადალახა პირველი ეტაპი და შესაბამისი საპროექტო განაცხადები მომზადდება საბოლოო ეტაპზე წარსადგენად და განსახილველად. ორივე საპროექტო წინადადებაში გაიარა საგრანტო კონკურსის შესარჩევი ყველა ეტაპი. საბოლოო ეტაპზე გასული საგრანტო განაცხადებია:

- ✓ ნულიდან აპლიკაციის განვითარებამდე - საგრანტო განაცხადი მომზადდა ავსტრიელ პარტნიორებთან ერთად და ითვალისწინებს აპლიკაციების განვითარების 16 თვიანი პროგრამის შემუშავებას. პროექტი 2 წლიანია.

✓ საჯარო-კერძო პარტნიორობის კონსორციუმში: ერთი ფანჯრის პრინციპი სათავგადასავლო ტურიზმის პროფესიებისთვის - საგრანტო განაცხადი მომზადდა საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციასთან თანამშრომლობით და მისი მიზანია სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით პროფესიული პროგრამის შემუშავება. პროექტი 2 წლიანია.

პროექტი სახელწოდებით ერთი ფანჯრის პრინციპი სათავგადასავლო ტურიზმის პროფესიებისთვის დაფინანსდა, თუმცა პარტნიორებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ილიას უნივერსიტეტი აღარ მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსით.

8. VOLKSWAGEN FOUNDATION STRUCTURED DOCTORAL PROGRAMMES

განვითარების სამსახურისა და გოტინგენის უნივერსიტეტის უშუალო მონაწილეობით მომზადდა პირველადი საგრანტო განაცხადი ფოლკსვაგენის ფონდში წარსადგენად. საგრანტო პროექტი მიზნად ისახავს სტრუქტურული სადოქტორო პროგრამების დაფუძნებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. მოამზადა საპროექტო განაცხადის შინაარსობრივი, საბიუჯეტო და ტექნიკური ნაწილი.

საპროექტო განაცხადი დაფინანსდა. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები პროექტის შემდგომ ეტაპზე წარსადგენად სრული დაფინანსების მოსაპოვებლად, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი აწარმოებს საჭიროებათა ანალიზის კვლევას, კრიტიკული ესეების მომზადებას სხვადასხვა ექპერტების ჩართულობით და მასპინძლობს სამუშაო შეხვედრას გერმანელი კოლეგების მონაწილეობით.

9. TETRA TECH/USAID (GGI-RFA-001 – “Informed Decision Making – Accountable Governance

საჯარო პოლიტიკის კვლევებისა და ტრენინგის ცენტრთან ერთად განვითარების სამსახურმა მოამზადა საგრანტო განაცხადის შინაარსობრივი, საბიუჯეტო და ტექნიკური ნაწილი. საპროექტო განაცხადის მიზანი იყო საქართველოში პოლიტიკისა და სამართალწარმოების პროცესების გამლიერების ხელშეწყობა საჯარო პოლიტიკის სფეროში მიმდინარე თანამედროვე დისკურსის საჯარო მოხელეებისთვის გაცნობით და მათთვის გრძელვადიანი სასწავლო კურსების შეთავაზებით.

განაცხადი წადგენილ იქნა ფონდში და მიიღო დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- საქართველოს პარლამენტის სამი კომიტეტის (ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტები), საბიუჯეტო ოფისისა და კვლევითი დეპარტამენტის 75 თანამშრომელი გადამზადდა PPRTC-ის მიერ ორგანიზებული სასწავლო პროგრამებით. მათ შორის იყო ისეთი კურსები, როგორებიცაა: პოლიტიკის მოკლე დოკუმენტის შემუშავება, რეგულირების გავლენის შეფასება: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ინტერნეტ-კვლევა და ანალიზი, დოკუმენტების ანალიზი და მიღებული შედეგების წარდგენა, რეგულირების გავლენის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები და სხვ.
- შემუშავდა და დაიბეჭდა საჯარო ჩართულობის გზამკვლევი საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისა და თანამშრომლებისათვის, რომელიც გამოქვეყნდა PPRTC-ის ვებ და Facebook გვერდებზე. უახლოეს მომავალში ნაბეჭდი ვერსია გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს
- განხორციელდა სტაჟირების პროგრამა. PPRTC-მა შეარჩია და პარლამენტის სამ კომიტეტში წარგზავნა სტაჟიორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსა და ქართულ აკადემიას შორის კავშირების გაბმას და შესაბამისად, კვლევისა და მტკიცებულებების როლის გაძიერებას საკანონმდებლო პროცესის წარმოებაში
- ტრენინგ-კურსის „პოლიტიკის მოკლედ დოკუმენტის შემუშავება“, მონაწილეებმა შექმნეს 18 დოკუმენტის საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა თემატიკაზე, მათ შორის: ჯანდაცვაზე, უსაფრთხოებაზე, გალაქგემარებაზე, კაპიტალურ და პროგრამულ ბიუჯეტირებასა და ა.შ. დოკუმენტები გამოქვეყნდა საჯარო პოლიტიკის კვლევისა და ტრენინგების ცენტრის ვებ და facebook გვერდებზე

2017 წლიდან იგეგმება პროექტის გაგრძელება. მისი მიზანი კვლავ იქნება საკანონმდებლო და პოლიტიკის პროცესების გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში. შენარჩუნდება ტრენინგების კომპონენტი, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგულირების გავლენის შეფასებას, რადგან 2017 წლიდან საქართველოს ყველა საჯარო უწყებას, რომელიც ჩართულია საკანონმდებლო პროცესებში დაევალება თითოეულ საკანონმდებლო წინადადებასა და კანონპროექტზე წარმოადგინოს რეგულირების გავლენის ანალიზი. ასევე შენარჩუნდება სტაჟირების კომპონენტიც, შესაძლოა სტაჟიორთა რაოდენობის გაზრდაც მოხდეს, რათა იგი უფრო პროდუქტიული და ეფექტიანი გახდეს.

10. JOHN TEMPLETON FOUNDATION

შეველდ ჰალამის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და მათთან ერთად განხორციელებული ჰორიზონტი 2020-ის პროექტის "ჯაჭვური რეაქცია" საფუძველზე მომზადდა პროექტის გაგრძელების ინიციატივის საპროექტო განაცხადი ერთობლივი კვლევისთვის ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა კონსტრაქტების შესახებ.

სხვა აქტივობები

1. მიმდინარე კონკურსები

ილიას უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მთელი წლის მანძილზე აგზავნის ინფორმაციას სხვადასხვა მიმდინარე საგრანტო და კვლევით კონკურსებთან დაკავშირებით. საერთო ჯამში განვითარების სამსახურმა დააგზავნა ინფორმაცია 65-ზე მეტ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შესახებ რელევანტურ სამიზნე ჯგუფებში. ასევე განვითარების სამსახური აგზავნის სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე ინფორმაციას (საერთაშორისო კონფერენციები, მცირე სამოგზაურო გრანტები, ვებინარები), რომლებიც დაეხმარება უნივერსიტეტის პროფესორას იპოვოს პოტენციური პარტნიორი საგრანტო განაცხადებისა თუ კვლევებისთვის.

2. მიმდინარე საერთაშორისო გრანტების ფინანსური და ადმინისტრაციული მონიტორინგი

მთელი წლის მანძილზე განვითარების სამსახური ჩართულია ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროგრამების (ტემპუსი, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროგრამების (ტემპუსი, Erasmus+ CBHE, Horizon 2020, Jean Monnet და ა.შ.) და სხვა დონორების მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტების ფინანსურ და ადმინისტრაციულ მონიტორინგში, არეგისტრირებს საერთაშორისო გრანტებს, აწარმოებს კომუნიკაციას დონორებთან, ადგენს ფინანსურ და ნარატიულ ანგარიშს დონორის მოთხოვნების შესაბამისად.

მეცნიერების პოპულარიზაციის პროექტები

1. სამეცნიერო პიკნიკი

2016 წლის 24 სექტემბერს, ვაკის პარკში, თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა ილიაუნის მეხუთე სამეცნიერო პიკნიკი, სადაც წელს წარმოდგენილი 50 კარვიდან, ხუთში წარმოდგენილი იყო ილიაუნის ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების ქსელის წევრი სკოლების აქტივობები. 45 კარავში, კი წარმოდგენილი იყო სამეცნიერო ჯგუფები თბილისის და რეგიონის სკოლებიდან და უნივერსიტეტიდან. სამეცნიერო პიკნიკზე, ისრაელიდან და პოლონეთიდან მოწვეულმა ანიმატორებმა, წარმოადგინა სასცენო შოუ, რომელიც ყველა ასაკის ვიზიტორისთვის ერთიანად საინტერესო და სახალისო იყო. ღონისძიებაზე გამოვლინდა ვიდეო კონკურსის გამარჯვებული მოსწავლეები, რომლებსაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბილაინის და ექსპერიმენტორიუმის საჩუქრები გადაეცათ. კონკურსში მონაწილეობას იღებდა 100-მდე მოსწავლე. ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკზე მონაწილეობა მიიღო ილიაუნის სამოცდაათამდე მოხალისე სტუდენტმა.

2. ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების ქსელის პროექტი მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებდა მცირე პროექტებს ქსელში გაწევრიანებული სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. ქსელში ამ დროისთვის გაწევრიანებულია საქართველოს სკოლებში არსებული 100 კლუბი, 120-მდე მასწავლებელი და 2000-მდე მოსწავლე. 2016 წლის განმავლობაში, კლუბების ქსელის წევრი სკოლების მიერ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 262 სამუშაო შეხვედრა. ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის პროექტის მიზანია სხვადასხვა ასაკობრივი და სხვადასხვა ინტერესების მქონე მოზარდი თაობის ერთ სივრცეში გაერთიანება საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტების ერთად ჩატარების მიზნით, საიდანაც ყალიბდება ახალი ტიპის ურთიერთობები მოსწავლესა და მასწავლებელს შორის.

3. სამეცნიერო პიკნიკი და სასწავლო ტური ვარშავაში

კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში, 2016 წლის 5-8 მაისს, პოლონეთის ქალაქ ვარშავაში, ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების პროექტის ფარგლებში, ერთმა მასწავლებელმა თავის მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ვარშავის სამეცნიერო პიკნიკზე და დაეუფლენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისა და პოპულარიზაციის უახლოეს მეთოდებს. მოსწავლეები გაეცნენ კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის მუშაობის სპეციფიკას, ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების ჩამოყალიბების, მუშაობისა და განვითარების სტრატეგიებს. აღნიშნულ სამეცნიერო პიკნიკზე ილიაუნის სახელით მონაწილეობას იღებდნენ ილიაუნის მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებიც, რომლებმაც ინსტიტუტში მიმდინარე კვლევები უცხოელ დამთვალიერებლებს საინტერესო ფორმით წარუდგინეს.

4. კრეათონი

გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში, 2016 წლის 14-20 ნოემბერს, ილიაუნის ახალგაზრდა

მკვლევართა კლუბების ქსელმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინოვაციების, მობილური და კომპიუტერული თამაშების ლაბორატორიასთან ერთად, განახორციელა კრეათონი - სამაგიდო თამაშიდან ბიზნესამდე. პროექტი ჩატარდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

კრეათონი - სამაგიდო თამაშიდან ბიზნესამდე უნიკალური შესაძლებლობაა მოზარდებისთვის, მეგობრულ და მხიარულ გარემოში მუშაობის საფუძველზე, მოსინჯონ კრეატიული იდეები და შექმნან თამაში აქამდე უცნობ თანატოლებთან ერთად. ღონისძიება მოიცავდა მონაწილეების უნარ-ჩვევების ასამაღლებელ ტრენინგს და კონკურსის ფარგლებში წარმატებული პროექტების პროტოტიპის შექმნას.

პროექტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რეგიონების 50-მა მოსწავლემ, რომლებმაც ერთობლივად შექმნეს 10 სამაგიდო თამაში, მათგან 4 საუკეთესო თამაშის ავტორი მოსწავლეები კი მთელი წლის განმავლობაში იმუშავებენ პროტოტიპის დახვეწასა და ბიზნეს გეგმის შემუშავებაზე.

5. სამეცნიერო კაფე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კაფის პროექტის ფარგლებში, წლის განმავლობაში ჯამში ჩატარდა 18 შეხვედრა, რამაც მოიცვა 540-ზე მეტი მსმენელი. ილიაუნის სამეცნიერო კაფის მიზანია ცნობილი მკვლევარების მეცნიერებით დაინტერესებულ ადამიანებთან დაკავშირება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და საბუნებისმეტყველო დარგების პოპულარიზება. აკადემიური წლის ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს სამეცნიერო კაფეში იმართება საინტერესო შეხვედრები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს აქვს შესაძლებლობა, პროფესიონალი მეცნიერებისგან მიიღოს საჭირო და მისთვის საინტერესო ინფორმაცია. შეხვედრებს აქვს არა ლექციის, არამედ საუბრის ფორმა და მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმატით:

- ✓ ილიაუნის პროფესორების, მკვლევრების და დოქტორანტების სამეცნიერო კვლევების პრეზენტაციები;
- ✓ მსოფლიო სამეცნიერო სიახლეების პრეზენტაცია - Journal Club;
- ✓ ილიაუნის სტუდენტების და მკვლევრების შთაბეჭდილებების პრეზენტაცია იმ ქვეყნების შესახებ, რომლებშიც იმოგზაურეს - მოგზაურთა კლუბი;
- ✓ ახალგაზრდა მკვლევრების მიერ წარმოებული კვლევების პროგრეს-რეპორტები - მრჩეველთა კლუბი;
- ✓ სტუდენტური კვლევების შესახებ ანგარიშების პრეზენტაცია;
- ✓ შეხვედრები მოწვეულ ლექტორებთან;
- ✓ თავისუფალი თემა.

2016 წელს, მეცნიერების პოპულარიზაციის პროექტების ფარგლებში სტაჟირება გაიარა ილიაუნის 8 სტუდენტმა. ორი მათგანის დახმარებით პოლონურიდან ითარგმნა 300 სახალისო ექსპერიმენტი, რომლებიც ამჟამად გადის რედაქტირებას და მისი საიტზე განთავსება იეგმება უახლოეს მომავალში.

საგარეო ურთიერთობების სამსახურის 2016 წლის ანგარიში

1. გაცვლითი პროგრამები

ერაზმუს +

ერაზმუს + გაცვლით პროგრამაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015 წლიდან არის ჩართული. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამა (Erasmus

+ Key Action 107), გულისხმობს ინდივიდუალურ მობილობებს პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის. Erasmus + მობილობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც სტუდენტთა, ისე პერსონალის მობილობა.

a. პარტნიორი უნივერსიტეტები

2016 წელს ერაზმუს + მობილობის პროექტების კონკურსის შედეგად დაფინანსდა გაცვლის შესაძლებლობა ევროპის 22 ქვეყნის 42 უნივერსიტეტთან (14 დეკემბრის მონაცემებით). წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით ეს პარტნიორების 40 %-იანი ზრდაა.

2016-2017 სასწავლო წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ორმხრივ გაცვლებს განახორციელებს შემდეგ ევროპულ უნივერსიტეტებთან:

1	Austria	University of Klagenfurt
2	Austria	Universität Salzburg
3	Belgium	Université Catholique de Louvain
4	Croatia	Baltazar Zaprëšić University of Applied Sciences
5	Czech Republic	Masaryk University
6	Denmark	University College UCC
7	Estonia	The University of Tartu
8	Finland	University of Turku
9	Finland	University of Tampere
10	France	University of Montpellier 3
11	France	Université Paris-Est Créteil - UPEC (Val De Marne)
12	France	Université Paris Diderot - Paris 7

13	Germany	University of Goettingen
14	Germany	University of Siegen
15	Germany	Humboldt University of Berlin
16	Germany	Jena University
17	Greece	Aristotle University of Thessaloniki
18	Ireland	University of Limerick
19	Ireland	Limerick Institute of Technology
20	Italy	Tuscia University
21	Italy	University of Pavia
22	Italy	University of Bologna
23	Italy	Università degli Studi dell'Aquila
24	Latvia	Vidzeme University of Applied Sciences
25	Lithuania	Vilnius University of Applied Sciences
26	Lithuania	Kaunas University of Technology
27	Lithuania	Vilnius College of Technology and Design
28	Netherlands	University of Groningen
29	Netherlands	Saxion University of Applied Sciences
30	Netherlands	Amsterdam University of Applied Sciences
31	Poland	Warsaw School of Economics
32	Poland	Warsaw University of Life Sciences
33	Romania	Babes-Bolyai University
34	Romania	Alexandru Ioan Cuza University of Iasi
35	Slovakia	Catholic University in Ruzomberok
36	Spain	Polytechnic University of Valencia
37	Spain	University of Castilla La Mancha
38	Sweden	Uppsala University
39	Turkey	Middle East University
40	Turkey	Kahramanmaras Sutcu Imam University
41	UK	Cardiff University School of Medicine
42	UK	Middlesex University

b. სტატისტიკა

2015 წელს დაფინანსებული გაცვლების განხორციელება დაიწყო 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან. 2016 წელს სულ განხორციელდა 128 მობილობა,

ამათგან 83 არის სამივე საფეხურის სტუდენტი, ხოლო 45 - აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

	Spring Semester 2015/2016	Autumn Semester 2016/2017	
Bachelor	17	28	
Master	10	21	
Doctorate	2	5	
Academic Staff	9	18	
Administrative Staff	6	12	
Total	44	84	128

c. რეგულარული აქტივობები

ერაზმუს + გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირებისთვის განხორციელებული აქტივობები:

- საკონკურსო პაკეტის მომზადება და კონკურსის გამოცხადება - დეტალური ინფორმაცია კონკურსის პირობების, შემოთავაზებული მობილობის ტიპებისა და ვადების შესახებ პერიოდულად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ვრცელდება ილიაუნის ელექტრონული ფოსტისა და არგუსის საშუალებით;
- შერჩევის პროცედურის ორგანიზება - აპლიკანტების განაცხადების მიღება, შეფასება და ინტერვიუების ორგანიზება, კანდიდატების ნომინირება პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ საბოლოო შერჩევისთვის
- ერაზმუს + მობილობების განხორციელების მიზნით სტუდენტთა და პერსონალის შესარჩევი კონკურსები გაიმართა ეტაპობრივად, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში. 2016 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი მობილობებისთვის კონკურსი ჩატარდა 2015 წლის შემოდგომის სემესტრში, 2016 წლის შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი მობილობებისთვის - 2016 წლის გაზაფხულზე. ამჟამად სრულდება შერჩევა 2017 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი მობილობებისთვის. 2017 წლის გაზაფხულზე განხორციელდება შერჩევა 2017 წლის შემოდგომის სემესტრისთვის;
- რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები (16 შეხვედრა 2016 წელს) პოტენციური აპლიკანტებისთვის (ყველა აკადემიური საფეხურის სტუდენტები, თანამშრომლები), რიგ შემთხვევებში ევროპელი პარტნიორების მონაწილეობით

- საინფორმაციო შეხვედრები ფაკულტეტებზე, კონკრეტული მიმართულების სტუდენტებისათვის
- პოტენციური აპლიკანტების კონსულტირება პირადი შეხვედრების, ელექტრონული და სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით
- ყველა აპლიკანტი სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულების შეთანხმება შესაბამის ფაკულტეტთან და დეკანის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მომზადება
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან კომუნიკაცია, რეპორტების მომზადება
- ევროპელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ორგანიზება-ხელშეწყობა - ინდივიდუალური კონსულტაციები; სასწავლო ხელშეკრულების მომზადება; ჩარიცხვის პროცედურების წარმართვა; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან თანამშრომლობა; უცხოელი პერსონალისათვის შესაბამისი მასპინძლის მოძიება და აქტივობების დაგეგმვა;
- სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტში დადგენილი გაცვლითი სტუდენტის ადმინისტრირების წესის შესახებ
- ფაკულტეტების ინფორმირება შერჩეული სტუდენტების შესახებ, რათა არ შეფერხდეს მათთვის სტატუსის ცვლილების პროცედურები
- შერჩეული სტუდენტებისთვის გამგზავრების წინა საორიენტაციო შეხვედრის ორგანიზება

d. გამგზავრების წინა საორიენტაციო შეხვედრა

2016 წელს ჩატარდა 2 საორიენტაციო შეხვედრა შერჩეული აპლიკანტებისთვის - 22 იანვარს და 15 ივლისს. შეხვედრები მიზნად ისახავდა გამარჯვებული სტიპენდიანტებისთვის სხვადასხვა სახის გამოცდილებისა და პრაქტიკული რჩევების გაზიარებას. ორივე შეხვედრას ესწრებოდნენ Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის წარმომადგენლები, ილიაუნის საერთაშორისო კლუბის წევრები და პროგრამის Erasmus Mundus კურსდამთავრებულები, რომლებმაც გამარჯვებულ აპლიკანტებს გაუზიარეს ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის შესახებ.

ერაზმუს მუნდუსის მეორე აქტივობის პროექტები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ერაზმუს მუნდუსის მეორე აქტივობის პროექტები მიღევად რეჟიმში მოქმედებს. 2016 წელს დასრულდა 4

პროექტი (MID, ALRAKIS II, ELECTRA, EUROEAST. პროექტი HUMERIA გრძელდება 2017 წლის ივლისამდე. შერჩევის პროცედურები დასრულდა 2015 წელს. პროექტის ფარგლებში მიმდინარე მობილობები უნდა დასრულდეს აღნიშნულ ვადაში.

სტუდენტების გაცვლა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან

2016 წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელდა სტუდენტთა გაცვლა ილიაუნისა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის კამპუსს შორის. 4 ქართველი სტუდენტი (2 - კომპიუტერული ინჟინერია, 2 - ელექტრული ინჟინერია) გაემგზავრა აშშ-ში. შესაბამისად უნივერსიტეტი მასპინძლობს 4 ამერიკელ სტუდენტს სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით. შეთანხმების თანახმად, სტუდენტებისთვის გამოყოფილია ყოველთვიური სტიპენდია და უნივერსიტეტი ანაზღაურებს მათი ცხოვრების ხარჯებს.

2. უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის აქტივობები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

აქტივობა	შენიშვნა
პროგრამების შემუშავება	
Pathway Program	
პროგრამის აღწერა და კომპონენტები	დაიწერა პროგრამის აღწერა საგარეო ურთიერთობების სამსახურის მიერ; პროფესორების მიერ მომზადდა პროგრამის კომპონენტების სილაბუსები: ქართული ენა, ინგლისური ენა, პრე-კალკულუსი, ინტერკულტურული კომუნიკაცია, საქართველოს მხარეთმცოდნეობის კურსი
ინგლისური ენის სწავლების მომსახურება	შეთანხმებულია პროგრამის დეტალები English Books in Georgia-სთან, რომელიც ასევე ახორციელებს სწავლებას საბაკალავრო დონეზე. საჭიროა დამატებითი ტენდერის გამოცხადება ამ კონკრეტულ მომსახურებაზე. პროგრამის მოთხოვნებია: 300 საათი სწავლება 12 კვირის განმავლობაში (კვირაში 25 საათი), უზრუნველყოფა სასწავლო მასალებით (წიგნები, ელ. რესურსები, მედიათეკა,

	ა.შ.), კვალიფიციური მასწავლებლები, Native Speaker მასწავლებელი, საერთაშორისოდ აღიარებული გამოცდა და სერტიფიკატი, მსმენელებისთვის მინიმუმ TOEFL iBT 65 ცოდნის მიცემა (მიღების კრიტერიუმების გათვალისწინებით).
ხარისხის სამსახურის კომენტარები	გათვალისწინებულია
დამტკიცება ფაკულტეტის საბჭოს მიერ	დამტკიცდა 2016 წლის მარტში
დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ	დამტკიცდა 2016 წლის მარტში
პროგრამის ფასის განსაზღვრა	პროგრამის თვითღირებულება 15 უცხოელი სტუდენტის მიღების შემთხვევაში არის 1200 აშშ დოლარი. ქართველი სტუდენტებისთვის, რომლებიც მხოლოდ ინგლისურს ან ინგლისურს და პრეკალკულუსს ისწავლიან, ფასი იქნება 600 აშშ დოლარი (თუმცა მხოლოდ ქართველი სტუდენტების შემთხვევაში, კურსი წამგებიანია). 14 უცხოელი სტუდენტის მიღების შემთხვევაში, 1 სრულ სტიპენდიას აფინანსებს English Books.
პროგრამის მასალები	პროგრამის პრომო მობზადებულია ინგლისურენოვანი ბროშურის ორი ვარიანტი, როგორც ელექტრონული, ისე დაბეჭდილი. მომზადებულია თურქულენოვანი ბროშურის ელექტრონული ვერსიაც.
ვებ-საიტი	განთავსებულია ინფორმაცია ილიაუნის ვებ-გვერდზე: https://iliauni.edu.ge/en/international/pathway
საბაკალავრო პროგრამები	
ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამამ აკრედიტაცია ვერ გაიარა 2016 წლის ზაფხულში და განახლებული ვერსია გაიგზავნა 2016 წლის სექტემბრის ბოლოს. აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ნოემბერში. დასკვნა მიღებულია. საბჭოს შეხვედრის თარიღი ჯერჯერობითი უცნობია.
კომპიუტერული ინჟინერია	კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის წარმოება შეჩერებულია აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული შენიშვნების გამო.
საერთაშორისო	მაინორის პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა წარმატებით.

ურთიერთობების მაინორი	
სამაგისტრო პროგრამები	
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	არ საჭიროების ახალ აკრედიტაციას
ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ფაკულტეტზე	მიმდინარეობს მოლაპარაკებები რამდენიმე პარტნიორ უნივერსიტეტთან 2017 წლიდან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დაწყების მიზნით ბიზნესის მიმართულებით.
Applied Genetics	ფაკულტეტი ამზადებს დოკუმენტაციას აკრედიტაციისთვის სავარაუდოდ განაცხადს შეიტანენ 2017 წლის თებერვალში.
Natural Resource Management	ფაკულტეტი ამზადებს დოკუმენტაციას აკრედიტაციისთვის სავარაუდოდ განაცხადს შეიტანენ 2017 წლის თებერვალში.
სტუდენტების მოზიდვის აქტივობები	
ვებ-გვერდი და პრომო მასალები	
International Students	მომზადდა ვებ-გვერდის მასალა ინგლისურ ენაზე, უნივერსიტეტის შესახებ, პროგრამების შესახებ, პროცედურების შესახებ, ა.შ. http://iliauni.edu.ge/en/international
თურქულენოვანი გვერდი	თურქულ ენაზე მომზადდა ზოგად ინფორმაცია და განთავსდა ვებ-გვერდზე: http://iliauni.edu.ge/en/international/lia-devlet-niversitesi
მოითხოვე ინფორმაცია	ვებ-გვერდზე ჩაშენდა ინფორმაციის მოთხოვნის ველი, სადაც დაინტერესებული პირები გვწერენ შეკითხვებს და გვიტოვებენ საკონტაქტო ინფორმაციას: http://iliauni.edu.ge/en/international/Requestinformation
უცხოელი სტუდენტის გზამკვლევი	მომზადდა უცხოელი სტუდენტის გზამკვლევი. ამ ეტაპზე მხოლოდ ელექტრონული ვერსია: http://iliauni.edu.ge/en/international/student-life-services
პროგრამების ლიფლეტები	მომზადებულია აკადემიური პროგრამების ლიფლეტები, პასვეი პროგრამის ბროშურა, ელექტრონული პრეზენტაციები, როგორც ინგლისურ, ისე თურქულ ენებზე
ინფორმაციის გავრცელება	

<p>პარტნიორი უნივერსიტეტები</p>	<p>ინფორმაცია დაგზავნილია ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებში, ორგანიზაციებსა და სააგენტოებში შემდეგ ქვეყნებში: თურქეთი, ტაივანი, აზერბაიჯანი, ირანი, ჩინეთი, ვიეტნამი, ვიეტნამი, ეგვიპტე, ბანგლადეში, პაკისტანი, ინდოეთი, სამხრეთ აფრიკა, ბოცვანა, ზიმბაბვე, ნიგერია, ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნები, უკრაინა, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი.</p>
<p>Keystone Solutions უფასო საცდელი ვერსია</p>	<p>ინფორმაცია გამოქვეყნდა საერთაშორისო სააგენტოს Keystone Solutions ვებ-გვერდებზე 6 კვირიანი უფასო საცდელი ვერსიით. 6 კვირის განმავლობაში 350-მდე შეკითხვა შემოვიდა სხვადასხვა პროგრამის თაობაზე. ყველაზე მეტად ინტერესდებიან გამოყენებითი გენეტიკის სამაგისტრო პროგრამით და ბუნებრივი რესურსების მართვის პროგრამით. დაინტერესებული პირების მონაცემების საფუძველზე მოხდა ბაზრის გარკვეული ანალიზი. ასევე, გენეტიკისა და ბუნებრივი რესურსების პროგრამების მოთხოვნადობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა შესაბამის ფაკულტეტს და დაიწყო პროგრამების ინგლისურენოვანი ვერსიის აკრედიტაციის მიღებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები.</p>
<p>Keystone Solutions 6 თვიანი კონტრაქტი</p>	<p>აგვისტოდან თანამშრომლობა დაიწყო Keystone Solutions-თან ორი პროგრამის ფარგლებში - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები გამოქვეყნებულია პორტალზე 6 + 2 თვით (2 თვე უფასო მომსახურებას გაგვიწვევენ). მიმდინარეობს დაინტერესებული პირების შეკითხვების მიღება, ყოველ კვირეული ანალიზის ჩატარება, მუდმივი კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან, როგორც ელ-ფოსტის, ისე ტელეფონის და სკაიპის მეშვეობით.</p>
<p>Facebook Sponsored Announcements</p>	<p>ფეისბუქით მოხდა პროგრამების რეკლამირება მიზნობრივ ქვეყნებში</p>
<p>საქართველოს წარმომადგენლობები საზღვარგარეთ</p>	<p>ოფიციალური წერილები და საინფორმაციო მასალა დაიგზავნა საქართველოს წარმომადგენლობებში საზღვარგარეთ, რომელთაგან რამდენიმე დაგვიდასტურა მათი მხრიდან ინფორმაციის გავრცელება, მაგ. ბრიტანეთი,</p>

	ეგვიპტე, ავსტრალია...
საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიები	ოფიციალური წერილები და საინფორმაციო მასალა დაიგზავნა დიპლომატიურ მისიებში.
აგენტები	
რეგისტრირებული სააგენტოები	ინფორმაცია თანამშრომლობის შესახებ მუდმივად იგზავნება სამიზნე ქვეყნებში არსებულ რეგისტრირებულ სააგენტოებთან. ამჟამად მონაცემები გაგზავნილია 900-ზე მეტ სააგენტოსთან მსოფლიო მასშტაბით. ყოველდღიური კომუნიკაცია მიმდინარეობს 80-ზე მეტ აგენტთან.
ხელშეკრულებები	აგენტებთან თანამშრომლობა შესაძლებელია ინდივიდუალური ხელშეკრულებების შეთავაზების გზით. მომზადდა ხელშეკრულების ვარიანტი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამ ეტაპზე გაფორმებულია ხელშეკრულება 20-ზე მეტ აგენტთან.
საქართველოში სტუდენტები	მყოფი დაინტერესებულ სტუდენტებს ვთავაზობთ თანამშრომლობას აგენტის სტატუსით. ასევე გავრცელდა ლიფლეტები სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უცხოელ სტუდენტებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ.
ლონისძიებები (გამოფენები, ვიზიტები)	
თურქეთის ვიზიტი - აპრილი 2016	2016 წლის აპრილში მონაწილეობა მივიღეთ თურქეთის სამ ქალაქში (გირესუნი, ორდუ, ტრაპზონი) გამართულ გამოფენებსა და სკოლის ვიზიტებში. შეგროვდა სკოლის ბოლო კლასების მოსწავლეთა საკონტაქტო მონაცემები. ილიაუნის გარდა აღნიშნულ გამოფენებს ესწრებოდა მხოლოდ ერთი საზღვარგარეთული უნივერსიტეტი - ბელგრადის უნივერსიტეტი. გამოფენების ვიზიტორების საერთო რაოდენობა იყო 900-ზე მეტი. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა 4 კერძო სკოლაში, 1 პროფესიულ სასწავლებელსა და 1 მოსამზადებელ სკოლაში. ასევე ჩატარდა გაერთიანებული შეხვედრა რამდენიმე კერძო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის (200-მდე) ტრაპზონში. პირველადი ინტერესი არსებობს საქართველოში სწავლისათვის, თუმცა პოტენციური სტუდენტების

	მომზადების დონე ინგლისურის კუთხით საკმაოდ დაბალია.
სან-დიეგოს აგენტის დახმარება	სან დიეგოს აგენტი იმყოფებოდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ვიეტნამში, სადაც სან დიეგოს პროგრამებთან ერთად წარადგინა მოსამზადებელი პროგრამა და ილიაუნის სხვა პროგრამები.
European Association for International Education	2016 წლის სექტემბერში მონაწილეობა მივიღეთ EAIE 2016 წლის ფორუმში, სადაც წარმოდგენლია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სააგენტო, გამოფენის ორგანიზატორი და საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის საკითხით დაკავებული საკონსულტაციო ფირმები. მიმდინარეობს მოლაპარაკებები რამდენიმე მათგანთან.
2017 წლის გეგმები	2017 წლისთვის დაგეგმილია მონაწილეობის მიღება რამდენიმე გამოფენაში, მათ შორის თურქეთში, აზერბაიჯანში, შუა აზიის ქვეყნებსა და ინდოეთში. ამ ეტაპზე ველოდებით აკრედიტაციის გადაწყვეტილებას ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის შესახებ.
თურქეთის მიმართულება	
თურქულენოვანი თანამშრომელი	ნახევარ განაკვეთზე მუშაობს თურქულენოვანი თანამშრომელი, რომელიც აწარმოებს პირდაპირ კომუნიკაციას კანდიდატებთან, სააგენტოებთან, სკოლებთან და სხვა ორგანიზაციებთან.
ვიზიტი თურქეთში	2016 წლის აპრილში მონაწილეობა მივიღეთ თურქეთის სამ ქალაქში (გირესუნი, ორდუ, ტრაპზონი) გამართულ გამოფენებსა და სკოლის ვიზიტებში. შეგროვდა სკოლის ბოლო კლასების მოსწავლეთა საკონტაქტო მონაცემები. ილიაუნის გარდა აღნიშნულ გამოფენებს ესწრებოდა მხოლოდ ერთი საზღვარგარეთული უნივერსიტეტი - ბელგრადის უნივერსიტეტი.
პირდაპირი ურთიერთობა კანდიდატებთან	თურქეთში ვიზიტის შედეგად შეიქმნა დაინტერესებული კანდიდატების (ბოლო და ბოლოს წინა კლასის მოსწავლეები) ბაზა, რომლებთანაც ვაწარმოებთ ინტენსიურ კომუნიკაციას, როგორც ელ-ფოსტის, ისე ტელეფონის მეშვეობით. ვესაუბრებით მათ მშობლებსაც.
კომუნიკაცია თურქულ ოფიციალურ მხარესთან	წერილობითი კომუნიკაცია თურქეთის საელჩოსთან, თურქეთის კულტურის ატამესთან. შედგა პირადი შეხვედრა

	თურქეთის საელჩოს განათლებისა და კულტურის ატაშესთან.
თურქული უნივერსიტეტების ცნობარი	გაგზავნილია ოფიციალური წერილები თურქეთის განათლების სამინისტროში, საქართველოს განათლების სამინისტროში და საელჩოში ილიას უნივერსიტეტის თურქულ ცნობარში ჩამატების შესახებ. შემდეგი ნაბიჯები დაგეგმილია 2017 წლის თებერვალში.
თურქეთის მიერ ილიაუნის აღიარება - YOK	მივიღეთ წერილი თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკრედიტაციის და აღიარების შესახებ. თურქი სტუდენტები, რომლებიც გადალახავენ დაწესებულ ბარიერებს თურქულ ეროვნულ გამოცდებზე უპრობლემოდ შეძლებენ ჩაირიცხონ ჩვენთან და დასრულების შემდეგ მათი დიპლომი ვალიდური იქნება თურქეთში.
მოსამზადებელი სკოლები	მიმდინარეობს კომუნიკაცია მოსამზადებელ სკოლებთან, ჩვენი შეთავაზების გავრცელების, სტუდენტებთან ვირტუალური შეხვედრების ორგანიზების მიზნით.
ბროშურები, პრეზენტაციები, ვებ-გვერდი	მომზადებულია ყველა ბროშურა და პრეზენტაცია თურქულ ენაზე. ვებ-საიტზე შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია თურქულ ენაზე.
თურქეთში არსებული ქართული დიასპორა	მიმდინარეობს კომუნიკაცია ქართული დიასპორის ცენტრებთან
უცხოელი სტუდენტების ადმინისტრირების წესები	
მიღების წესის მონახაზი	სხვადასხვა ადმინისტრაციულ სამსახურებს შორის კონსულტაციის შედეგად ჩამოყალიბდა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, გაიწერა ცალკეული ნაბიჯები და თითოეული სამსახურის ვალდებულებები.
სააკლიკაციო ფორმა + განცხადებები	შეიქმნა სააკლიკაციო ფორმა, როგორც აკადემიური ისე მოსამზადებელი პროგრამის აპლიკანტებისთვის, ასევე განცხადებების დრაფტები უცხოელებისთვის
სტუდენტის ხელშეკრულება	მომზადდა სტუდენტებისთვის გასაფორმებელი ხელშეკრულება ყველა დეტალის გათვალისწინებით ინგლისურ და ქართულ ენებზე
Pathway მონაწილის ხელშეკრულება	მომზადდა მსმენელის ხელშეკრულება Pathway პროგრამის მონაწილეთათვის

ფინანსური აღრიცხვა	სტუდენტის მიერ თანხის გადახდის აღრიცხვა ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ ლარში. შესაძლებელია სისტემაში გაჩნდეს დოლარის ნიშანიც. ამაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს ფინანსური სამსახური (საკონტაქტო პირი ლელა ხაჩიძე)
არგუსის ინგლისურენოვანი ინტერფეისი	არგუსის ინტერფეისს აქვს ინგლისურენოვანი მხარდაჭერა. გარკვეული დოკუმენტებია კვლავ სათარგმნი. ასევე, ფაკულტეტმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ შესაბამისი დოკუმენტაცია სრულად ინგლისურად იყოს ატვირთული და ხელმისაწვდომი.
აპლიკანტების დოკუმენტაციის ადმინისტრირება	შეიქმნა ინგლისურენოვანი დოკუმენტაციის ქართულ ენაზე თარგმნისა და ნოტარიულად დამოწმების სერვისის უცხოელი აპლიკანტებისვის. განისაზღვრა მომსახურების საფასური - 100 აშშ დოლარი. მომსახურება გულისხმობს დიპლომის, დიპლომის დანართისა, ატესტატის, პასპორტის ასლის თარგმნასა და ნოტარიულად დამოწმებას, ასევე აკრედიტაციის ცენტრში მომსახურების საფასურს.
უცხოელი სტუდენტების სერვისების განვითარება	
სავიზო აპლიკაცია	ინფორმაცია სავიზო განაცხადის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე. მიმდინარეობს ინდივიდუალური კონსულტაციები. დამყარებულია კონტაქტი როგორც საკონსულო დეპარტამენტთან, ისე ცალკეულ ქვეყნებში არსებულ საკონსულოებთან საჭიროების შემთხვევაში სტუდენტების განაცხადის მხარდაჭერის მიზნით.
დაბინავება	სტუდენტების სურვილის მიხედვით დავებმარებით საცხოვრებლის მოძიებაში. გაკეთდა მოლაპარაკება რამდენიმე ჰოსტელთან, რომლებიც სტუდენტების გარკვეული რაოდენობის მოყვანის შემთხვევაში გაგვიწვევენ საერთო საცხოვრებლის ტიპის მომსახურებას. ასევე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ცალკეულ მეპატრონეებთან.
დაზღვევის მომსახურება	სადაზღვევო ფირმებთან მოლაპარაკების შედეგად შექმნილია ბაზა მათი შემოთავაზებების, რომელთაგან სასურველი პაკეტის არჩევა შეეძლება სტუდენტებს.

<p>პერსონალის გადამზადება</p>	<p>საჭიროა ფაკულტეტების პერსონალის, ისევე როგორც საერთაშორისო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის გადამზადება. ამ ეტაპზე მიმდინარე პროექტის I-Net ფარგლებში ჩვენი თხოვნით მზადდება ტრენინგ-პაკეტი ფაკულტეტების ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის უცხოელი სტუდენტებისათვის სერვისების შესახებ.</p>
<p>საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება</p>	
<p>ერაზმუს + პროექტი</p>	<p>საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვისა და სერვისების განვითარების კუთხით იგეგმება საპროექტო განაცხადის მომზადება ერაზმუს + Capacity Building მიმართულებით. წინასწარი მოლაპარაკება არსებობს რამდენიმე პარტნიორ უნივერსიტეტთან, რომლებსაც აქვთ კარგი გამოცდილება რეკრუტირების კუთხით. მაგ. პირველადი თანხმობა არსებობს ლუნდის უნივერსიტეტისა (შვედეთი) და ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტისგან (ესტონეთი).</p>
<p>პარტნიორების გამოცდილება</p>	<p>გროვდება ინფორმაცია პარტნიორი უნივერსიტეტებისგან მათ მიერ განხორციელებული აქტივობებისა და გამოცდილების შესახებ, როგორც ზოგადად უცხოელი სტუდენტების რეკრუტირების, ისე კონკრეტული ქვეყნების, ღონისძიებებისა და სტრატეგიების შესახებ. იგეგმება რამდენიმე პარტნიორის მოწვევა ერაზმუს + მობილობის გამოყენებით უნივერსიტეტის პერსონალისთვის გამოცდილების გაზიარებისთვის.</p>
<p>PICASA workshop on international student recruitment</p>	<p>პროექტ PICASA-ს ფარგლებში ჩვენი თხოვნით ორმა ევროპელმა პარტნიორმა (Katholic University Leuven (BE), Roehampton University (UK) ჩაატარა ვორქშოფი უცხოელი სტუდენტების მოზიდვისა და მათთვის შეთვალვებული სერვისების შესახებ.</p>
<p>EAIE Forum</p>	<p>მონაწილეობა მივიღეთ EAIE 2016 წლის ფორუმში, სადაც სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლები მართავენ თემატურ ვორქშოპებს საერთაშორისო განათლების თემაზე.</p>

3. ერთობლივი პროგრამების განვითარება

ერთობლივი პროგრამები ბიზნესის მიმართულებით

2016 წლის ოქტომბრიდან სამსახური აქტიურად მუშაობს ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების განვითარების მიზნით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ორმაგი დიპლომის გაცემის მიზნით შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ავსტრია
- იანოშ კოდოლანის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, უნგრეთი
- ბაბემ ბოლიაის უნივერსიტეტი, რუმინეთი
- კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ლიტვა
- საქსონის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ნიდერლანდები

ერთობლივი პროგრამა ატმოსფერული ფიზიკის მიმართულებით

პროფ. მანია თოდუას ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მოლაპარაკებები რამდენიმე უცხოურ უნივერსიტეტთან ატმოსფერული მეცნიერებების მიმართულებით ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხელშეკრულების ბოლო ვერსიის განხილვა ფაკულტეტთან, ხარისხის სამსახურთან და იურიდიულ სამსახურთან ერთად.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და კავკასიის კვლევებში (CEERES)

მზადდება ერაზმუს + ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის პროექტი გლაზგოს

უნივერსიტეტის კოორდინატორობით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი იქნება დიპლომის გამცემი პარტნიორი. იგეგმება პროექტის წარდგენა 2017 წლის თებერვალში.

2016 წელს გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები

1. Kodolanyi Janos University of Applied Sciences, Hungary
2. Tallinn University of Technology, Estonia
3. Jade University of Applied Sciences, German
4. Braunschweig University of Technology, Germany

5. Georg-August- Universität Göttingen, Germany
6. University of L'Aquila, Italy
7. The University of Warsaw, Poland
8. Universidad de Averio, Portugal
9. Vinnytsia National Agrarian University, Ukraine

4. საერთაშორისო პროექტები

1. ტემპუსის პროექტი - PICASA

ტემპუსის პროექტ PICASA-ს ფარგლებში მიმდინარეობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი. უნივერსიტეტის საერთო სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობის პარალელურად მიმდინარეობს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტის დახვეწა და საუნივერსიტეტო მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ორი სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის აქტივობები, რაც მოიცავს პროგრამების პოტენციალის შეფასებას, საჭირო დოკუმენტაციისა და რეკომენდაციების შემუშავებას და ა.შ. 2016 წლის ივნისში გაიმართა კონსორციუმის შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თხოვნით ევროპელმა კოლეგებმა ჩაატარეს ვორქშოფი უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიასთან დაკავშირებით. 2016 წლის ნოემბერში გაიმართა პროექტის დასკვნითი კონფერენცია თბილისში, რომელზეც უნივერსიტეტი წარადგინა თამარ კალხიტაშვილმა, რომელმაც ისაუბრა თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობაზე სწავლებასა და კვლევაში ინტერნაციონალიზაციისათვის და წარადგინა უნივერსიტეტის გამოცდილება ენობრივი კორპუსის დიჯიტალიზაციის სფეროში.

2. „ინტერნაციონალიზაციის ქსელი“ (Internalization Network - I-Net)

2015 წელს საგარეო ურთიერთობების სამსახური ჩაერთო ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში „ინტერნაციონალიზაციის ქსელი“ (Internalization Network - I-Net). პროექტის კოორდინატორია ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი). პროექტში მონაწილეობენ სომხეთის, ბელარუსის, ჩეხეთის, საქართველოს, უნგრეთის, პოლონეთის, სლოვაკეთისა და უკრაინის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. პროექტის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში შეიქმნება სპეციალური ვებ-

პლატფორმა, რომელიც ახალ ერთობლივ პროექტებს, გაცვლით პროგრამებს, ტრენინგებსა და კვლევებს ჩაუყრის საფუძველს.

2016 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. 2016 წლის 5 და 6 აპრილს ვუმასპინძლეთ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ 2 დღიან ტრენინგს, რომლის მიზანი იყო ევროპელი პარტნიორების მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე ტრენინგების მომზადება. ტრენინგში საგარეო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელთან ერთად მონაწილეობდა ბიზნესის სკოლის წარმომადგენელიც.

2. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომზადებული ტრენინგების მიერ ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო შეხვედრები ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით. შეხვედრები გაიმართა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც საგარეო ურთიერთობებისა და ბიზნესის სკოლის წარმომადგენლების მიერ, სადაც ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სტუდენტები და ფაკულტეტის წარმომადგენლები.

3. მოვამზადეთ და გამოვეცით ბროშურა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტების მიღების შესაძლებლობების და პროცედურების შესახებ

4. 12 და 13 დეკემბერს ერევანში ჩატარდა პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდა საგარეო ურთიერთობების წარმომადგენელი, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა პროექტის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული აქტივობები და ინტერნაციონალიზაციის კუთხით მიღწევები.

2016 წლის რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება

1. შავი ზღვის საუნივერსიტეტო ქსელის კონგრესი და კონფერენცია

2016 წლის 12-14 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა შავი ზღვის საუნივერსიტეტო ქსელის კონგრესსა და კონფერენციას „Changing Role of the University

in a Global and Regional Context“. სამ დღიან ღონისძიებას ესწრებოდა 40 დელეგატი ქსელის წევრი უნივერსიტეტებიდან. 2016-18 წლებში შავი ზღვის საუნივერსიტეტო ქსელის (BSUN) პრეზიდენტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

2. ევროკავშირის კვირეული

2016 წლის მაისში ევროპის დღისა (5 მაისი) და ევროკავშირის დღის (9 მაისი) აღსანიშნავად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ევროკავშირის კვირეული. კვირეულის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს საქართველოში, რომლებმაც ჩაატარეს საჯარო ლექციებს ევროკავშირთან დაკავშირებულ თემებზე.

3. სემინარი უნივერსიტეტების რანჟირების სისტემებთან დაკავშირებით

7-8 ნოემბერს, Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ეროვნული ოფისის ორგანიზებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა სემინარს უნივერსიტეტების რანჟირების სისტემებთან დაკავშირებით. სემინარს უძღვებოდა მოწვეული ექსპერტი, ტვენტეს უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) პროფესორი და უმაღლესი განათლების პოლიტიკის კვლევის ცენტრის (CHEPS) მკვლევარი, დონალდ ვესტერჰაიდენი.

4. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საინფორმაციო შეხვედრა

17 ოქტომბერს გაიმართა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო კანონიერი მიგრაციის ხელშეწყობა და, მიგრაციის რეალურ ისტორიებზე დაყრდნობით, საზოგადოებაში გავრცელებული მცდარი მოლოდინის შეცვლა.

5. ტარტუს უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

2016 წლის 4 ნოემბერს უნივერსიტეტს ეწვია ტარტუს უნივერსიტეტის (ესტონეთი) დელეგაცია რექტორის ხელმძღვანელობით. შედგა გაფართოებული გაცნობითი სახის შეხვედრა დელეგაციის წარმომადგენლებთან, ასევე ინდივიდუალური შეხვედრების შესაბამისი პროფილის პროფესორებთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით. ასევე ტარტულმა ლექტორებმა გამართეს 2 საჯარო ღონისძიება - ვორქშოპი დემოკრატიის თემაზე და საჯარო ლექცია მაკროეკონომიკის დარგში.

6. შავი ზღვის უნივერსიტეტების ქსელის (BSUN) აღმასრულებელი საბჭოს შეხვედრა

2016 წლის 14-16 ნოემბერს უნივერსიტეტმა უმასპინძლა შავი ზღვის უნივერსიტეტების ქსელის (BSUN) აღმასრულებელი საბჭოს შეხვედრას. შეხვედრას ესწრებოდა 6 ქვეყნის, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას, რუმინეთის, თურქეთისა და საქართველოს წარმომადგენელი. შეხვედრაზე განხილულ იქნა ქსელის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, თურქეთის, უკრაინისა და აზერბაიჯანის მხრიდან თანამშრომლობის შემოთავაზებები და სხვადასხვა ადმინისტრაციული საკითხები.

7. აბუ დაბიში პარიზის სორბონის უნივერსიტეტის წარმომადგენლობის ვიზიტი

2016 წლის 17 ნოემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია აბუ დაბიში პარიზის სორბონის უნივერსიტეტის წარმომადგენლობა სტუდენტების საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებით სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვის მიზნით. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენლები.

იურიდიული სამსახურის 2016 წლის ანგარიში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა სამსახურმა 2016 წელს უნივერსიტეტის სასწავლო და აკადემიური პროცესების განვითარებისათვის განახორციელა სხვადასხვა სახის აქტივობა, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის სამართლებრივი მხარდაჭერის პროცესებთან, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობასთან, ასევე სამეცნიერო კვლევით მიმართულებასთან, უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებული სამუშაოს შემოწმებასა და ვიზირებასთან, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ ინიცირებული სამუშაოების შესრულებასა და ვიზირებასთან, უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისა და მათი სამდივნოების ინიცირებული საკითხების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევასა და საქმისწარმოებასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლობასთან სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში. იურიდიული სამსახური მონაწილეობდა იმ აქტივობებში, რომელთა საქმისწარმოების შედეგად გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მზადდება ხელშეკრულებები, საპასუხო წერილები და სხვა.

2016 წლის განმავლობაში იურიდიულ სამსახურში უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების, ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესასრულებლად სულ შემოვიდა 4942 დავალება.

2016 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის სტუდენტთა სტატუსთან დაკავშირებით მომზადებულ იქნა შემდეგი ბრძანებები: სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ, აკადემიური შვებულების აღების შესახებ, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, სტუდენტთათვის გაცვლით პროგრამაში მონაწილეების საფუძვლით გაცვლითი სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ, აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების შესახებ, სახელისა და გვარის შეცვლასთან, მოქალაქეობის, პასპორტის შეცვლასთან დაკავშირებულ, გამოცემულ ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ რამაც ჯამში შეადგინა 2024 ბრძანება.

2016 წელს იურიდიულმა სამსახურმა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებთან კოორდინაციით უზრუნველყო გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრების შიდა მობილობის პროცესის გამართვა, კონსულტაციები გადმომსვლელ სტუდენტებთან, ასევე გაზაფხულის სემესტრისა და შემოდგომის სემესტრში ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად გარე მობილობის პროცესის კოორდინაცია, შესაბამისი ბრძანებებითა და კონსულტაციებით. გარე მობილობაში მონაწილე პირთა კონსულტაცია და წერილობითი პასუხების მომზადება.

2016 წლის მთლიანი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიღების გამოცხადებასა და ჩარიცხვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება, შესაბამის საკანონმდებლო და შიდასაუნივერსიტეტო წესებთან შესაბამისობითა და გასაფორმებელი ხელშეკრულებებით. ასევე უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის შესახებ დოკუმენტაციის გადამოწმების შემდეგ გამოიცა 31 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები ასევე მოიცავს ისეთი სამართლებრივი აქტების გამოცემას, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და ეხება სხვადასხვა წარმოებასთან, პროცედურასთან დაკავშირებულ თემებს, ამ საფუძვლებით 2016 წელს იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 156 ბრძანება.

2016 წელს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის მოხდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების გაცემის შესახებ ბრძანებების გამოცემა, ასევე კურსდამთავრებულთა მხრიდან მოთხოვნის საფუძველზე დიპლომის განმეორებით (დუბლიკატის) გაცემა. მომართვის საფუძველზე ასევე დაიწყო საქმისწარმოება ისეთი დიპლომების გაცემის მიზნით, რომლის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (სულხან საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა უნივერსიტეტი, სპორტის აკადემია, გურამიშვილის პედაგოგიური კოლეჯი). იურიდიულმა სამსახურმა შესაბამისი განმცხადებლების საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით განახორციელა დიპლომის გაცემის მიზანშეწონილობის, დიპლომის ფორმისა და დიპლომში ასახული ინფორმაციის შედარება საარქივო მონაცემებთან და შეცდომის გასწორების მიზნით, შესაბამისი ინსტრუქციით, ფაკულტეტებზე/სკოლებში გადაგზავნა, ინფორმაციული ბარათის მომზადების ან/და შეცდომის გასწორების მიზნით. რთულ შემთხვევებში ოფიციალური მიმოწერისა და შეხვედრების სახით პროცესში ჩართულ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში სულ მომზადდა 223 ბრძანება დიპლომის განმეორებით და დიპლომის დუბლიკატის გაცემის შესახებ.

2016 წელს უნივერსიტეტის იურიდიულმა სამსახურმა სხვადასხვა საქმისწარმოებასთან დაკავშირებით მოამზადა 800 სამსახურებივი ბარათი, 72 მინდობილობა.

2016 წელს იურიდიულმა სამსახურმა, მიღებული 4945 დავალებიდან დაასრულა 3522-ზე მეტი დავალება. მათ შორის მომზადდა და ხელი მოეწერა 2000-ზე მეტი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს. იურიდიული სამსახურის მიერ შემოწმდა და დავიზდა სხვადასხვა სამსახურიდან და ფაკულტეტიდან/სკოლებიდან შემოსული 3000-ზე მეტი სხვადასხვა ბრძანება და წერილის პროექტი. იურიდიული სამსახური ასევე მონაწილეობდა სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში. სამსახურმა უზრუნველყო შესყიდვებთან, გამომცემლობასთან და სხვა მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების, მათ შორის შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან და სხვა ფონდებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების ვიზირება, სულ 2000-ზე მეტი ხელშეკრულება;

2016 წელს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ფარგლებში მონაწილე პირებთან დაკავშირებით მომზადდა გასაფორმებული ხელშეკრულებები პროექტები, რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტისა და ბენეფიციარის ურთიერთობას, ასევე მომზადდა 2016-2017 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები, მომზადდა და დავიზდა 49 საუნივერსიტეტო მემორანდუმი. ამავე ნიმუშებით მოხდა სხვადასხვა სამსახურების მიერ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ინფორმაციის შეტანა და იურიდიულ სამსახურთან შეთანხმება.

2016 წელს ჩვენი სამსახურის მიერ მომზადდა სხვადასხვა შინაარსის 508 წერილი, რომელიც ეხებოდა სასწავლო, ქონებრივ, სამეცნიერო შინაარსის მიმოწერას როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ისე სხვადასხვა ფიზიკურ, იურიდიულ პირებთან.

2016 წელს ჩატარდა აკადემიური საბჭოს 11 და წარმომადგენლობითი საბჭოს 3 სხდომა, რომელსაც ტექნიკურ დახმარებას უწევდა იურიდიული სამსახური. აკადემიურ საბჭოზე სულ მომზადდა და დამუშავდა 182 საკითხი, ხოლო წარმომადგენლობით საბჭოზე მომზადდა და დამუშავდა 40 საკითხი. იურიდიულმა სამსახურმა უზრუნველყო საკითხთა სამართლებრივი დამუშავება, სხდომების მომზადება, დაოქმება და სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა ან/და შესაბამისი რეაგირებისათვის სხვადასხვა შიდა სამსახურებისათვის თუ ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გაცნობა.

2016 წელს უშუალოდ იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა მომსახურების 145 ხელშეკრულება, რომლიდანაც უნივერსიტეტმა მიიღო შემოსავალი. იურიდიული სამსახურის მიერ ასევე მოხდა შრომითი ხელშეკრულებების განახლება.

2016 წელს მომზადდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო წესები, დებულებები და ცვლილების პროექტი - სულ 15;

2016 წელს მოდიებულ იქნა, შეჯერდა და გაიცა 33 საჯარო ინფორმაცია.

2016 წელს იურიდიული სამსახურის მხრიდან მოხდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან წარმომადგენლობა ორ წარმოებასთან დაკავშირებით.

2016 წელს იურიდიული სამსახური კონსულტაციას უწევდა უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს, სამეცნიერო კვლევით ერთეულებს, სტუდენტებს, უნივერსიტეტთან დაკავშირებულ მოქალაქეებს მათი მომართვის საფუძველზე. ასევე წარმოადგენდა უნივერსიტეტს მაკონტროლებლებთან, ზემდგომ და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.

2016 წელს მიმდინარეობდა 13 სასამართლო დავა.

იურიდიული სამსახური ჩართული იყო ასევე საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობაში, ამასთან დაკავშირებით მოამზადა 16 ბრძანების პროექტი, გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია შესაბამის სამსახურებს.

იურიდიულმა სამსახურმა 2016 წელს მოახდინა უნივერსიტეტის ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მაკონტროლებლებთან შეთანხმება, მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისთვის საქმისწარმოების დაწყება და დასრულება. საჯარო რეესტრში განახლდა იურიდიული სამსახურის მიერ უნივერსიტეტის 14 საკადასტრო კოდზე არსებული ქონების ამონაწერი.

2016 წელს მოხდა მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დიპლომების) უტილიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება, კერძოდ: 1001 ცალი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ჩამოწერის მიზეზების შემოწმება, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში შესაბამისი ფორმით გადაგზავნა, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წერილის შესაბამისად დაბრუნებული სარეგისტრაციო ნომრის მქონე 138 მკაცრი აღრიცხვის ფორმების შემოწმება და გასანადგურებლად მომზადება, 10 ფორმის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გადაგზავნა მათ მიერ შეთანხმებული ფორმის ჩამოწერის მიზნით. ამასთან, უნივერსიტეტში, როგორც სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამონაცვლე საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სხვადასხვა მიზეზით დიპლომის განმეორებით გაცემის გამო, ჩაბარებულია კურსდამთავრებულთა სახელზე გაცემული ისეთი დიპლომის ფორმები, რომლებაც არ აქვთ სარეგისტრაციო ნომერი. მოხდა ამ ტიპის 166 ცალი ფორმის შეფასება, ჩამოწერა და განადგურება. ამ პროცედურებისათვის არსებობს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია და 2016 წელს შედგა ორი სხდომა, რომლის საფუძველზე დაიწერა შესაბამისი სხდომის ოქმები.

2016 წელს იურიდიული სამსახურის მიერ განხორციელდა სამართლებრივი პროცედურები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევასა და მისი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებასთან, ასევე ბიზნესის სკოლიდან აკადემიურ საბჭოში წევრის არჩევნებთან დაკავშირებით.

2016 წელს აღიძრა, გაგრძელდა და დასრულებულია 7 დისციპლინური წარმოება, მათგან ორი მიმდინარე რეჟიმში რჩება. იურიდიულმა სამსახურმა მოახდინა დისციპლინური კომისიის სხდომების ადმინისტრირება, შესაბამისი ოქმების, ბრძანებების მომზადება, შეტყობინებების დაგზავნა. საქმის სირთულეებიდან გამომდინარე, ზოგიერთ საქმეზე იურიდიული სამსახური იყო უნივერსიტეტის წარმომადგენელი შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც მიმდინარეობს საგამომიებო პროცესები.

2016 წელს მომზადდა ასევე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები, წესდება გადაიგზავნა სამინისტროში და მიმდინარეობს სამინისტროს მიერ მითითებულ შენიშვნებზე მუშაობა;

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის 2016 წლის ანგარიში

2016 წელს შეიცვალა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა, დამტკიცდა ადმინისტრაციული-დამხმარე პერსონალის და აკადემიური პერსონალის სამტატო განრიგები. აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებული იყო საკადრო გადაადგილებების განხორციელება. ამასთან, წლის განმავლობაში შეიცვალა და დაიხვეწა თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, იურიდიულ სამსახურთან თანამშრომლობით შეიცვალა შრომითი ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი, რომელიც უფრო დაწვრილებით და ფართოდ აცნობს დაქირავებულს საკუთარ და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს. შეიცვალა თანამშრომელთა საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე წესი და რეგულაცია.

2015 წელს დაიწყო და 2016 წლის განმავლობაში გრძელდება უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა. გაანალიზდა საკადრო საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ბიზნეს-პროცესები, რის შედეგადაც ამჟამად მიმდინარეობს უნივერსიტეტში IC პროგრამული პლატფორმის დანერგვა ადამიანური რესურსებისა და ხელფასების მართვის მიმართულებით.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის პროცესის მართვა. 2016 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტში ოპერირებდა ორი სადაზღვევო კომპანია, რომელთათვისაც ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფდა დაზღვეულ თანამშრომელთა ბაზების ყოველთვიური დინამიკის მიწოდებას და ასევე სადაზღვევო შემთხვევების ადმინისტრირებას; 2016 წლის იანვარში, როგორც კი გამოვლენილ იქნა ტენდერში გამარჯვებული სადაზღვევო კომპანია, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ მაქსიმალურად მცირე დროში მოხდა თანამშრომელთათვის დაზღვევის პირობების გაცნობა და შესაძლო, სხვადასხვა ფასიანი სადაზღვევო ბარათების შეთავაზება. ასევე ორგანიზებულ იქნა თანამშრომლების განცხადებების მიღება, სადაც ისინი აღნიშნავდნენ სასურველი დაზღვევის ბარათის და დაზღვევის ტიპის (ინდივიდუალური, საოჯახო) შესახებ ინფორმაციას. შედეგად, უნივერსიტეტმა დააზღვია 800-მდე თანამშრომელი და თანამშრომლის ოჯახის წევრი. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ყოველთვიურად აწარმოებდა ცვლილებების შეტანას დაზღვეულთა შემადგენლობაში და ამ დინამიკას შესაბამისი ბაზების სახით აწვდიდა როგორც სადაზღვევო კომპანიას, ასევე უნივერსიტეტის ბუღალტერიას. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ასრულებდა უნივერსიტეტის მხრიდან სადაზღვევო კომპანიასთან კომუნიკატორის ფუნქციას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური მიმართულებების მუდმივი განვითარების პროცესის გამო, 2016 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა აკადემიური პერსონალის სამტატო განრიგი. გამოცხადდა დაახლოებით 1500-მდე აკადემიური თანამდებობებზე, აღნიშნულ პროცესს სრულად აორგანიზებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; ამასთან, 2016 წელს უზრუნველყოფილ იქნა როგორც აკადემიური, ასევე მასწავლებელთა პერსონალის წულ დაახლოებით 1000-მონაცემთა განახლება, პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური საქმიანობის, სამეცნიერო მიღწევების და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

2016 წლის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი და გადაცდომების შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ჩატარებული დისციპლინური საქმისწარმოების საფუძველზე, ხორციელდებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომის შეფარდება თანამშრომლებისათვის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.

გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსები სხვადასხვა სამსახურების დამხმარე პერსონალის ვაკანტურ თანამდებობებზე, ამასთან, მუდმივად ხორციელდება უნივერსიტეტის სტუდენტების შერჩევა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირების გავლის მიზნით. პოზიციის თავისებურების მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ან თვითონ ადგენდა კონკურსის პირობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და შეფასების მეთოდებს დადგენას, ან უზრუნველყოფდა შესაბამისი კომისიების შექმნას და მონაწილეობდა კონკურსის ორგანიზებაში. კონკურსების შედეგად შერჩეულ იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომელთა ბაზების წარმოება. 2016 წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა uni.ege.ge-ს ბაზის წარმოება და მუდმივი განახლება. განახლდა სხვადასხვა აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ დაცული პერსონალური ინფორმაცია, მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გამოქვეყნებული შრომების სია. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის თანამშრომლების, მიმდინარე კონკურსებისა და ვაკანსიების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სხვა მსგავსი სფეროების შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას.

2016 წელს ჩატარდა თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანია თანამშრომელთა კმაყოფილების დონის ან მათი უკმაყოფილების იდენტიფიცირება სამუშაო გარემოსა და პირობების, სამუშაოს შინაარსის, ხელფასის, მოტივატორებისა და ა.შ. მიმართ.

2016 წელს შემუშავდა და 2017 წლის 1 იანვრიდან დაინერგება ადმინისტრაციული-დამხმარე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა. თითოეული სამსახურის ბიზნეს-პროცესების, თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და დებულებების გაანალიზების შედეგად, განისაზღვრა ის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები და ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს თითოეული თანამშრომელი თითოეულ სამსახურში. შემუშავდა შესრულებული სამუშაოს შეფასების წესი.

გარდა ყველა ზემოთ აღნიშნული საქმიანობისა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს წლის განმავლობაში შესასრულებლად დაეწერა დაახლოებით 5000 წერილი და 980 ცნობა, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფილ იქნა შეფერხებების გარეშე, მომზადდა 2180-მდე საკადრო შინაარსის ბრძანება და გაფორმდა დაახლოებით 5200 ხელშეკრულება.

შესყიდვების სამსახურის 2016 წლის ანგარიში

მიმდინარე წელს შესყიდვებში შემოსულია 2400 - ზე მეტი მოთხოვნა. აღნიშნული მოთხოვნების საფუძველზე ჩვენი მხრიდან ჩატარდა შესყიდვისათვის საჭირო შემდეგი პროცედურები:

- 2016 წელს, ჩვენ მიერ გამოცხადდა – 240 (ორას ორმოცი) ტენდერი, საიდანაც: 5 (ხუთი) არის ელექტრონული ტენდერი ხოლო 235 (ორას ოცდათხუთმეტი) არის გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. 182 (ას ოთხმოცდაორი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „ხელშეკრულება დადებულია“;
- 1 (ერთი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „წინადადების მიღება დასრულებულია“;
- 1 (ერთი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „შერჩევა/შეფასება“;
- 8 (რვა) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“;
- 37 (ოცდაჩვიდმეტი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „არ შედგა“;
- 3 (სამი) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „შეწყვეტილია“;
- 8 (რვა) ტენდერზე მინიჭებულია სტატუსი – „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“.

ასევე განსაკუთრებით გვინდა ავღნიშნოთ, რომ შესყიდვების სამსახურმა განახორციელა ძალიან მნიშვნელოვანი შესყიდვის და მასთან დაკავშირებული პროცესების ადმინისტრირება, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ:

ა) უნივერსიტეტის კორპუსების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარების მიზნით ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „ალიანსმა“, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის №12/056 ხელშეკრულება, ღირებულებით – 3 575 299,99 (სამი მილიონ ხუთას სამოცდათხუთმეტი ათას ორას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 99 თეთრი) ლარი. გამარტივებული შესყიდვის გზით დაიდო – 180 (ათას რვაას ორმოცდაათი) ხელშეკრულება, რომელიც წინა წელთან შედარებით 17%ით მეტია, რაც ასევე გამოწვეულია უნივერსიტეტის მიერ მიღებული შიდა და საერთაშორისო გრანტების რაოდენობის გაზრდით.

ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული შესყიდვისა და კონსოლიდირებული შესყიდვის შედეგად ხელშეკრულებები დადებულია სხვადასხვა დაფინანსებიდან, კერძოდ: 2016 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები - ის ჯამური თანხა შეადგენს – 6,072,073.58 (ექვსი მილიონ სამოცდათორმეტი ათას სამოცდაცამეტი ლარი და 58 თეთრი) ლარს.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების ფარგლებში (მათ შორის სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება) დადებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს – 4,178,937.66 (ოთხი მილიონ ას სამოცდათვრამეტი ათას ცხრას ოცდაცვიდმეტი ლარი და 66 თეთრი) ლარს.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს – 287,964.60 (ორას ოთხმოცდაშვიდი ათას ცხრაას სამოცდაოთხი ლარი და 60 თეთრი) ლარს.

სხვა საერთაშორისო ფონდებიდან გაცემული გრანტების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს – 513,943.81 (ხუთას ცამეტი ათას ცხრაას ორმოცდასამი ლარი და 81 თეთრი) ლარს. შესყიდვების სამსახურმა რა თქმა უნდა მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის მიერ გამართულ ღონისძიებებში და ყველა საქირო შესყიდვა განხორციელდა დროულად.

მნიშვნელოვანია ორიოდ სიტყვით მოგახსენოთ 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

მომდევნო წლის შესყიდვის გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული იქნა მსგავსი შესყიდვების განხორციელების წინა წლების გამოცდილება, ასევე ყველა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულისგან წარმოდგენილი იქნა სავარაუდო შესყიდვების ჩამონათვალი, რომელიც გვეხმარება დაგეგმვაში, თუმცა

მეტ წილად დაკონკრეტებული (ამა თუ იმ საქონლის ზუსტი ჩამონათვალი) არ არის რიგი შესყიდვის ობიექტები, რის გამოც სრულყოფილად ვერ ხერხდება ბაზრის კვლევის ჩატარება. გეგმის შედგენის დროს არარეზიდენტი იურიდიული პირებისგან საქონლისა თუ მომსახურების შეძენისას გათვალისწინებული იქნა ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსი აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში: 1 აშშ დოლარი=3,00 ლარი და 1 ევრო=3,00 ლარი. ასევე 2017 წლის შესყიდვების დაგეგმვაში, რიგ პოზიციებზე გამოვიყენეთ

კონსოლიდირებული ტენდერის ფასების სტატისტიკური მონაცემები.

ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის მოკლე მონახაზი იმისა თუ რა სახის შესყიდვები (მონეტარული ზღვრების მითითებით) განვახორციელეთ 2016 წლის პერიოდში.

დასასრულს გვინდა ავღნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს შესყიდვების სამსახურის თითოეულმა თანამშრომელმა, ვფიქრობთ წარმატებით გაართვა თავი მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს და იმედს გამოვთქვავთ უფრო მეტად წარმატებული იქნება ახალი 2017 წელი უნივერსიტეტისთვის და მისი ერთ-ერთი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულისთვის.

მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის 2016 წლის ანგარიში

სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტისა და მისი თანამშრომლების ძირითადი სამსახურებრივი ვალდებულებები განისაზღვრა შემდეგში, კერძოდ:

- აღსანიშნავია, რომ მთელი წლის მანძილზე უნივერსიტეტის ტრანსპორტით უზრუნველყოფის ორგანიზება განახორციელა სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტმა (მივლინებები, უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრების დახვედრისა და გაცილების ორგანიზება, ექსკურსიები, საველე გასვლები, პრაქტიკები და ექსპედიციები). ასევე უნივერსიტეტის სხვადასხვა ბაზებზე საკვები პროდუქტების, სამეურნეო საქონლისა და მატერიალური მარაგების ტრანსპორტირება. აქვე დავძენთ, რომ 2016 წლის იანვრიდან დღემდე დეპარტამენტმა განახორციელა 240 (ორას ორმოცი) მივლინების ორგანიზება. ასევე სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს უნივერსიტეტის ავტოპარკის გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირებაზე.
- სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლებს ევალებათ ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება, შესაბამისად ღონისძიებების სპეციფიკიდან გამომდინარე აუდიტორიისა და საპრეზენტაციო სივრცის საჭირო ინვენტარით მოწყობა, საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირება სხვადასხვა ინვენტარის სხვადასხვა კორპუსებში, ასევე აუდიტორიების შესაბამისი მოწყობილობებით აღჭურვა.
- უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისად, 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შეძენილ საწვავის განაწილებას და კონტროლს ახორციელებს სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტი.
- სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიმდინარე წელს ეტაპობრივად უზრუნველყვეს უნივერსიტეტის ბალანსიდან ძირითადი აქტივებისა და მატერიალური ფასეულობათა ჩამოწერა და განსაკარგავად გადაცემა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის, მოახდინეს განცალკევება იმ ჩამოწერილი ძირითადი აქტივების, რომლებსაც ხანგძლივი ექპლოატაციის შედეგად მიღებული აქვთ მექანიკური დაზიანებები, დაკარგული აქვთ თვისობრივი მახასიეთებლები და აღარ ექვემდებარებიან აღდგენას, რომლის გატანაც ხდება თბილსერვის ჯგუფის მიერ გამოყოფილ შესაბამის პოლიგონზე სხვადასხვა მისამართებიდან, რომელიც ამ ეტაპზე ხორციელდება (ი.ჭავჭავაძის N32, ქ.ჩოლოყაშვილის 3/5, გ.წერეთლის N1, გ.წერეთლის N3, უზნაძის N68, ბოტანიკურის N1, ნუცუბიძის N77, ზანდუკელის N1 და თბილისის ზღვის მიმდებარე ხეხილ-სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული თავლიდან).
- სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტი, უზრუნველყო წლის განმავლობაში უნივერსიტეტის სხვადასხვა შენობა-ნაგებობებში, მოხმარებული წყლის, ელექტროენერჯის, გაზომომარაგების შესაბამისი ხარჯვის პროცესების, ასევე სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით დასუფთავების თანხის დარიცხვა და შესაბამისი აქტების კონტროლი.
- სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შენობებში ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლს და დასუფთავება/დალაგებას, სადეზინფექციო-სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარებას.
- 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა გ.წერეთლის N3-ში მდებარე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და ი.ჭავჭავაძის N32-ში მდებარე უნივერსიტეტის A და B კორპუსების (მ.შ. B კორპუსის ბიბლიოთეკა) სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო იყო შენობა-ნაგებობების დაცლა, ინვენტარისაგან, ხოლო სარემონტო სამუშაოების შემდგომ ინვენტარის დაბრუნება თავის ადგილზე, რასი უზრუნველყო სამეურნეო

ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამშენებლო-სარემონტოს დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად.

- ასევე, სამეურნეო ადმინისტრირების თანამშრომლებმა უზრუნველყვეს უნივერსიტეტის ყველა სასწავლო კორპუსის მომზადება და დასუფთავება სასწავლო წლის დაწყებამდე.

აქვე დავძენთ, რომ სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტმა, 2016 წლის იანვრის თვიდან დღემდე უნივერსიტეტში განხორციელებულ ყველა ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. თვალსაჩინოების მიზნით გთავაზობთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალს, კერძოდ:

- **2016 წლის 16** ივლისს ლისის ტბაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისმა განახორციელა უნივერსიტეტის **10** წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მაგისტრანტებისა და ბაკალავრების გამოსაშვები ცერემონია. სამეურნეო ადმინისტრირების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამშენებლო-სარემონტოს დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის წინამოსამზადებელი სამუშაოები დაიწყეს რამოდენიმე კვირით ადრე აეწყო მოთხოვნის შესაბამისად კონსტრუქციები და შემდგომ განხორციელდა მათი ტრანსპორტირება. უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი სივრცის მოწყობას უზრუნველყოფდა სამეურნეო ადმინისტრირებისა და სამშენებლო-სარემონტოს დეპარტამენტის თანამშრომლები (ელექტროენერგიით მომარაგება, ბანერების და ინვენტარის განთავსება). აღნიშნულ ღონისძიებაზე მობილიზებული იყო უნივერსიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სამეურნეო ადმინისტრირების თანამშრომლები მიკროავტობუსით და ავტობუსით ახორციელებდნენ სტუდენტებისა და პროფესორების ტრანსპორტირებას გარკვეული ინტენსივობით მეტრო დელისიდან ლისის ტბამდე. იმავე დღეს, ღონისძიების დასრულების შემდგომ, მოხდა კონსტრუქციების დაშლა და ტრანსპორტირება უნივერსიტეტში. აღნიშნული სამუშაოები შესრულდა მაღალ დონეზე და ოპერატიულად, რომელშიც ჩართული იყო სამეურნეო ადმინისტრირებისა და სამშენებლო-სარემონტოს დეპარტამენტის თითოეული თანამშრომელი.

• **ა/წ 29, 30, 31** ივლისს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პარტნიორის სტატუსით მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიაში ყველაზე მაშტაბურ მუსიკალურ ფესტივალზე **Open Air 2016**. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო იყო უმოკლეს ვადებში სამეურნეო ადმინისტრირების თანამშრომლების (მ.შ. სამშენებლო-სარემონტოს დეპარტამენტის თანამშრომლები) მხრიდან ილიაუნის სტენდისა და ინვენტარის ტრანსპორტირება, ხოლო შემდგომ განთავსება შესაბამის ადგილებზე. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო იყო ასევე ღონისძიებამდე **2-3** დღით ადრე შესაბამისი წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, ელექტროენერგიით უზრუნველყოფა აღნიშნული სივრცის, ბანერებისა და შესაბამისი ინვენტარით მოწყობა. აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდგომ მოხდა ილიაუნის სტენდის დაშლა და შესაბამისი ინვენტარის უკან უნივერსიტეტში ჩამოტანა და დასაწყობება. აღნიშნულ ღონისძიებაზე სამეურნეო ადმინისტრირების თანამშრომლებმა, დიდი პროფესიონალიზმით, ოპერატიულად და კეთილსინდისიერად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობები.

<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ხელშეწყობით, ფრენბურთელი გოგონების გუნდმა მონაწილეობა მიიღო და I ადგილი დაიკავა საქართველოს სტუდენტურ ჩემპიონატზე ქვიშის ფრენბურთში</p>	<p>2016 წლის ივლისი</p>
<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ხელშეწყობით ილიაუნის ფრენბურთელი გოგონების გუნდმა მონაწილეობა მიიღო და III ადგილი დაიკავა საქართველოს სტუდენტურ ოლიმპიადაზე</p>	<p>2016 წლის ოქტომბერი</p>
<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ხელშეწყობით, ილიაუნის ფრენბურთელი ვაჟების გუნდმა მონაწილეობა მიიღო და II ადგილი დაიკავა საქართველოს სტუდენტურ ჩემპიონატზე</p>	<p>2016 წლის თებერვალი-ივნისი</p>
<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ხელშეწყობით, ილიაუნის ფრენბურთელ გოგონათა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ ქვიშის ფრენბურთის ჩემპიონატში და III ადგილი დაიკავა.</p>	<p>2016 წლის აგვისტო</p>

<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის მიერ შერჩეულმა მოთამაშეებმა ილიაუნის სახელით I ადგილი დაიკავეს საქართველოს სტუდენტურ ჩემპიონატზე მაგიდის ჩოგბურთში, როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ ჩათვლაში.</p>	<p>2016 წლის ივლისი</p>
<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში (ვაჟები, გოგონები), რომელშიც მონაწილეობა მიიღო ილიაუნის 100-მდე სტუდენტმა</p>	<p>2016 წლის დეკემბერი</p>
<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ჭადრაკში (ვაჟები, გოგონები), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე სტუდენტმა</p>	<p>2016 წლის დეკემბერი</p>
<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ბილიარდში (ვაჟები, გოგონები), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე სტუდენტმა</p>	<p>2016 წლის დეკემბერი</p>
<p>სპორტული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხდებოდა უნივერსიტეტის კორპუსებში არსებული სტენდების, ილიაუნის ვებ გვერდისა და კორპორატიული მეილების მეშვეობით. ფეისბუქზე, 2016 წლის ოქტომბრამდე ინფორმაცია ვრცელდებოდა ილიაუნის სპორტის სამსახურის გვერდზე, ხოლო 2016 წლის ოქტომბრიდან - ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის გვერდზე.</p>	<p>2016 წელი</p>

<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტში, სპორტის მიმართულებით, 6 თვიანი უხელფასო სტაჟირება გაიარა ორმა სტუდენტმა, რომლებმაც უხელმძღვანელებს 15-კაცა რაგბის და ფეხბურთელი გოგონების გუნდებს. ასევე, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სპორტული აქტივობების საორგანიზაციო საკითხებში</p>	<p>2016 წლის მარტი-აგვისტო</p>
<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ხელშეწყობით, 2016 წლის მანძილზე სტაბილურად ვარჯიშობდა ფუტსალის ნაკრები, რომელმაც განიცადა რეორგანიზაცია. გუნდი დატოვა ბევრმა ძველმა მოთამაშემ, რომლებმაც დაამთავრეს უნივერსიტეტი. გუნდს შეემატნენ ახალი მოთამაშეები, რომელთაგანაც რამოდენიმე მალევე მოხვდა ნაკრებში. დანარჩენები აგრძელებენ ვარჯიშს და ემზადებიან 2017 წელს გასამართი ჩემპიონატებისთვის.</p>	<p>2016 წელი</p>
<p>სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ხელშეწყობით, ილიაუნის ფუტსალის ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თასის გათამაშებაში. ილიაუნის გუნდმა 30 გუნდს შებლო გასვლა ნახევარფინალში, რომელიც ამ დოკუმენტის შედგენის მომენტში ჯერჯერობით არ არის ჩატარებული. ნახევარფინალი იმართება 2016 წლის 19 დეკემბერს.</p>	<p>2016 წლის ოქტომბერი-დეკემბერი</p>

ბიბლიოთეკის 2016 წლის საქამიანობის ანგარიში

შენიშვნა: ანგარიშში არ არის შესული მიმდინარე წლის, დეკემბრის თვის მეორე ნახევრის მონაცემები.

1. მომსახურების განყოფილება

- I. ბიბლიოთეკის სერვისებზე მკითხველთა მოთხოვნა
- II. ბიბლიოთეკის დარბაზები
- III. ღონისძიებები
- IV. პროფესიული განვითარება
- V. შიდა პროექტები
- VI. ცირკულაციის პროცესების ავტომატიზაცია
- VII. ასლგადამღები პუნქტების ხარჯთაღრიცხვა

I. ბიბლიოთეკის სერვისებზე მკითხველთა მოთხოვნა

2016 წლის 4 იანვრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სხვადასხვა სერვისზე (ელექტრონული შეკვეთა; ბიბლიოთეკათშორისი შეკვეთა; შეეკითხე ბიბლიოთეკარს და სხვ.) მონაცემთა შეგროვება მიზნად ისახავდა, მკითხველის მიერ მათზე მოთხოვნის რაოდენობისა დადგენას და აქტიურად მოთხოვნილი ლიტერატურის განსაზღვრას.

~~წიგნის ელექტრონული შეკვეთა~~

ელექტრონული შეკვეთის სერვისზე წარმოდგენილი მონაცემი ეყრდნობა მკითხველის მიერ ელექტრონულად შევსებულ ფორმას, რომელიც აისახება ელექტრონულ ბაზის შემდეგი მონაცემებში: მკითხველის სახელი და გვარი, სტატუსი ელ. ფოსტა, ტელეფონი, წიგნის ავტორი, სათაური, შეკვეთის ადგილი (დარბაზი, საიდანაც სურს მკითხველს წიგნის გატანა). აღნიშნულ პერიოდში ელექტრონულ შეკვეთაში შემოსულია 2880 მოთხოვნა.

2880 ელექტრონულად შემოსული შეკვეთიდან:

- ✓ 387 გაკეთებულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და თანამშრომლის მიერ.

- ✓ 2432 - სტუდენტის მიერ
- ✓ 61 - გარეშე პირის მიერ.

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია [იხ. აქ](#)

ბიბლიოთეკატმორისი სერვისი

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკატმორისი სერვისის ფარგლებში შემოსულია 389 ეკვეთა, აქედან, 330 დასახელების ეგზემპლარი მოტანილია მკითხველისთვის.

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია [იხ. აქ](#)

შეეკითხე ბიბლიოთეკარს - librarian@iliauni.edu.ge

“შეეკითხე ბიბლიოთეკარს“ სერვისის ფარგლებში შემოსულია 154 შემდეგი კატეგორიის წერილი: ლიტერატურაზე მოთხოვნა, გატანილ წიგნზე ვადის გადადება სხვადასხვა საკითხები (მაგ: ბაზუბთან დაკავშირებული პრობლემები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და სხვ.)

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია [იხ. აქ](#)

ონლაინ შეკვეთების ამობეჭდვა

წინასწარ, ონლაინ შეკვეთის საფუძველზე ამობეჭდვის სერვისით ისარგებლა 87-მა მკითხველმა.

სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია [იხ. აქ](#)

II. ბიბლიოთეკის დარბაზები

სულხან-საბა ორბელიანის დარბაზის რეორგანიზაცია

სულხან-საბა ორბელიანის დარბაზში (მის: ჭავჭავაძის 32, A409), 2016 წლის მაისი-ივნისის თვეში დაგეგმილ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა აღნიშნულ სივრცეში განთავსებული საბიბლიოთეკო ერთეულების გამობშირვა, დახარისხება და გადასატანად ყუთებში ჩალაგება.

მოცემულ ანგარიშში აღწერილია განხორციელებული საქმიანობები. აღნიშნული საქმიანობა ძირითადი ეტაპისგან შედგებოდა და მიჰყვებოდა შემდეგ თანმიმდევრობას:

1. კრიტერიუმების განსაზღვრა;

პირველ ეტაპზე დადგინდა გადარჩევა-დახარისხების შემდეგი კრიტერიუმები:¹,

¹

- აქტიურად მოთხოვნად ეგზემპლარები
- სილაბუსით გათვალისწინებული და სხვა სასწავლო ლიტერატურა
- რარიტეტული გამოცემები
- მხატვრული, კლასიკური ლიტერატურა
- შინაარსობრივად (მორალურად) მოძველებული წიგნები
- ზედმეტი და არაპროფილური გამოცემები
- პოლიტიკურად აქტუალობადაკარგული გამოცემები
- ფიზიკურად მოძველებული (გაცვეთილი) მასალები.

2. ქართული ფონდის გადარჩევა, დახარისხება:

კრიტერიუმების განსაზღვრისა და შეთანხმების შემდეგ, დაიწყო ქართული ფონდის გამოხშირვა-დახარისხების პროცესი, რის გამოც თითოეული წიგნი შემოწმდა 1. ელექტრონულ კატალოგში და დადგინდა გატარებული, რეინვენტარიზებული ერთეულების რაოდენობა, 2. ასევე გამომცემლობებისა და წიგნის მაღაზიების ვებ-გვერდებზე მოცემულ კატალოგებში, ბეჭდვის ტენდეციების დასადგენად (არის თუ არა ახალი გამოცემები, არის თუ არა მსგავსი შინაარსის გამოცემები და სხვ.)

3. რუსული და უცხოენოვანი კლასიკური ლიტერატურისა და ქართველი ავტორების უცხოენაზე ნათარგმნი ნაწარმოებების გამოხშირვა:

შემდეგ გადაირჩა რუსული და უცხოენოვანი ლიტერატურა. საწყის ეტაპზე ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ გამოიხშირა მხატვრული, კონკრეტულად კი, კლასიკური ლიტერატურა, ასევე, საქართველოს შესახებ და ქართველი ავტორების უცხო ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებები. აღნიშნული ლიტერატურა განთავსდა ცალკე ყუთებში და დაიგეგმა მათი შემდგომში ელექტრონულ კატალოგში შეყვანა.

4. პერიოდული გამოცემების გადარჩევა, დახარისხება;

პერიოდული გამოცემების გადარჩევა მოხდა, ზემოთ აღნიშნული იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მათ შინაარსსა და ფიზიკურ მდგომარეობას შეესაბამებოდა. ასევე შემოწმდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, ელექტრონული ვერსიების არსებობის დასადგენად, ის დასახელებები რომლებიც აღმოჩნდა მომზადდა ფონდიდან გასარიცხად, დანარჩენები კი, ცალკე ყუთებში ჩაეწყო და დაიგეგმა მათი რეინვენტარიზაცია.

5. სანოტო გამოცემების გადარჩევა, დახარისხება

სანოტო გამოცემების გადარჩევაც დაეყრდნო შემუშავებულ კრიტერიუმებს (ძირითადად ფიზიკურ მდგომარეობას), ასევე საგნობრივი მიმართულების კონსულტანტის რეკომენდაციას.

6. საგნობრივი მიმართულების კონსულტანტების პროცესში ჩართვა

საგნობრივ კონსულტანტებთან ერთად და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე გადაარჩიეს და ყუთებში დაახარისხეს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების შესაბამისი ფონდები. წიგნების გადარჩევისას მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული მომხმარებლის ინტერესები და სასწავლო მიზნები. დახარისხების შემდეგ გამოიყო სამი ძირითადი კატეგორია: 1. ელექტრონულ კატალოგში შესაყვანი, 2. ფონდიდან გასარიცხი 3 გასაჩუქებელი.²

7. ძირითადი და რარიტეტული ფონდის ჩაწყობა.

საქმიანობის ბოლო ეტაპზე ყუთებში კლასიფიკაციის შესაბამისი თანმიმდევრობით ჩალაგდა ფონდის ელექტრონულ კატალოგში შეყვანილი ნაწილი, ასევე რარიტეტული გამოცემები. გამონაკლისს წარმოადგენდა აქტიურად მოთხოვნილი ლიტერატურა (მაგ: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, ეკონომიკის პრინციპები და სხვ.) და იურიდიული მიმართულების წიგნები, რომლებიც განთავსდა ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილ დროებით სივრცეში (მის: ჭავჭავაძის 32, A206) მკითხველისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით.

8. ფონდიდან გასარიცხი ერთეულები.

ზემოთ აღნიშნული, შვიდივე პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ფონდიდან გასარიცხი ერთეულების საინვენტარო ჟურნალში აღწერა.³

სულხან-საბა ორბელიანის დარბაზის ფონდის გადარჩევა-დახარისხების პროცესი 1 წელზე მეტი მიმდინარეობდა და დაიწყებული იყო 2015 წელს

ლიტერატურის ოთახის ფონდის ჩალაგება-აწყობა

ლიტერატურის ოთახიც (მის: ჭავჭავაძის 32, ლიგამუსის I სართული), ისევე როგორც სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი, 2016 წლის მაისი-ივნისის თვეში დაგეგმილ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, დროებით დაიკეტა. აღნიშნულ სივრცეში განთავსებული ფონდი ჩალაგდა ყუთებში. რაც შეეხება, დარბაზის გახსნას, სწავლის დაწყებისთვის ფონდი კლასიფიკაციის წესების დაცვით განთავსდა თაროებზე და მკითხველისთვის შესაძლებელი გახდა მათზე ხელმისაწვდომობა.

კვლევითი და ილიას დარბაზის გაერთიანება

²მოცემულ სიტუაციაში გასაჩუქებელი ლიტერატურა გულისხმობს იმ საბიბლიოთეკო ერთეულებს, რომლებიც ბიბლიოთეკის ფონდში საკმარისზე მეტი რაოდენობის აღმოჩნდა და წარმოადგენდა შინაარსობრივად და ფიზიკურად კარ გამოცემას.

³ფონდიდან გასარიცხი და გასაჩუქებელი ერთეულების რაოდენობა იხილეთ, ბიბლიოთეკის ანგარიშის კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის ნაწილში.

2016 წლის ივლისში გაერთიანდა ბიბლიოთეკისკვლევითი (მის: ჩოლოყაშვილის 3-5, F104) და ილიას დარბაზის (მის: ჩოლოყაშვილის 3-5, E249) ფონდები, რის საფუძველზეც მკითხველისთვის ერთ სივრცეში გახდა ხელმისაწვდომი მხატვრული და მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების შესაბამისი ლიტერატურა. პირველ ეტაპზე, კვლევითი დარბაზის ფონდიდან გამორჩეულ იქნა მკითხველის მიერ აქტიურად მოხმარებადი ერთეულები და შესაბამისი საბიბლიოთეკო პროცედურების გავლის შემდეგ განთავსდა ილიას დარბაზში. წიგნების დარჩენილი ნაწილისთვის კი, გამოიყო როგორც ფიზიკური, ასევე ელექტრონული კატალოგში სპეციალური სივრცე, სახელწოდებით „ილიას საცავი“ და აღნიშნული ერთეულები, კატალოგიზაციის პროცესების გავლის შემდეგ დაეწყო თაროებზე. ილიას დარბაზსა და საცავში ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია როგორც სამეცნიერო, ასევე პოპულარული და შემეცნებითი ხასიათის შემდეგი მიმართულების ლიტერატურა:

- ✓ საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- ✓ გამოყენებითი მეცნიერებები და მათემატიკა
- ✓ მედია, ისტორია და გეოგრაფია
- ✓ კომპიუტერული მეცნიერებები, საბიბლიოთეკო საქმე.
- ✓ ფილოსოფია და ფსიქოლოგია
- ✓ თეოლოგია და რელიგია
- ✓ მხატვრული ლიტერატურა.

ზემოთ აღნიშნულ პროცესი 2 თვის განმავლობასი ხორციელდებოდა.ხ

III. ღონისძიებები

წიგნის მე-18 საერთაშორისო ფესტივალი

2016 წლის 26 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით გამართულ თბილისის წიგნის მე-18 საერთაშორისო ფესტივალზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ დამთავალიერებელს საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულების უახლესი სამეცნიერო და კვლევითი ლიტერატურა შესთავაზა.

გარდა ბეჭდური გამოცემებისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ბიბლიოთეკამ საზოგადოებას გააცნო საკუთარი ელექტრონული რესურსები. დამთავალიერებელს საშუალება ჰქონდა, ადგილზე ენახა და პრაქტიკაში გამოეცადა ელექტრონული ბაზების, კატალოგებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის მოხმარების ძირითადი ინსტრუმენტები, მოეძია მისთვის საინტერესო წიგნები და პერიოდული გამოცემები.

წიგნების შესახებ ინფორმაცია იხ. აქ: [ფესტივალის წიგნები 2016](#)

რრარიტეტული წიგნების გამოფენა

2016 წლის 9 დეკემბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის ფარგლებში, ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა უნივერსიტეტში დაცული რარიტეტების გამოფენა.

გამოფენაზე მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ XVI-XIX საუკუნეების პერიოდში დაბეჭდილი, მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების შესაბამისი 50 ეგზემპლარი იშვიათი და უნიკალური გამოცემების დათვალიერების, ასევე, თითოეული წიგნის შესახებ მომზადებული ანოტაციების გაცნობის (იხ. ანოტაციები).

V. პროფესიული განვითარება

მომსახურების განყოფილების თანამშრომელთა თვითშეფასების კვლევა 2016 წლის იანვარში ჩატარდა თვითშეფასების კვლევა, რომელიც მიზანად ისახავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომსახურების თანამშრომელთა მიერ საკუთარი საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებების დადგენას.

კვლევა განხორციელდა ონლაინ გამოკითხვის მეთოდების გამოყენებით. კითხვარი შედგებოდა ე.წ. "დახურული კითხვებისგან", სადაც წინასწარ იყო მოცემული სავარაუდო პასუხები; ასევე იყო "ღია კითხვებიც", სადაც რესპოდენტს საშუალება ეძლეოდა, საკუთარი სიტყვებით ჩამოეყალიბებინა დასმულ შეკითხვაზე პასუხი.

კვლევა ძირითადად შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

- I. მომსახურების განყოფილების მარეგულირებელი დოკუმენტები
- II. ელექტრონული რესურსები და შესაძლებლობები
- III. ბიბლიოთეკის გუნდის წევრობა
- IV. დროის მენეჯმენტი
- V. კონფლიქტების მართვა
- VI. კოლეგიალობა
- VII პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა
- VIII. მომხმარებელთან კომუნიკაცია
- IX. ბიბლიოთეკარის პროფესიული საქმიანობის კუთხით მომხმარებლის დახმარება
- X. ბიბლიოთეკარის პროფესიონალიზმი XI პროფესიული განვითარების საჭიროება

კვლევის შედეგად ძირითადად გამოიკვეთა:

- ბიბლიოთეკის მომსახურების თანამშრომლები კარგად იცნობებენ სარგებლობის წესებს და მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობენ აღნიშნული

დოკუმენტით, თუმცა მაინც საჭიროებენ გარკვეულ საკითხებზე შეთანხმებასა და ერთიანი მიდგომის დაცვას.

- მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულები ერთ გუნდათ მოაზრებენ საკუთარ თავს, უყვართ საკუთარი საქმიანობა და დასაქმების ადგილი, ნაკლებად ერთვებიან ბიბლიოთეკის facebook გვერდის საშუალებით ბიბლიოთეკის შესახებ საზოგადოების ცნობადობის ამაღლების საკითხში.
- გამოიკვეთა საჭიროება ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებისა და ამ კუთხით პრაქტიკული უნარების განვითარების.
- კონფლიქტების მართვისა და კოლეგიალობის თვალსაზრისით საკითხის შეჯამებისას გამოიკვეთა, რომ ამ კუთხით პრობლემები ნაკლებია და თანამშრომლებს შორის ჩამოყალიბებულია პოზიტიური ურთიერთობები.
- დროის მენეჯმენტის შესახებ საკითხის განხილვისას, აღმოჩნდა: მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობენ დროულად გამოცხადდნენ სამსახურში, დაიცვან დედლაინები, მაინც უჭირთ დროის მართვა.
- რაც შეეხება პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, ამ ეტაპზე გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები, იხ თავი XI და ასევე, საერთო მონაცემებზე დაყრდნობით, საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ ნაკლებ ინფორმირებულობა, ელექტრონული რესურსების მოძიების ინსტრუმენტების ფლობა (ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, საავტორო უფლებების დაცვა საბიბლიოთეკო სივრცეში, ინფორმაციის სანდოობის განსაზღვრა და ა.შ).
- მომხმარებელთან კომუნიკაციის საკითხში გამოკითხულები თვლიან, რომ მომხმარებლები კმაყოფილები არიან მათ მიერ შეთავაზებული სერვისებით.
- ბიბლიოთეკარის პროფესიული საქმიანობის კუთხით მომხმარებლის დახმარებას რაც შეეხება, გამოიკვეთა, რომ თანამშრომლების მხრიდან ყოველთვის არ ხდება ყველა იმ საჭირო სერვისსა და რესურსის მიწოდება მკითხველისთვის, რასაც ამ ეტაპზე ბიბლიოთეკა ფლობს.
- თანამშრომლების მიერ საკუთარი პროფესიული განვითარება 5 ბალიანი სისტემის მიხედვით შემდეგნაირად შეფასდა: 6 გამოკითხული - 5 ქულა, 7 გამოკითხული - 4 ქულა და 3 - 3 ქულა, მიღებული შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ თანამშრომლების ნაწილი საჭიროებენ გარკვეულ საკითხებზე კონსულტირებას.

ტრენინგი - დროის მართვა

თვითშეფასების კვლევიდან გამომდინარე ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად გამოიკვეთა დროის მართვა. აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა ტრენინგ-

მოდული, რომელიც მიზნად ისახავდა დროის ეფექტურად მართვის მრავალფეროვანი სტრატეგიების გაცნობასა და პრაქტიკულ გამოყენებას. ტრენინგის ინტერაქტიულ ხასიათს ატარებდა და ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდებს შორის იყო, სიტუაციების განხილვა, დისკუსიები, თემატური პრეზენტაციები და სხვ.

ტრენინგის ხანგრძლივობა 3 საათს შეადგენდა.

ტრენინგში მომსახურების განყოფილების ყველა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

ბიბლიოთეკის სივრცეში საკომუნიკაციო ინგლისურის ტრენინგ-კურსი
თვითშეფასების კვლევისას ასევე გამოიკვეთა ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის წარმართვისას, საბიბლიოთეკო ტერმინოლოგიის ადეკვატურად გამოყენების პრობლემა, აღნიშნულის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი ტრენინგ-კურსი. ტრენინგ კურსის ძირითადად დიალოგის ფორმატს ითვალისწინებდა და 10 შეხვედრაზე იყო გადანაწილებული. თითოეული შეხვედრა 1 საათსა და 30 წუთს გრძელდებოდა. სულ 7 თანამშრომელი გადამზადდა.

უცხოური ბიბლიოთეკის გამოცდილება

2016 წლის მარტში სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების მუშაობის სპეციფიკების გაცნობისა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, მომსახურების განყოფილების თანამშრომლებმა მოამზადეს სხვადასხვა ბიბლიოთეკის შესახებ პრეზენტაციები, სადაც წარმოდგენილი იყო,

- გერმანიის ბიბლიოთეკების ზოგადი მიმოხილვა, იენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
- გერმანია, ჰაიდელბერგის ბიბლიოთეკა •
- საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა •
- ვარშავის ეროვნული ბიბლიოთეკა
- ჩიკაგოს საჯარო ბიბლიოთეკა

პრეზენტაციების შემდეგ გაიმართა დისკუსია იმის შესახებ, თუ რა გვაქვს საერთო და განსხვავებული წარმოდგენილ ბიბლიოთეკებთან, მათი რომელი გამოცდილება შეიძლება გადმოვიტანოთ საკუთარ პრაქტიკაში და სხვ.

VI. შიდა პროექტები

ფონდების ანოტირება

პროექტის მიზანია, ილიაუნის ფონდის ანოტირების გზით, ხელი შეეწყოს ბიბლიოთეკაში დაცული ნაბეჭდი და ციფრული რესურსების იმგვარად აღწერას, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნას ნაშრომის ავტორზე, შინაარსზე, ძირითად დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე.

პროექტი 2014 წლის 24 თვეებს დაიწყო და ბიბლიოთეკის სერვისებისა და კატალოგიზაციის განყოფილების ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს. 2016 წელს მომსახურების განყოფილების თანამშრომლების მიერ მომზადებულია 600-მდე როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვი რესურსის ანოტაცია.

ავტორეფერატების გაციფრება

2016 წლის იანვრიდან ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ ინტენსიურად დაიწყო ბეჭდური სახით არსებული ავტორეფერატების გაციფრება. პროექტი ფორმატში მათდაცვა-შენახვასა და სამეცნიერო-კვლევითი მიზნებით მათზე წვდომას ისახავს მიზნად. ნაშრომები მოიცავს 1960 წლიდან 2006 წლის ჩათვლით ავტორეფერატების 892 ეგზემპლარს.

პროექტისთვის შეირჩა ის ნაშრომები, რომელიც

- აკმ. საქართველოში გამოცემული ავტორეფერატები
- საბჭოთა კავშირში გამოცემული ქართველი ავტორების ავტორეფერატები
- საქართველოს შესახებ გამოცემული ავტორეფერატები
- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტში დაცული ნაშრომები

გაციფრების პროცესისთვის აუცილებელი ეტაპები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1. ნაბეჭდი ავტორეფერატების სპეციალურ ცხრილში აღწერა
2. ნაბეჭდი ავტორეფერატების დასკანერება-დამუშავება
3. გაციფრებული ავტორეფერატების სპეციალურად შექმნილ ელ. საცავ eprints-ზე განთავსება.
4. ელსაცავში ატვირთული ავტორეფერატების სპეციალურ ცხრილში აღწერა.

ამ ეტაპზე გაციფრებული და საიტზე <http://eprints.iliauni.edu.ge/> განთავსებულია 1816 ავტორეფერატი. რომელთაგან 1791- რუსულ ენაზე, ხოლო 25 ცალი ქართულ ენაზეა., საიდანაც 211 დასახელების ერთეული 2015 წელს არის გაციფრებული.

VI. ცირკულაციის პროცესების ავტომატიზაცია

2016 წლის ოქტომბერში ილიაუნის ბიბლიოთეკამ დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს ბიბლიოთეკის ცირკულაციის პროცესების ავტომატიზაციასა და არგუსის მონაცემთა ბაზიდან მკითხველის შესახებ ავთენტური მონაცემის წამოღებას. აღნიშნული პროექტის შედეგად, შესაძლებელი გახდება ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მიერ გატანილი და დაბრუნებული საბიბლიოთეკო ერთეულების პროგრამული დამუშავება, მკითხველის ისტორიის შენახვა, ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და ყველა დარბაზის თანამშრომლისთვის მისი ხილვადობის უზრუნველყოფა.

პროგრამის დანერგვა იგეგმება 2017 წლისპირველ ნახევარში.

VVII ასლგადამღები პუნქტების ხარჯთაღრიცხვა

ბიბლიოთეკში ფუნქციონირებს სამი ასლგადამღები პუნქტი, რომლებიც შემდეგ მისამართზე მდებარეობენ:

- პუნქტი 1: ჩოლოყაშვილის 3-5, E307
- პუნქტი 2: ილია ჭავჭავაძის გამზ. 32, A 206 •
- პუნქტი 3: ილია ჭავჭავაძის გამზ. 32. A 206

ასლგადამღები პუნქტების ხარჯთაღრიცხვაში წამოდგენილი მონაცემები აღებულია 2016 წლის 24 მარტიდან 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

შავ-თეთრი	
ამობეჭდილი გვერდების რაოდენობა -	617893
აქედან სერვისის საჭიროებისათვის ტესტირების დროს გვერდების რაოდენობა	2095
ჯამში დაბეჭდილია	615798
ჯამში ღირებულება (ლარი)	17242.344

ფერადი	
ამობეჭდილი გვერდების რაოდენობა -	1037
აქედან სერვისის საჭიროებისათვის ტესტირების დროს გვერდების რაოდენობა	148
ჯამში დაბეჭდილია	889
ჯამში ღირებულება (ლარი)	141.351

2. საბიბლიოთეკო ფონდების მენეჯმენტის განყოფილება

2016 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ფონდების მენეჯმენტის განყოფილებამ რამდენიმე ძირითადი მიმართულებით იმუშავა უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ქვემოთ მოცემულია 2016 წელს განხორციელებული ის აქტივობები, რომლებმაც ხელი შეუწევს ბიბლიოთეკის განვითარებას, საუნივერსიტეტო საზოგადოებას სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესებასა და უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის გაღრმავებას.

კოლექციების განვითარება

2016 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ საინფორმაციო რესურსის გამდიდრების მიზნით სხვადასხვა ტიპის შესყიდვა განახორციელა. ბიბლიოთეკამ წიგნების არჩევისას იხელმძღვანელა უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხელმძღვანელებისა და პროფესორ-მასწავლებლების წარდგინებისა და სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე. სასწავლო და კვლევითი ლიტერატურის საჭიროებიდან გამომდინარე 2016 წელს შემენილი ლიტერატურა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- | | |
|------------------------|----------------------------------|
| ✓ ანთროპოლოგია | ✓ სოციალური მეცნიერებები |
| ✓ ფსიქოლოგია | ✓ სამართალი |
| ✓ ფილოსოფია | ✓ ადამინის უფლებები |
| ✓ ენათმეცნიერება | ✓ პოლიტოლოგია |
| ✓ მარკეტინგი | ✓ აკადემიური წერა |
| ✓ ფინანსები | ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები |
| ✓ მხატვრული ლიტერატურა | |

დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა როგორც ბიბლიოთეკის, ასევე ცალკეული ფაკულტეტის/ სკოლის, კვლევითი ინსტიტუტების/ ცენტრების ბიუჯეტი, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ფულადი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები.

გრანტი

2016 წელს ბიბლიოთეკამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან მიღებული 8 გრანტის ფარგლებში შეისყიდა 66 დასახელების 83 ერთეული საინფორმაციო რესურსი, რომელთა ღირებულება შეადგენს 8513.54 ლარს.

გრანტების საერთო ღირებულება შეადგენს: 8513.54 ლარს.

სუბსიდია

სასწავლო და კვლევითი პროცესისთვის საინფორმაციო რესურსის შესყიდვის მიზნით უნივერსიტეტის სუბსიდიის ფარგლებში 2016 წელს გამოიყო 3570 ლარის ოდენობის თანხა, რის საფუძველზეც ბიბლიოთეკამ შეიძინა 38 დასახელების 44 ერთეული წიგნი.

სუბსიდიის საერთო ღირებულება შეადგენს: 3570 ლარს.

ბიუჯეტი

უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში 2016 წელს ბიბლიოთეკამ შეისყიდა 339 დასახელების 573 ერთეული 39882.84 ლარის ღირებულების წიგნი.

ბიუჯეტის საერთო ღირებულება შეადგენს: 39882.84 ლარს.

2016 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ შეისყიდა 51 967 ლარის ღირებულების წიგნები⁴.

პრესა

პროფესორ-მასწავლებლებისა და ბიბლიოთეკარების წარდგინების საფუძველზე ბიბლიოთეკამ 2016 წელს შპს „ელვა.ჯი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გამოიწერა 6 დასახელების ჟურნალ-გაზეთი. პრესის შესყიდვის ანგარიშსწორება ხორციელდება ნაწილ-ნაწილ. იმდინარე წელს სამტრანშად გადაირიცხა 665 ლარის ოდენობის თანხა⁵.

ერთი წლის განმავლობაში პრესის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 900 ლარს.

⁴ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს 2016 წლის 15 დეკემბრამდე, მიმდინარე წლის ბოლომდე დამატებით დაგეგმილია სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის შესყიდვა, საერთო ღირებულებით 17 000 ლარი, მათი მოწოდება განხორციელდება 2017 წლის იანვარ-თებერვალში

⁵მეოთხე ტრანშის გადახდა უნდა მოხდეს 2016 წლის 30 დეკემბერს, რის გამოც ამ ინფორმაციის ასახვა ვერ მოხდა აღნიშნულ ანგარიშში.



კოლექციების ამოღება, შენახვასულხან-საბა ორბელიანის დარბაზის ფონდი

როგორც ყველა ცოცხალი ბიბლიოთეკა, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაც ორიენტირებულია ფონდის განახლებასა და განვითარებაზე. ამისთვის აუცილებელია პერიოდულად როგორც ახალი წიგნების შეძენა, ასევე ფონდის გათავისუფლება დაზიანებული, მორალურად მოძველებული და სასწავლო ან კვლევითი პროცესისთვის შეუსაბამო ლიტერატურისგან. 2016 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა იმუშავა სულხან საბა ორბელიანის დარბაზის ფონდის გამოხშირვისა და გამოუსადეგარი ეგზემპლარების საბიბლიოთეკო ფონდიდან გარიცხვის მიზნით.

სასწავლო კურსებისთვის რიდერების მომზადება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და ფაკულტეტების მოთხოვნის შესაბამისად 2016 წლის მანძილზე დამზადდა 280 კურსის რიდერი (273 ელექტრონული, 7 ბეჭდური). მათი ბეჭდური ეგზემპლარები მიმართულებების მიხედვით განთავსდა სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული ვერსიები აიტვირთა ბიბლიოთეკის ვებ-სივრცეში (რიდერების ვებ-გვერდზე).

რიდერების დასამზადებლად ჯამში გამოყენებულ იქნა 895 მასალა, რომელთაგან 595 ელექტრონული სახით (pdf, word) მოგვაწოდეს, ხოლო 300 - ბეჭდური. სასწავლო მასალებიდან საერთო ჯამში გამოვიყენეთ 86 313 გვერდი.



2015- 2016 წლების შედარება (რიდერები, მასალები)

	რიდერები	დამუშავებული ი მასალა	გვერდები	BA	MA	PhD
2015	167	507	43456	91	66	8
2016	280	895	86313	160	119	1

1. სილაბუსების დამუშავების სტატისტიკა

ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან/სკოლებთან სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. 2016 წლის განმავლობაში დამუშავდა სილაბუსებში არსებული შემდეგი რაოდენობის სასწავლო მასალა:

- ბიზნესის ფაკულტეტი - **380**
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი - **396**
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - **1 559**

2. ბიბლიოთეკის ვებ-სივრცე და ელექტრონული მასალები

ბიბლიოთეკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სერვისების გაუმჯობესების მიზნით ვებ-სივრცეში ცნობადობის გაზრდა და ელექტრონულ მასალებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ბიბლიოთეკის საიტი საკმაოდ მოქნილი, დახვეწილი და მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელია. ელექტრონული ბიბლიოთეკა 2016 წლის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ რესურსებს:

- ელექტრონული წიგნი - **192** ერთეული (82 მათგან ახლავს ანოტაცია)
- ელექტრონული ჟურნალ-გაზეთები - **8** დასახელება (**222** ნომერი)
- ვიდეო მასალა - კურსის „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ ფარგლებში **12** ავტორის შესახებ ვიდეო მასალა

- აუდიო მასალა - კურსის „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ ფარგლებში **10** ავტორის შესახებ აუდიო მასალა.

ამათგან, ქართული ლიტერატურის **96** ელექტრონული წიგნი ხელმისაწვდომია **PDF**, **Mobi** და **ePub** ფორმატებში.

ყოველთვიურად საიტს ემატება ახლად შესყიდული წიგნების მონაცემები (ფოტო და აღწერილობა).

ბიბლიოთეკა სოციალური ქსელის საშუალებითაც ახდენს მკითხველთა ინფორმირებას და დახმარებას. 2016 წლის 14 დეკემბრის მონაცემებით ჩვენს ფეისბუქ-გვერდს **10 280** მოწონება აქვს. მათი უმეტესობა ჩვენი გვერდის აქტიური მიმდევარია.

სამეცნიერო ელექტრონული ბაზები

1. განხორციელებული შესყიდვები

2016 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა უზრუნველყოფდა წვდომას შემდეგ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, რომელიც მთლიანობაში ფარავს თითქმის ყველა სასწავლო მიმართულებას:

- ✓ EBSCO
- ✓ Political Science Complete (Ebscohost)
- ✓ Humanities Source (Ebscohost)
- ✓ JSTOR
- ✓ Sage Publishing
- ✓ Cambridge University Press Journals
- ✓ Project Muse
- ✓ Science Direct
- ✓ Scopus
- ✓ Web of Science (Thomson Reuters)
- ✓ Journal Citation Report (Thomson Reuters)
- ✓ ProQuest Research Library
 - ✓ IMF Elibrary
 - ✓ DOAJ
 - ✓ The New England Journal of Medicine
 - ✓ BioOne
 - ✓ ElgarOnline
 - ✓ Royal Society Journals Collection
 - ✓ Hinari
 - ✓ Journal of Autism and Development Disorders
 - ✓ Encyclopedia Britannica

აღნიშნული რესურსების შეძენისათვის ბიბლიოთეკამ 2016 წელს გააფორმა ხელშეკრულებები: ა) საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, რომელიც საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონსორციუმების წევრობის გამო ფლობს ბაზების ლიცენზირების უზრუნველყოფის ექსკლუზიურ უფლებას საქართველოში და სარგებლობს მნიშვნელოვანი ფასდაკლებებით. ბ) უშუალოდ სამეცნიერო ელექტრონული ბაზების მომწოდებლებთან.

2016 წელს ბიბლიოთეკამ საერთო ჯამში შეიძინა 157366.84 ლარის, 400 ბრიტანული ფუნტის ღირებულების სამეცნიერო ელექტრონული ბაზები.

2016 წლის განმავლობაში, საცდელ რეჟიმში, ჩართული იყო შემდეგი ელექტრონული ბაზები:

- Bentham Sciences Journals
- eHRAF World Cultures
- eHRAF Archeology
- Pivot TM
- ProQuest Dissertations
- Alexsander Street Publishing

2. ჩატარებული ტრენინგები

ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებისა და აგრეთვე ამ ბაზებში მკითხველისათვის სასურველი მასალის მოძიების უნარების გამომუშავების მიზნით, წლის განმავლობაში ჩატარდა 1 ტრენინგი სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის. ტრენინგის მსვლელობისას მსმენელებს საშუალება ჰქონდათ ერთი მხრივ მოესმინათ ინფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ პრაქტიკული სამუშაოს საშუალებით გაცნობოდნენ ელექტრონული რესურსების სამიზნე ინსტრუმენტებს.

2016 წელს, გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრების დაწყების წინ ჩატარდა ტრენინგები საბაკალავრო საფეხურის სავალდებულო საგნის „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ მასწავლებლებისთვის. ტრენინგში მონაწილეობის შემდეგ, ყველა მასწავლებელი ინფორმირებული იყო სამეცნიერო ბაზების შესახებ. მათ, თავის მხრივ, სალექციო კურსის ფარგლებში ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტებს განუვითარეს სამეცნიერო ბაზებში ეფექტურად მუშაობის უნარები.

მიმდინარე წელს ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო სახის ვორქშოპები:

- ✓ **Ebsco Day Georgia / სამეცნიერო ელექტრონული ბაზები საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში, როგორც კვლევის ხარისხის გაუმჯობესების საშუალება**
- ✓ **Increasing Research Productivity with Using Mendeley / სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესება ელექტრონული რესურსების გამოყენებით - Mendeley -ის შემთხვევა**

3. სტატისტიკური მაჩვენებლები

ელექტრონული ბაზების შესყიდვისათვის ყოველწლიურად დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი გახარჯვისათვის, ბიბლიოთეკა აწარმოებს მომხმარებელთა სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგს. დაკვირვებაზე დაფუძნებული შესყიდვა საშუალებას იძლევა

თავიდან ავირიდოთ საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის ნაკლებად საჭირო და არააქტუალური ელექტრონული რესურსების შესყიდვა.

სტატისტიკური მონაცემების კონტროლისათვის ბიბლიოთეკას თითოეულ ბაზასთან შეთანხმებით შექმნილი აქვს თავისი ადმინისტრატორის გვერდი, რომლის საშუალებითაც ამოწმებს, ერთი მხრივ ბაზის სტატუსს (ჩართულია, გამორთულია თუ შეზღუდულია წვდომა), ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელთა ყოველთვიურ აქტიურობას. ამის საფუძველზე შემუშავდება მომხმარებელთა წლიური სტატისტიკური მონაცემები და ხდება მათი შედარება წინა წლის მონაცემებთან (იხ. დანართი 1).

4.4 საერთაშორისო ურთიერთობები


ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საბიბლიოთეკო კონსორციუმში შემავალ ბიბლიოთეკებთან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ელექტრონული ბაზების თანადაფინანსებით შესყიდვის კუთხით, სხვადასხვა საბიბლიოთეკო ღონისძიებების ორგანიზების და დაგეგმვის მიზნით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ კონსორციუმის შეხვედრებში მომხსენებლებისა და მონაწილეების სტატუსით.

2016 წლის ოქტომბერში, საბიბლიოთეკო ფონდების მენეჯმენტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლალი კახიძე ერასმუსის პროექტის ფარგლებში მობილობით იმყოფებოდა ბურგენლანდის უნივერსიტეტში, ავტრიაში (Fachhochschule Burgenland (University of Applied Sciences), Austria). მობილობის ფარგლებში ის გაეცნო მასპინძელი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკას. ვიზიტის ფარგლებში ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა საბიბლიოთეკო ფონდების, მათზე ხელმისაწვდომობის, დიგიტიზაციის, ელექტრონული საცავის, ელექტრონული კატალოგის, საბიბლიოთეკო სტანდარტების, სამეცნიერო ბაზების და თანამშრომელთა ყოველდღიური საქმიანობის შესახებ.

დანართი #1

სამეცნიერო ელექტრონული ბაზების მოხმარების სტატისტიკა

Science Direct გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები




Science Direct

2014-2015

Year/month	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	Total
2014				25	66	188	141	67	191	133	2158	410	3379
2015	492	550	598	1140	938	662	714	353	445	1460	1160	1078	10 090
2016	1854	1303	986	2520	1600	1191	483	347	483	385	1692		12 844

Scopus




Science Direct

2014-2015

Year/month	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	Total
2014				42	103	44	53	23	113	161	582	310	1431
2015	398	456	319	471	446	390	278	295	457	913	1622	961	6997
2016	1228	1517	1070	1661	204	206	338	94	180	278	767		7543

Jstor




Jstor

2013-2015

Year/month	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	Total
2014	556	492	228	362	312	500	275	157	298	352	1400	728	5660
2015	726	1269	1082	1123	1021	725	913	50	30	236	289	509	7973
2016	714	611	469	1197	951	1382	412	475	313	536	1168		8228

EBSCO



EBSCO


2013-2015

Thomson Reuters (WOS-JCR)

2016⁶

Year/month	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	Total
2011	874	457	444	1340	1969	2165	1454	825	363	782	1179	1494	13346
2012	9064	3400	3592	3028	920	1144	4463	3190	2361	5620	4990	5108	46880
2013	11155	5113	3650	7906	5709	3151	2854	1491	1216	2395	11590	7078	63308
2014	3170	5269	5974	7388	7025	10345	2986	1407	2743	2960	23852	7423	80551
2015	3366	4797	5740	10970	12759	7605	8040	4775	2571	13650	11811	8625	94709
2016	11332	4393	3932	20289	9090	9232	6537	4123	1377	2948	14129		87382


⁶2016 წლის დეკემბრის მონაცემები ხელმისაწვდომი ქინება 2017 წლის იანვრის მეორე ნახევარში



Thomson Reuters (WOS)
2013-2015

Year/month	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	Total
2013	136	208	245	74	410	375	440	67	83	170	228	403	2839
2014	144	103	237	385	376	207	113	104	138	346	399	623	3175
2015	245	775	615	568	993	1047	374	1106	345	623	917	625	8233
2016	739	1061	461	853	660	528	574	244	213	164	379		5876

ProQuest Research Library



ProQuest Research Library

2013-2015

Year/month	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	Total
2013					379	258	259	134	50	100	473	406	2059
2014	347	301	130	204	211	212	232	43	93	145	728	295	2935
2015	563	418	190	493	571	335	41	59	46	616	1763	442	5537
2016	963	552	192	1057	627	809	70	100	99	345	1154		5968

3. კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილება


განახლებული ელექტრონული კატალოგი

2009 წლის დასასრულიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სარგებლობდა კონსორციუმის ტიპის გაერთიანებული კატალოგით, რაც უნივერსიტეტს უქმნიდა გარკვეულ პრობლემებს. კატალოგის ადმინისტრატორის მიერ არასწორად განხორციელებული ოპერაციების შესრულების შედეგად ჩანაწერების დაკარგვის ან სხვა წევრთა მიერ ჩანაწერების დაზიანების არაერთი შემთხვევის შემდეგ 2015 წლის მეორე ნახევარში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, განეითარებინა საკუთარი, ღია წვდომის კატალოგი, რომელიც დაეფუძნებოდა Evergreen 2.10 უახლეს ვერსიას. 2016 წლის დასაწყისიდან აქტიურად მიმდინარეობდა ძველი კატალოგიდან ახალში ჩანაწერების მიგრაციის პროცესი, რაც პარალელურად მოითხოვდა ვერსიის გარჩევას, მისი გაუმჯობესებული ფუნქციების შესწავლასა და დანერგვას. ოთხთვიანი საპილოტე სამუშაოების შემდეგ, მასის შუა რიცხვებიდან მთელმა განყოფილებამ ჩანაწერების შექმნა გააგრძელა უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ელექტრონულ კატალოგში.

ინტერნეტული საინვენტარო ჟურნალი (ისჟ)


2016 წლის მეორე ნახევრიდან განყოფილებამ დაიწყო ინტერნეტული საინვენტარო ჟურნალის განვითარება, რომლის წარმოებაც აქამდე ხდებოდა ელექტრონულად, ექსელის გაფართოების დოკუმენტში. განყოფილების სხვა წევრებთან ერთად, პროგრამის განვითარებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები პროგრამისტი და საინვენტარო ჟურნალზე მომუშავე მთავარი სპეციალისტი. გარდა ავტომატურად გენერირებული საინვენტარო ნომრებისა, პროგრამა იძლევა რედაქტირების, სტატისტიკისა და ანგარიშების წარმოების საშუალებას. მოგვიანებით იგეგმება ცირკულაციის მოდულის მიზმაც საინვენტარო ჟურნალისათვის.

ამ დროისათვის ინტერნეტულ საინვენტარო ჟურნალში ასახულია 55 ათასამდე წიგნი, პერიოდული გამოცემა, დისერტაცია, სანოტო ერთეული, CD/DVD და მუსიკალური ფირფიტა.



ისჟ-ს მიხედვით, ამ დროისათვის დარბაზებში ფონდები განაწილებულია შემდეგი პროპორციით და რაოდენობით:

- ავსტრიული ბიბლიოთეკა – 2143
- აღმოსავლეთმცოდნეობის დარბაზი – 69 •
- ილიას საცავი – 6191
- ლიტერატურის ოთახი ლიგამუსში – 3241 •
- ილიას დარბაზი – 11956
- საგრანტო ფონდი – 652
- სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი – 28706



ილიასა და კვლევითი დარბაზების შეერთება

2016 წლის ზაფხულში განხორციელდა კვლევითი დარბაზის ფონდის დიდი ნაწილის მიგრაცია ახალ სივრცეში - ილიას დარბაზთან არსებულ საცავში, სადაც განთავსდა მხატვრული ლიტერატურის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეთიკის, ლოგიკის, ისევე როგორც რელიგიისა და თეოლოგიის მიმართულების საბიბლიოთეკო ერთეულები. ლიტერატურა ლინგვისტიკისა და ენების მიმართულებით (1400-მდე ერთეული) შეუერთდა სულხან-საბა ორბელიანის დარბაზში განთავსებულ შესატყვის ფონდს. შესაბამისად, მოხდა 7 7200-მდე წიგნისა და პერიოდული გამოცემის ჩანაწერის აღდგენა, გადახედვა, გარკვეული ველების მიმატება და კორექტირება.

სულხან-საბა ორბელიანის დარბაზის ფონდის რეინვენტარიზაცია

წლის განმავლობაში გრძელდებოდა სულხან-საბა ორბელიანის დარბაზის რეინვენტარიზაციის, მორალურად და ფიზიკურად მოძველებული, ასევე ჭარბი ეგზემპლარების იდენტიფიცირების პროცესი, რის შედეგადაც ფონდიდან გაირიცხა 33 602 ერთეული. აღნიშნული რაოდენობა მოიცავდა ისეთ მიმართულებებს, როგორცაა ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა, მხატვრული ლიტერატურა რუსულ ენაზე, ლინგვისტიკა და ენათმეცნიერება, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია და სხვა ზუსტი და საბუნებისმეტყველო დარგები. ფონდიდან საბიბლიოთეკო ერთეულების გარიცხვის კრიტერიუმები შემუშავდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ მომზადებული შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს ჩამოსაწერი საბიბლიოთეკო დოკუმენტების გამოვლენისა და შერჩევის კრიტერიუმებს. ფონდის გადარჩევისა და ელექტრონულ კატალოგში შესაყვანი ერთეულების იდენტიფიცირების პროცესში ჩართული იყვნენ როგორც ბიბლიოთეკის ყველა განყოფილების ხელმძღვანელები და წევრები, ისე ზემოთ ჩამოთვლილი საგნობრივი მიმართულებების შესატყვისი ფაკულტეტების წარმომადგენლები.

მიმდინარე პროექტები

ამჟამად მიმდინარეობს ილია ჭავჭავაძის უცხო ენათა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდის გამომხიროვის პროცესი, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენებით.

2016 წლის ბოლოს დაიწყო და 2017 წლის პირველ ნახევარში დასრულდება ლიტერატურის ოთახის თაროზე განთავსებული ფონდის შედარება ელექტრონულ კატალოგთან. პროცესის შედეგად მოხდება ჩანაწერების სრულყოფა და საჭიროების შემთხვევაში, დარბაზების და საინვენტარო ნომრების კორექტირება.

პროფესიული განვითარება

Evergreen 2.10 ვერსიის დანერგვის შემდეგ საჭირო გახდა თანამშრომელთა უნარ-ჩვევების ამაღლება. ამ მიზნით 10-11 მაისს ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი დედოფლისწყაროში, რომელსაც დაესწრო განყოფილების ყველა კატალოგერი, პროგრამისტი და სხვა განყოფილების თანამშრომლები, რათა ერთობლივად განგვეხილა კატალოგის განახლებული ვერსიის თავისებურებები და სამომავლოდ დასანერგი მოდულების სირთულები.

ოქტომბერში ჩატარდა ერთდღიანი ვორქშოპი, რომლის ჩატარებაც საჭირო გახდა ახალ კატალოგში მუშაობასთან დაკავშირებული სირთულების გადაჭრისა და დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით. შეხვედრის შედეგად შემუშავდა ახალი სამუშაო ინსტრუქციები.


6-13 სექტემბერს განყოფილების ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო Erasmus+ ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგში, რომელიც ჩატარდა ლიმერიკის ტექნოლოგიების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. გამოცდილების გაზიარების მიზნით განყოფილების თანამშრომლებისათვის ვიზიტის შესახებ მომზადდა პრეზენტაცია.

4. წიგნის სახლი „ლიგამუსი“


ფინანსური მხარე

ფინანსურმა აღრიცხვამ გვიჩვენა, რომ შარშანდელ მონაცემებთან შედარებით, 2016 წლის ბრუნვა 16680,96 ლარით ჩამორჩება 2015 წლის ბრუნვას. შესაბამისად, წლიური მოგებაც ნაკლებია და 2016 წლის მოგება უკვე 3739,24 ლარით ჩამორჩება 2015 წლის მოგებას. სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ 2016 წელს მაღაზია სარემონტო სამუშაოების გამო სამი თვის განმავლობაში არ მუშაობდა. თვალსაჩინოებისთვის იხილეთ შემდეგი გრაფიკები.


ბრუნვა 2014–2015–2016 წლებში (თვეების მიხედვით):



მოგება 2014–2015–2016 წლები (თვეების მიხედვით)



მოგება 2014 – 2015 – 2016 წლების მიხედვით:



შენიშვნა: აღნიშნული სტატისტიკა არ მოიცავს 2016 წლის დეკემბრის თვის მონაცემებს სრულად


ბოლო სამი წლის მონაცემით, ყველაზე დიდი მოგება ფიქსირდება 2014 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი მოგება 2016 წელს. თუმცა, თვეების მიხედვით მოგებას თუ დავაკირდებით, დავინახავთ, რომ იანვრის თვეში 2016 წლის მოგება უსწრებს წინა ორი წლის მოგებას, თებერვლის თვეში იგივე მონაცემი 2015 წლისაზე გაცილებით მაღალია და მცირედით ჩამორჩება 2014 წლის მოგებას.

ყველაზე შესამჩნევი სახვაობა არის 2014 წლის მარტის თვეში და 2016 წლის ივლისი, აგვისტო, სექტემბერის თვეებში. 2015 და 2016 წლის მოგება მარტში მცირედით განსხვავდება, თუმცა 2014 წლის მოგებას ბევრად ჩამორჩება. ეს განპირობებულია ფაქტორით: პირველი იმით, რომ 2014 წელს მარტის თვეში გაცილებით მეტი ილიაუნის გამომცემლობის წიგნები გაიყიდა, ვიდრე 2015 და 2016 წლის მარტში. მეორე ის, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს დიდი ფასდაკლება ილიაუნის გამოცემულ წიგნებზე. რაც შეეხება 2016 წლის ივლისი, აგვისტო, სექტემბერის თვეებში სხვაობას, მოგებსენებათ, რომ 2016 წელს 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე, უნივერსიტეტში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, მაღაზია იყო დაკეტილი. ზემოთ აღნიშნული სტატისტიკა არ შეიცავს 2016 წლის დეკემბრის მონაცემებს სრულად, თუმცა არსებული მონაცემითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოგება 2015 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით მაღალია.


წიგნები

2016წლის განმავლობაში, ლიგამუსმა სულ 9001ცალი წიგნი გაყიდა. აქედან7107 ცალი ილიას უნივერსიტეტის მიერ არის გამოცემული, 132 ცალი შესყიდვის ხელშეკრულებით შემოტანილი ინგლისურენოვანი წიგნია, ხოლო 1762 ცალი -სხვა დანარჩენი გამომცემლობების მიერ შემოტანილი. 10 ყველაზე გაყიდვადი წიგნის (ილიას უნივერსიტეტის გამოცემები და სხვადასხვა გამომცემლობები) სტატისტიკა შემდეგ ცხრილშია ასახული:


ილიაუნის გამოცემები (10 ყველაზე გაყიდვადი წიგნი)



სხვა გამომცემლობები (10 ყველაზე გაყიდვადი წიგნი):



2016 წელს შესყიდვის ხელშეკრულებით შემოტანილი წიგნების რეალიზაცია და მოგება შედაგენს 2405,07 ლარს (ღირებულება: 1997,99), ხოლო მოგება 407,08 ლარია. შესყიდული წიგნების 2015 და 2016 წლების ნავაჭრი და მოგება ასახულია ქვემოთ დებარე გრაფიკში:



წიგნის ფესტივალი

2016 წელს წიგნის სახლმა „ლიგამუსმა“ მიიღო მონაწილეობა შემდეგ გამოფენებსა და ფესტივალებზე:

განათლების საერთაშორისო გამოფენა (18 -19 თებერვალი 2016 წელი)


წიგნი და მუსიკა -ფესტივალი (21-24 აპრილი 2016 წელი)

წიგნის 18-ე საერთაშორისო ფესტივალი (26-29 მაისი 2016)

თბილისის წიგნის დღეები (17 -20 ნოემბერი 2016 წელი)

ბოლო სამი წლის ფესტივალებზე ნავაჭრი და მოგება ასე გამოიყურება:

ნავაჭრი 2014-2015-2016 წლები:



მოგება 2014-2015-2016 წლები:




შენიშვნა: აღნიშნული სტატისტიკა არ მოიცავს დეკემბრის თვის მონაცემებს სრულად.

წლებანდელი წელი შარშანდელთან შედარებით ნაკლებად პროდუქტიური აღმოჩნდა. თუ შარშან 8207.95 ლარის წიგნები გაიყიდა (1670 ცალი), წელს გაყიდული წიგნების თანხამ სულ 5895.2ლარი შეადგინა (1052 ცალი). აღნიშნული სხვაობის მიზეზი შესაძლებელია იყოს რამდენიმე: მომხმარებელთა დაბალი აქტივობა; წელს გამოცემული წიგნების მცირე რაოდენობა და ხშირად მოთხოვნად წიგნებზე ფაქტობრივი რაოდენობის არქონა, რაც განპირობებული იყო ტირაჟის ამოწურვით:

- რა არის განმანათლებლობა? - ფუკო კანტი
- კულტურით უკმაყოფილება - ზიგმუნდ ფროიდი
- სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა თბილისის ბაგა ბავშვებისთვის + დანართი
- სოციოლოგია - გრეგ კალჰუნი
- სულიერების შესახებ ხელოვნებაში - ვასილი კანდინსკი
- ადამიანი და ხალხი
- ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან მითი და რეალობა
- ევროპული დემოკრატიები ნაციონალური პოლიტიკური სისტემის შედარებითი მიდგომა
- კულტურები და ორგანიზაციები
- საჯარო მართვა მოქმედების კურსი

2016 წელ ფესტივალებზე ყველაზე გაყიდვადი 10 წიგნი იყო:



ლიგამუსის ბავშვების ოთახი

ყოველშაბათს, 11:00-დან 13:00საათამდე, წიგნის სახლში "ლიგამუსი", 5-12წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ტარდება "ზღაპრის დღე".

შეხვედრების ფარგლებში, ბავშვები ეცნობიან სხვადასხვა მწერლების ლიტერატურას, რომლის მიზანია:

ამაღლოს ბავშვებში წიგნიერების დონე;

დაეხმაროს ზეპირი მეტყველების კულტურის გამომუსავეებაში;

ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი;

განუვითაროს კომუნიკაციის უნარები.

წიგნის კითხვის შემდეგ, ერთი საათის განმავლობაში, ბავშვები დაკავებულნი არიან თემატური აქტივობებით (ხატვა, ძერწვა, როლური თამაშები), რომლის მეშვეობითაც მათ უვითარდებათ კრეატიულობა და მოტორიკის უნარ - ჩვევები.

„ზღაპრის დღის“ ფარგლებში 201წელს გაიმართა 2შეხვედრა. ამ შეხვედრების ფარგლებში, საინტერესო აქტივობების გარდა, ბავშვებთან ერთად, წავიკითხეთ 15-მდე მწერლის ნაწარმოებები, ვუყურეთ ზანიმაციურ ფილმს, ჩავატარეთ ჰამატაბური ღონისძიება, რომელიც მიემდგვნა ასტრიდ ლინდგრენის სდაბადების დღეს, აღდგომასა და სეზონის დახურვას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის სახლში "ლიგამუსი", "ზღაპრის დღე" ტარდება უფასოდ და ასაკობრივი ჯგუფის მიუხედავად ღიაა ყველა ბავშვისთვის.

გამომცემლობის 2016 წლის ანგარიში

2016 წელს, 14 დეკემბრის მდგომარეობით, გამოიცა 17 ახალი დასახელების წიგნი, განხორციელდა 6 გამოცემის რეპრინტი. სულ ჯამურმა ტირაჟმა — 11195 ცალი და თვითღირებულებამ — 47058,11 ლარი შეადგინა (დაწვრილებით იხ. დანართი №1, აქვე — ამჟამად იბეჭდება და დეკემბრის ბოლოს დასრულდება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ფედერალური დახმარების S-GE800-15-FAA-048 გრანტით გათვალისწინებული წიგნი „ტურიზმის საინფორმაციო ტექნოლოგიები“).

სულ 2016 წელს, 14 დეკემბრის მდგომარეობით ბეჭდვის დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების თვითღირებულებაა — 79977 ლარი, მათ შორის:

- 3000 ჯამური ტირაჟით დაიბეჭდა 4 დასახელების ჟურნალი/ყოველწლიური სერიული გამოცემა, თვითღირებულებით — 11405 ლარი;
- დაბეჭდილი ტესტების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 265,207 A4 ფურცელი, თვითღირებულებით — 9704 ლარი;
- დამზადდა 5850 ცალი სავიზიტო ბარათი, 2957 ცალი სერტიფიკატი, სიგელი და დიპლომი, ჯამური თვითღირებულებით — 2757 ლარი;
- დანარჩენი სხვადასხვა პოლიგრაფიული პროდუქციის (სტუდენტთა და სხვადასხვა საკონფერენციო-საინფორმაციო მასალა, ფლაერები, მოსაწვევები, პროგრამები, კითხვარები, კომერციული შეკვეთები და ა. შ.) ჯამურმა თვითღირებულებამ შეადგინა 17403 ლარი;

14 დეკემბრის მდგომარეობით, გამომცემლობის საჭიროებისათვის ქაღალდის, სხვადასხვა პოლიგრაფიული პროდუქციისა და მასალის, ფერდაშლის, ბეჭდვის მომსახურების და სხვ. შესყიდვისთვის გაფორმდა 34 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით — 55176,95 ლარი.

2016 წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით მთარგმნელობით სამუშაოებზე 7457,67, ხოლო სარედაქციო სამუშაოებზე 3985 ლარი დაიხარჯა. მოვიპოვეთ 8 ახალი წიგნის თარგმნისა და გამოცემის უფლება ქვემოთ ჩამოთვლილ წიგნებზე:

- Political Liberalism (Columbia University Press);
- The Philosophy of Sustainable Design (International Living Future Institute);
- The ASAM essentials of addiction Medicine (Wolters Kluwer);
- Evidence-Based Practice of Cognitive Behavioral Therapy (Guilford Publications, Inc.);
- Motivational Interviewing, Third Edition: Helping People Change (Guilford Publications, Inc.);
- The Origins of Political Order (Curtis Brown Group Limited);
- Advanced Introduction to Comparative Constitutional Law (Edward Elgar Publishing Limited);
- Physical Geology. 9 ed. (McGraw-Hill Global Education Holding).

#	დასახელება	ტირაჟი	ერთ. თვითღ.	თვითღ.	შენიშვნა
1	"ზოოლოგიური ლექსიკონი" ISBN 978-9941-18-233-4	300	3.75	1125	
2	2016 წლის ასტრონომიური კალენდარი ISSN 0134-9856 ISBN 978-9941-18-226-6	100	3.55	355	
3	"ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში" ISBN 978-9941-18-240-2	300	5.75	1725	
4	ჰანს ულრიხ გუმბრეხტი, "ფილოლოგიის ძალა" ISBN 978-9941-18-249-5 საპრეზენტაციო სასაჩუქრე ეკვემპლარები	10	4.05	40.5	
5	თ. ვერულავა, "ჯანდაცვის პოლიტიკა" ISBN 978-9941-18-247-1	300	5.25	1575	
6	შორენა მაღლაკელიძე, არჩილ გაგნიძე, ბერიკა შუკაკიძე "ზოგად განათლებაზე გაწეული ხარჯები და სწავლის შედეგები" ISBN 978-9941-18-250-1	150	3.3361	500.415	
7	„დონ ჟუანი“ ლორდ ბაირონი ISBN 978-9941-9117-1	300	5.3	1590	
8	ქართული მითოლოგია 1, ზურაბ კიკნაძე ISBN 978-9941-18-243-3 ISBN 978-9941-18-244-0	500	2.85	1425	
9	ქართული მითოლოგია 2, ზურაბ კიკნაძე ISBN 978-9941-18-243-3 ISBN 978-9941-18-245-7	500	3.25	1625	
10	კრებული "25 Years of Independent Georgia: Achivements and Unfinished Projects" ISBN 978-9941-18-251-8	1000	3.6	3600	
11	ლევან ცაგარელი "კულტურის კვლევების შესავალი" ISBN 978-9941-18-252-5	500	5.07016	2535.08	
12	მარკ ტაშნეტი „შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები“ ISBN 978-9941-18-253-2	300	7	2100	
13	"ახლო აღმოსავლეთი და საქართველო" #9 ISBN 978-9941-18-192-4	185	7.906	1462.61	
14	„ეპიზოდები. ვიდეოფილმებზე აგებული დამატებითი სასწავლო მასალები ქართული ენის შემსწავლელთათვის“, მეორე გამოცემა ISBN 978-9941-18-191-7 თანდართული DVD დისკით	500	8.5	4250	მოხდა ზეჭდვის მომსახურებისა და DVD დისკების შესყიდვა
15	Peter Kabachnik, Ana Kirvalidze, Alexi Gugushvili "Stalin Today: Contending with the Soviet Past in Georgia" ISBN 978-9941-18-191-7	450	9.11	4099.5	მოხდა ზეჭდვის მომსახურების შესყიდვა
16	სერია: "ფილოსოფიური ბიბლიოთეკა" (ISSN 1512-2042) წიგნი 6; დან ზაჰავი, „ჰუსერლის ფენომენოლოგია“ ISBN 978-9941-18-193-1	500	4.45	2225	
17	სერია: "ფილოსოფიური ბიბლიოთეკა" (ISSN 1512-2042) წიგნი 7; ეტეინ ბალიზარი, „მარქსის ფილოსოფია“ ISBN 978-9941-18-194-8	500	4.3	2150	

საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახურის 2016 წლის ანგარიში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო ბაზებისა და დამხმარე ობიექტების მართვის სამსახური 2014 წლის შემოდგომიდან ფუნქციონირებს. სამსახურის მიზანია სტუდენტებისათვის, აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული სტუმრებისათვის რეგიონულ კვლევით ბაზებში შექმნას სამეცნიერო კვლევებისათვის და დასვენებისათვის მშვიდი და კომფორტული გარემო, ხოლო კვების ობიექტების მიერ შეთავაზებულ იქნას მშვიდი და კომფორტული გარემო, ჯანმრთელი და ხარისხიანი საკვები პროდუქცია, დაბალი ფასები. გარდა ამისა, სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებების კვებითი მომსახურება (ფურშეტების ორგანიზება შიდა და გარე შეკვეთებისათვის).

ამ მიზნების მისაღწევად სამსახურის მოვალეობებში შედის ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ობიექტის მართვა:

- უნივერსიტეტის სასადილო N1 ჩოლოყაშვილის 3/5
- უნივერსიტეტის სასადილო N2 ი.ჭავჭავაძის N32
- უნივერსიტეტის წიგნის სახლ “ლიგამუს”-ის კაფე ი. ჭავჭავაძის N32
- უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის კვლევითი ცენტრი
- უნივერსიტეტის აბასთუმანის ცენტრი
- უნივერსიტეტის გრიგოლეთის შავი ზღვის შემსწავლელი ცენტრი
- უნივერსიტეტის ბაკურიანის ალპური ბოტანიკური ბაღი

სამსახურის თანამშრომლებმა 2016 წელს სხვადასხვა მასშტაბის და ხანგრძლივობის ღონისძიებებს

უმასპინძლეს რეგიონულ ბაზებზე. ბაზების გამართული მუშაობისთვის რეგიონებში ჩაატარეს მთელი რიგი სამუშაოები: შესწავლილი იქნა არსებული ვითარება. დეტალურად მოხდა რეგიონალური ბაზების აღწერა და შიდა ინვენტარიზაცია. ყოველწლიური შიდა ინვენტარიზაციით მოხდება არსებული რესურსების გადანაწილება. ასევე სტეფანწმინდასა და აბასთუმანის ობსერვატორიის ბაზებზე ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. სწორედ სამსახურის თანამშრომელთა თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა აქამდე რეკორდული შემოსავლების მობილიზება აბასთუმანის ბაზაზე. შემოსავლების მატება აღინიშნა გრიგოლეთის საზღვაო კვლევით ცენტრშიც. სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო (რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ) სტუმართა ნაკადმა იკლო სტეფანწმინდის ბაზაზე, თუმცა იგი მაინც ჩვენი სამსახურის მართვაში მყოფ ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ობიექტად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მიერ წელს უფრო ნაკლებად დაიტვირთა დედოფლისწყაროს ბაზა (ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო უკანასკნელ მომეტში ხდებოდა გეგმების ცვლილება გასვლითი სემინარებისა თუ სკოლების ჩატარების შესახებ) 2015 წელთან შედარებით თითქმის ანალოგიური მაჩვენებლები იყო ამ ობიექტზეც.

კოლოსალური სამუშაოები შეასრულეს კვებითმა ობიექტებმაც. გარდა საცალო გაყიდვებისა, საიდანაც მიღებული თანხები წელსაც ისევე როგორც გასულ წელს მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა, უნიფუდის სასადილოებმა 200-მდე (!) ღონისძიებას გაუწიეს კვებითი მომსახურება (იგულისხმება ფურშეტი, ყავის შესვენება, ლანჩი, ლანჩ-ბოქსები გასვლითი ღონისძიებებისთვის). გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათგან დაახლოებით მეოთხედი ერთჯერადი კი არ იყო, არამედ 3-5 დღე გრძელდებოდა.

შემუშავდა აღრიცხვისა და კონტროლის ახალი მექანიზმები. კერძოდ, დეტალურად გაიწერა „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეძენილი სასურსათო პროდუქტების აღრიცხვისა და კონტროლის პროცედურები“ და მოხდა ამ პროცედურების ბრძანებით დამტკიცება. კონტროლის ახალი ბერკეტების ამუშავების შემდეგ კიდევ უფრო ზუსტი გახდა სასადილოების შემოსავლებისა და ხარჯების ასახვა.

მიმდინარე წლის გაზაფხულიდან უნივერსიტეტის ცენტრალიზებულ საწყობს ჩამოშორდა ჩვენი სამსახურის

მართვაში მყოფი ობიექტების მიერ სასურსათო პროდუქტების მიღება. ამ პერიოდიდან ჩვენი სამსახურის მოვალეობებს დაემატა შემოსული პროდუქტების დოკუმენტურად გაფორმების პროცედურებიც, როგორც სასადილოებში, ასევე რეგიონულ ბაზებზე. მართალია, ახალი ვალდებულებების დაკისრებამ ჩვენი სამსახურის კონკრეტულ თანამშრომლებს საქმე გაუორმაგათ, მაგრამ ოპერატიულობისა და სიზუსტის თვალსაზრისით წინსვლა სახეზეა.

მიმდინარე წლის საზაფხულო არდადეგები გამოვიყენეთ სასადილო დარბაზების გასაახლებლად. მინიმალური დანახარჯებით მოწესრიგდა ორივე სასადილოს დარბაზები და ახლა მომხმარებელს უფრო ნათელ და ხალისიან გარემოში ვუწევთ მომსახურებას.

2016 წლის მანძილზე მუდმივად გვიხდებოდა მენიუში ცვლილებების შეტანა. ყოველ ახალი ტენდერის შემდეგ იძულებული ვიყავით ხელახლა მოგვეხილა კალკულაციებისა და გასაყიდი პროდუქციის თვითღირებულების გადათვლა. მიუხედავად იმისა, რომ განუხრელად იზრდებოდა ფასები შემოტანილ პროდუქტებზე, ჩვენი ამოცანა იყო მენიუს ფასების ოპტიმიზაცია, ისე რომ, სტუდენტებს კვლავაც შეძლებოდათ დაბალ ფასად კვება. სასადილოებში გასაყიდი პროდუქციის ფართო ასორტიმენტი კვლავაც დიდ მოწონებას იმსახურებს ჩვენს მომხმარებელში, რაც დასტურდება კიდევ 2016 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების განყოფილების მიერ განხორციელებული „უნიფუდით კმაყოფილების კვლევით“. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კვლევები წარსულშიც ტარდებოდა, ხოლო ახლანდელი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ - „ორი წლის წინანდელ სურათთან შედარებით, ყველა კომპონენტის საშუალო შეფასება გაუმჯობესებულია, განსაკუთრებით კეთილგანწყობის თავაზიანობის და მრავალფეროვნების ასპექტში“. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რესპონდენტების აზრით წარმოადგენს სივრცის ნაკლებობა და უნიფუდის არამიზნობრივად გამოყენება (მაგალითად, ჯგუფური მუშაობისთვის, მეცადინეობისათვის). ეს პრობლემა ირიბად მიუთითებს უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის თავისუფალი სივრცის სიმცირის საკითხზე. უნიფუდი დღეისათვის არა მხოლოდ კვების ობიექტი, არამედ სტუდენტების თავმჯდომარის სივრცეა (როგორც დროის გასატარებლად ლექციებს შორის, ისე სამეცადინოდ).

ქვემოთ წარმოგიდგინთ თითოეული ობიექტის უფრო ვრცელ ანგარიშს:

- უნივერსიტეტის სასადილო N1 ჩოლოყაშვილის 3/5

უნივერსიტეტის სასადილოს, მდებარე ჩოლოყაშვილი 3/5, მუშაობა დამოკიდებულია უნივერსიტეტის სასწავლო კალენდარზე, თუმცა მეორე, ჭავჭავაძის 32-ში მდებარე სასადილოსგან განსხვავებით იგი უნივერსიტეტის E და F კორპუსებში მომუშავე ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც ემსახურება. შესაბამისად არდადეგების პერიოდში იკლებს შემოსავლები, მაგრამ ადმინისტრაციული პერსონალის დასაკმაყოფილებლად, არდადეგებზეც განაგრძობს მუშაობას და წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი თვით, აგვისტოში იკეტება.

2016 წელს განსაკუთრებით დიდი იყო ჩოლოყაშვილის 3/5-ში მდებარე სასადილოს მომხმარებელთა რაოდენობა. რეკორდული იყო როგორც საცალო გაყიდვებიდან შემოსული თანხები, ასევე ღონისძიებების კვებითი მომსახურებების რაოდენობაც. ფურშეტების, ყავის შესვენებების, ლანჩების და ა.შ. ნახევარზე ოდნავ მეტი სწორედ ამ სასადილოს მიერ არის განხორციელებული. ჩვენი სამსახურის პერსონალმა წარმატებით გაართვა თავი ამ გამოწვევას და ყველა შეკვეთა დროულად და ხარისხინად შეასრულა.

აღნიშნულ სასადილოს ჩვენი სამსახურის მართვაში მყოფი ობიექტებიდან ყველაზე დიდი შემოსავლები აქვს. მიმდინარე წლის შემოსავლებმა 1

დეკემბრამდე თითქმის 292 ათას ლარს მიაღწია. დეკემბერშიც სავარაუდოდ, 34 ათას ლარზე მეტი ღირებულების მომსახურება იქნება გაწეული.

სასადილო მთელი წლის მანძილზე მუდმივად განახლებად მენიუს სთავაზობდა სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს და თუ გაყიდვების რაოდენობით ვიმსჯელებთ მისი მომსახურება დიდი მოწონებით სარგებლობდა მომხმარებელში.

მომხმარებლისთვის უკეთესი გარემოს შექმნის მიზნით აგვისტოს თვეში სასადილოში შესრულდა სამღებრო-სარემონტო სამუშაოები. უფრო ხალისიანი ფერებით შეიღება დაზიანებული კედლები და ჭერი. დღეს უნიფუდის სასადილო სტუდენტთა თავშეყრის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. გარდა ამისა, განახლებულ გარემოში მიმდინარე წლის შემოდგომა-ზამთარში ჩატარდა სხვადასხვა კლუბების („რა, სად. როდის“; "ინტელექტუალი ეკონომისტები 2016") შემეცნებითი თამაშები.

წარმოგიდგინთ 2016 წლის ფინანსურ ანგარიშს (არ არის შესული დეკემბრის მონაცემები, რადგანაც თვის ბოლომდე არ გვაქვს შემოსავლებსა და ხარჯებზე სრული ინფორმაცია):

ხარჯი	იანვარი-ნოემბერი 2016წ.
ხელფასი	96,588.00
კომუნალური	5679
პროდუქტი	139572
სამეურნეო	5198
სულ	247037

შემოსავალი	იანვარი-ნოემბერი 2016წ.
სალარო	258,965.00
ფურშეტი	32,921.00
სულ	291,886

სხვაობა 44,849.00

• უნივერსიტეტის სასადილო N2 ი.ჭავჭავაძის N32

უნივერსიტეტის სასადილოს, მდებარე ჭავჭავაძის 2-ში, მუშაობა სრულად დამოკიდებულია უნივერსიტეტის სასწავლო კალენდარზე. შესაბამისად დასვენების პერიოდში იკლებს შემოსავლები და ამ სასადილოს მუშაობა არარენტაბელური ხდება. სწორედ ეს ფაქტორია განმსაზღვრელი, რომ აღნიშნულ სასადილოს უფრო ნაკლები შემოსავალი ჰქონდა ვიდრე ჩოლოყაშვილის 3/5-ში მდებარე უნიფუდ-1-ს. უნიფუდ-2-მა 2016წელს 8თვის მანძილზეც ვერ იმუშავა სრული დატვირთვით (თითქმის 1 თვე დაკეტილი იყო თებერვალში სწავლის 1 სემესტრის დასრულებისას, და 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე A და B კორპუსებში მიმდინარე რემონტის გამო). გარდა ამისა, ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს სივრცის ნაკლებობა. სასადილოს დარბაზი საკმაოდ პატარაა და ვერ იტევს ყველა მსურველს. მომხმარებლისთვის ადგილების გაზრდის მიზნით დამატებით დავამონტაჟეთ კედლებთან მაგიდები და შევიძინეთ ე.წ. ზარის სკამები“. თუმცა ფართის ნაკლებობა კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება. გარდა ამისა, საზაფხულო დასვენების პერიოდში სასადილოს დარბაზში ჩატარდა სამღებრო სამუშაოები, შეიცვალა განათებები და სტუდენტებისთვის უფრო მისაღები, კომფორტული გარემო შეიქმნა. კორპუსების რემონტების შედეგად სასადილოს დარბაზის ფართი ოდნავ შემცირდა, თუმცა ჯერ კიდევ გასულ წელს ცალკე გატანილმა ბარმა უფრო მეტი სიმყუდროვე შეიძინა. სასადილოს შეემატა აგრეთვე გარემონტებული სასაწყობო ფართიც, სადაც სათანადოდ აღჭურვის შემთხვევაში შევძლებთ სამეურნეო საქონლისა და მშრალი პროდუქტების (კონსერვების, წყლის) დასაწყობებას. მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა 2016 წელს უნიფუდი-2-ის მიერ მნიშვნელოვანი შემოსავლების მობილიზება მოხდა. დეკემბრამდე შემოსავალი უკვე 103ათას ლარს აღწევდა, დეკემბერშიც სავარაუდოდ 22 ათას ლარზე მეტი ღირებულების მომსახურების გაწევას დაგეგმილი და წლიური ბალანსის დადებითად დასრულებას ველოდებით.

ისევე როგორც უნიფუდი-1, ეს სასადილოც მთელი წლის მანძილზე მუდმივად განახლებად მენიუს სთავაზობდა სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს. ასევე, დაახლოებით 100-მდე ღონისძიების კვებითი მომსახურება იქნა გაწეული 2016წლის მანძილზე, რასაც სასადილოს პერსონალმა წარმატებით გაართვა თავი და მომხმარებელთა კმაყოფილება დაიმსახურა.

წარმოგიდგინთ 2016 წლის ფინანსურ ანგარიშს (არ არის შესული დეკემბრის მონაცემები):

ხარჯი	იანვარი-ნოემბერი 2016წ.
ხელფასი	71,079.00
პროდუქტი	57,230.00
სამეურნეო	2,671.00
სულ	130,980.00

შემოსავალი	იანვარი-ნოემბერი 2016წ.
სალარო	102,138.00
ფურშეტი	28,131.00
სულ	130,269.00

სხვაობა **-711.00**

- უნივერსიტეტის წიგნის სახლის კაფე ი. ჭავჭავაძის N32

2014 წლის ოქტომბერში ამუშავდა უნივერსიტეტის წიგნის სახლის კაფე. აქ დასაქმებული გვყავს მინიმალური პერსონალი, მოლარე- ადმინისტრატორი და 2 სტუდენტი. კაფე მუშაობს დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე და შესაძლებელია ცხელი და ცივი სასმელების, დესერტის და ტკბილეულის შექმნა. აღსანიშნავია, რომ კაფეში რეალიზებული პროდუქციის აბსოლუტური უმეტესობა კონსიგნაციის საფუძველზე მოგვეწოდება და შესაბამისად, ანგარიშსწორება მომწოდებლებთან მხოლოდ რეალურად გაყიდული პროდუქციის საფუძველზე თვეში ერთხელ ხდება.

კაფის როგორც მომგებიანი ობიექტის ფუნქციონირების ძირითად ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი განთავსებულია დარბაზში, რომელსაც სამკითხველოს, სტუდენტთა თავშეყრის ადგილის დანიშნულება აქვს. ხშირ შემთხვევაში სტუდენტთა დიდი რაოდენობით თავშეყრისას, ვერ ხერხდება კაფის მომხმარებელთა დაკმაყოფილება.

გარდა ამისა, კაფის მუშაობა დამოკიდებულია წიგნის მაღაზია „ლიგამუსის“ სამუშაო გრაფიკზე და და შეჩერებული იყო 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე A და B კორპუსებში მიმდინარე რემონტის გამო და შესაბამისად, საცალო

გაყიდვები არ გვქონია. წარმოგიდგინთ 2016 წლის ფინანსურ ანგარიშს:

ხარჯი	იანვარი-ნოემბერი 2016
ხელფასი	12,888.00
პროდუქტი	12,177.00
სულ	25,065.00

შემოსავალი	იანვარი-ნოემბერი 2016
სულ	21,877.00

სხვაობა **-3,188**

• სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ცენტრი

გასულ წელთან შედარებით, 2016 წელს სტეფანწმინდის კვლევითი ცენტრის მიმართ ტურისტებმა ნაკლები ყურადღება გამოიჩინეს. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ბევრი ფაქტორი, კერძოდ:

- სტეფანწმინდაში კონკურენტი სასტუმროების და ე.წ. გესტჰაუზების მატება.
- არ არსებული სარეკლამო და საინფორმაციო სამუშაოები. (ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ამჟამად ახალ ვებ-გვერდს ილიაუნის სასტუმროების შესახებ, რომელიც სავარაუდოდ, მომავალი წლიდან ამუშავდება).
- ადგილობრივი მაცხოვრებლების დამოკიდებულება (ისინი რბილად რომ ვთქვათ არაკეთილგანწყობილნი არიან კონკურენტი ობიექტის მიმართ და ყველა ღონეს ხმარობენ სასტუმროს მომხმარებლის დასაფრთხობად) და სხვა.


ასევე გასათვალისწინებელია რიგი საკითხები, რომლებიც აუცილებელია ობიექტის გამართული მუშაობისათვის, კერძოდ:

- თანამშრომელები და მათი ანაზღაურება. ძალიან რთულია ნორმალური კადრების მოძიება და მათი შენარჩუნება.
- სასტუმროების მატებასთან დაკავშირებით, გაიზარდა სასმელი წყლის მოხმარება, რაც გამოიხატება წყლის მიწოდების სისტემატიური შეფერხებებით. საჭიროა დამატებითი 10 ტონიანი ავზის დამონტაჟება.
- სასწრაფოდ გამოსაცვლელია საწოლების მატრასები და ბალიშები. დასამატებელია თეთრეულის 30-35 ახალი კომპლექტი.
- შესაღებია ჰოლის და სასადილოს კედლები.
- ოთახებში არის ძალიან ცუდი განათება. საჭიროა ნათურების გაძლიერება. ასევე აბაზანებში შესაცვლელია არკოს ტიპის ჩამკეტები.
- უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურის ძალისხმევის მიუხედავად სტუმრების მხრიდან მაინც ისმის უკმაყოფილება, ინტერნეტის ცუდი ხარისხის გამო. (სხვა ფაქტორებთან ერთად, ხშირია პროვაიდერი კომპანიის მხრიდან შეფერხებები).
- სამზარეულოში დასამატებელია გახეხვა, ძლიერი ღუმელით. ასევე დასამატებელია ახალი ტაფები.
- შესაცვლელია საინფორმაციო აბრა ძირითად გზაზე. აბრაზე უნდა იყოს მინიშნებული სასტუმროს მომსახურება.

მიუხედავად ყველაფრისა, 2016 წლის მონაცემებით ბაზაბისა და დამხმარე ობიექტების სამსახურში სტეფანწმინდის სასტუმრო არის ძალა,

რომელიც სრულად ფარავს ყოველწლიურ ხარჯებს და გვამღევს საგრძნობ შემოსავალს.

წარმოგიდგინთ 2016 წლის ფინანსურ ანგარიშს: (არ არის შესული დეკემბრის მონაცემები)




- უნივერსიტეტის აბასთუმანის ცენტრი

2016 წელს აბასთუმნის ობსერვატორიის ტერიტორიაზე მდებარე პატარა სასტუმრომ სტუმრების მიღება დაიწყო იანვრიდან, ხოლო დიდმა სასტუმრომ აპრილიდან. მიუხედავად ამისა, პატარა სასტუმროში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. შეკეთდა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი, პირველი და მეორე სადარბაზოს სამზარეულოს იატაკები. შეიცვალა, ცხელი წყლის და გათბობის სისტემისათვის საჭირო ქვების ტენები. სისტემატიურად გვიხდება ონკანების შეცვლა, ვინაიდან ამის მიზეზი არის, როგორც ონკანების უხარისხობა, ასევე სტუმრების დაუდევრობა. მიმდინარე წელს მუშაობამ ასევე გამოავლინა რიგი საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული და გამოსწორებული მომავალ წელს, კერძოდ: პატარა სასტუმროში უნდა მოეწყოს დამლაგებლის ოთახი, სადაც დაიდგმება სამრეცხაო მანქანა და აქვე მოხდება გარეცხილი თეთრეულის გაუთავება; შესაკეთებელია სასტუმროს აივნები; ხელახლა დასაკომპლექტებელია ჭურჭელი; სამზარეულოში დასამონტაჟებელია ტელევიზორები. პატარა სასტუმროს მომხმარებლები არიან ოჯახები, რომლებიც ზავშვებისათვის ითხოვენ დამატებით გასართობ საშუალებებს და ეზოში სკამების დამატებას. დიდ სასტუმროსაც ესაჭიროება წყლის სისტემის გამართვა და საკანალიზაციო მილების განახლება. ორივე სასტუმროს სჭირდება დამატებითი თეთრეულის, პლედების და ფარდების შეძენა.

2016 წელს აბასთუმნის სასტუმროებმა საგრძნობლად გაზარდეს სტუმრების რაოდენობა. 2016 წლის ზაფხულის სეზონზე აბასთუმნის სასტუმროებმა ინდივიდუალური სტუმრების პარალელურად უმასპინძლა 11 დიდ ღონისძიებას (მონაწილეთა რაოდენობა 30-ზე მეტი; ხანგრძლივობა 3-დან 12-დღემდე) და წელს რეკორდული შემოსავლები მოუტანა უნივერსიტეტს. სამწუხაროდ, ეს ვითარება არ აისახება იქ დასაქმებულთა ანაზღაურებაზე. რამდენიმე თანამშრომელმა უარი განაცხადა მუშაობაზე, დაბალი ანაზღაურების გამო. საჭიროა, რაიმე სახის ბონუსური სისტემის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს თანამშრომლები ზედმეტი დატვირთვის შემთხვევაში წავახალისოთ. განსაკუთრებით ეს ეხება სასადილოში მომუშავეებს, ვინაიდან მათ ხშირად უხდებათ გვიანობამდე დარჩენა და უმეტეს შემთხვევაში ღამის 10-11 საათამდე მუშაობა.


წარმოგიდგინთ 2016 წლის ფინანსურ ანგარიშს: (არ არის შესული დეკემბრის მონაცემები)



- დედოფლისწყაროს სამეცნიერო ცენტრი

ტრადიციულად, დედოფლისწყაროს სამეცნიერო ცენტრი უნივერსიტეტის დაგეგმილი სკოლების ჩატარებით არის დაკავებული. უნივერსიტეტის მიერ წელს უფრო ნაკლებად დაიტვირთა დედოფლისწყაროს ბაზა (ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო უკანასკნელ მომენტში ხდებოდა გეგმების ცვლილება გასვლითი სემინარებისა თუ სკოლების ჩატარების შესახებ). წელს იყო გარე შეკვეთების ცალკეული შემთხვევები (კლიენტთა შორის იყვნენ გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“; შპს „მექანიზატორი“; შპს „ქარავანი“; ააიპ „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“; GIZ; NACRES; რამდენიმე ტურისტული კომპანია და ა.შ.), თუმცა გარე შეკვეთებით ჩამოსული სტუმრების რაოდენობაც დამოკიდებულია სეზონურობაზე. ამიტომ, დედოფლისწყაროს სამეცნიერო ცენტრის მუშაობისთვის საჭიროა მეტი ინფორმაცია ინტერნეტ სივრცეში.

წარმოგიდგენთ 2016 წლის ფინანსურ ანგარიშს: (არ არის შესული დეკემბრის მონაცემები)



- გრიგოლეთის შავი ზღვის კვლევითი ცენტრი

გრიგოლეთის შავი ზღვის კვლევითი ცენტრის შემოსავლიანი სეზონი არის მხოლოდ ზაფხულის პერიოდი. ობიექტი ძირითადად დატვირთულია უნივერსიტეტში დაგეგმილი კვლევების ჩატარების ხარჯზე. თუმცა, 2016 წელს ამ მხრივაც არ იყო დიდი მოთხოვნილება უნივერსიტეტის მკვლევარების მხრიდან.

წელს ივლისი-აგვისტოში ტურისტთა გარკვეული აქტივობა შეინიშნებოდა. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დამატებითი საინფორმაციო მუშაობის და მომსახურების ტარიფების ოპტიმიზაციის შემთხვევაში ზაფხულის სეზონზე შესაძლებელი იქნება შემოსავლების გაზრდა.

თუმცა ამისთვის უნდა მოხდეს არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება. მოსაწესრიგებელია ზღვისგან დამცავი კედელი (ძლიერი შტორმის შემთხვევაში დატბორვის საფრთხე ემუქრება ტერიტორიაზე განთავსებულ ნაგებობებს). გასაახლებელია ინტერიერი როგორც ძირითად შენობაში, ასევე ხის კოტეჯში. ანტიკოროზიული საღებავით გადასაღებია ნაგებობების რკინის ელემენტები. დიდ პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტის არ ქონა აღნიშნულ ბაზაზე (ფასის სიძვირის გამო დღემდე უარი ვთქვით ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის შეყვანაზე). მოსაძებნია რაიმე ალტერნატიული გზა თუნდაც საშუალო ხარისხის ინტერნეტის შესაყვანად.

მინიმალური დანახარჯებით შესაძლებელია შეიქმნას უკეთესი გარემო უნივერსიტეტის მკვლევარებისათვის და სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩართული არიან კვლევებში.

აღნიშნულ ბაზას ჰქონდა მცირე შემოსავლები. წარმოგიდგენთ 2016 წლის ფინანსურ სურათს:



- უნივერსიტეტის ბაკურიანის ალკური ბოტანიკური ბაღის

აღნიშნული ბაზა განთავსებულია ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, რომელიც საკმაოდ დიდია და სერიოზული ინვესტირების შემთხვევაში თითქმის მთელი წლის მანძილზე დატვირთული იქნება.

ძირითადი შენობა საჭიროებს კაპიტალურ გადაკეთებას. მოსახსნელია სახურავი, მთლიანად გადასაგეგმია შენობის ოთახები. ამჟამად მეორე სართულზე არის 10 - 2 ადგილიანი ოთახი, საერთო აბაჯანა-ტუალეტებით. აღნიშნული ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს და ამისგამო დღეს ეს ობიექტი სასტუმრო მომსახურებას არ ეწევა. მისი მთავარი დანიშნულება დრესითვის მხოლოდ მკვლევარების სავსე სამუშაოებისთვის ხელშეწყობაა.

არსებობს რამდენიმე პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს თანამდროვე სტანდარტების ბაზა ჰქონდეს ამ ტურისტული თვასაზრისით მეტად მომგებიან კურორტზე.

დღეს სასტუმროს ხარჯია კომუნალური და პერსონალის ხელფასები (წლიური 16620).

სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტის

2016 წლის ანგარიში

2016 წლის მანძილზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტის მიერ შესრულდა შემდეგი ტიპის და მოცულობის სამუშაოები:

- დაინერგა სტუდენტთა სწავლის საფასურის და საფასურიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ახალი ელექტრონული სისტემა. მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ელექტრონული ბაზა ჩაერთო რამდენიმე ბანკთან (ბაზის ბანკი, თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, ქართუ ბანკი და სხვა) საბილინგო სისტემაში, ასევე შესაძლებელი გახდა სწავლის საფასურის გადახდა სწრაფი გადახდის აპარატებით.
- 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისისთვის გაეშვა ახალი ელექტრონული სისტემა, რომელშიც განხორციელდა 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ყველა მონაცემის, როგორც ვერბალური, ასევე ფინანსური ნაწილის მექანიკური გზით გადმოტანა.
- 2016 წლის იანვრის და თებერვლის თვეებში სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტის მიერ მოხდა სწავლის საფასურთან დაკავშირებული დებიტორულ/კრედიტორული დავალიანებების დაზუსტება თითოეულ სტუდენტზე (34017 სტუდენტის, საფეხურების და პროფილების მიხედვით) 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულების და გაწეული მომსახურების მიხედვით და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტისთვის მიწოდება;
- 2016 კალენდარული წლის განმავლობაში ხარიხის განვითარების ცენტრიდან მიღებულია 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის სახელმწიფო სასწავლო გრანტების, სახელმწიფო სოციალური გრანტების, პროგრამული დაფინანსების, ვაუჩერული დაფინანსების შესახებ წერილი, თანდართული ექსელის სიებით შესამოწმებლად. შედარებული და შემოწმებულია ილიაუნის ელექტრონულ სისტემაში არსებულ მონაცემებთან და უზუსტობების შესახებ წერილები გაგზავნილია ხარიხის განვითარების ცენტრში. შემოწმებულია არსებული უზუსტობების გასწორების შესახებ ინფორმაცია.
- 2016 კალენდარულ წელში გადმორიცხვის გზით მიღებული სწავლის საფასურის შემოსავლების 8352 ორდერი შეტანილია ელექტრონულ სისტემაში;
- სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე შესრულებულია ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების 537 ოპერაცია;
- ფინანსური დავალიანების შესახებ (დიპლომის ასაღებად) შემოწმებულია 3000-ზე მეტი სტუდენტი;
- სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე გაცემულია 1482 ცალი ანგარიშგაქტურა;
- მიღებულია შესასრულებლად 2250-ზე მეტი სტუდენტური სამართლებრივი აქტი;
- შესასრულებლად მიღებულია 161 ცალი სამსახურებრივი ბარათი სტუდენტების თანხების კორექტირების და ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- შესასრულებლად მიღებულია სტუდენტების განცხადებაზე თანხმობა ჯარიმის კორექტირების შესახებ - 424 ცალი;

ილიაუნის თეატრის 2016 წლის ანგარიში

1. შესავალი

2016 წელმა ილიაუნის თეატრის ორი თეატრალური სეზონი მოიცვა:

- 2015-2016 წწ სეზონის ექვსი თვე (იანვარი–ივნისი 2016)
- და მიმდინარე 2016-2017 წწ თეატრალური სეზონის სამი თვე (ოქტომბერი– დეკემბერი 2016)

2. წარმოდგენები

2.1. ახალი სპექტაკლები

2016 წლის განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა დადგა 9

ახალი სპექტაკლი:

1. ჯოვანი ბოკაჩო „დეკამერონი“, რეჟისორი: ოთარ ეგაძე.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სადიპლომო სპექტაკლი.
2. ბრენდონ თომასის „ჩარლის დეიდა“, რეჟისორი: კახა გოგიძე. სპექტაკლი დაიდგა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური ხელშეწყობით.
3. სტუდენტური სპექტაკლი „ჩეხოვი.რეპეტიცია“, ანტონ ჩეხოვის მოთხრობების მიხედვით, რეჟისორი: გაგა გოშაძე.
სპექტაკლის პრემიერა საფრანგეთში, ქალაქ ლიმოჟში შედგა.
4. სომერსეტ მოემის „თეატრი“, რეჟისორი: გიზო ჟორდანიას, ნანუკა ხუსკივაძე. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადიპლომო სპექტაკლი.
5. უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე“, რეჟისორი: კახა შარტავა.
6. მორის მეტერლინკის „წმინდა ანტუანის სასწაული“, რეჟისორი: გაგა გოშაძე. სპექტაკლი დაიდგა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური ხელშეწყობით.
7. გიორგი ერისთავის „ძუნწი და უჩინმაჩინის ქუდი“, რეჟისორი: მაია ჩართოლანი.
სპექტაკლი თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა დააფინანსა.
8. ჟან ბატისტ-მოლიერის „ტარტიუფი“, რეჟისორი: მანანა კვიციანი. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საკურსო სპექტაკლი.
9. „მეტამორფოზები“ ოვიდიუსის მიხედვით, რეჟისორი: საბა ასლამაზიშვილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროგრამის საკურსო სპექტაკლი.

2.2. რეპერტუარი

გარდა პრემიერებისა, ილიაუნის თეატრი რეგულარულად თამაშობდა რეპერტუარით გათვალისწინებულ სხვა სპექტაკლებსაც:

- იასმინა რეზა „ჟლეტის ღმერთი“, რეჟისორი: დავით ჭაბაშვილი
- ჟან ანუი „ანტიგონე“, რეჟისორი: გაგა გოშაძე
- მარსელ კარნე „მატყუარები“, რეჟისორი: რუსუდან კობიაშვილი
- იზაბელ დორე „სეზარი და დრანა“, რეჟისორი: რუსუდან კობიაშვილი
- ჟან-ბატისტ მოლიერი „სკაპენის ოინები“, რეჟისორი: გოგა ქაჩიბაია

3. გასტროლები/ფესტივალები

2016 წლის განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა მონაწილეობა მიიღო ყველა მნიშვნელოვან თეატრალურ ღონისძიებაში საქართველოში და არა მარტო.

3.1 ლიმოჟის თეატრალური სკოლების საერთაშორისო ფესტივალი

(Le Festival l'Union des écoles de Théâtre)

საფრანგეთის თეატრალური სკოლების საერთაშორისო ფესტივალი ორგანიზებულია L'Académie de l'Union (ლიმოჟენის ეროვნული უმაღლესი თეატრალური სკოლა) მიერ ლიმოჟში, სენტ-პრისტ-ტორიონსა და მის მიმდებარე რეგიონში. ილიაუნის თეატრმა ფესტივალის ფარგლებში 16 და 17 ივნისს სპექტაკლის „ჩეხოვი.რეპეტიცია“ პრემიერა ანშლაგით ითამაშა.

3.2 ერევნის მონო სპექტაკლების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

„არმონო“

ფესტივალის „არმონო“ ერევანში 2016 წელს მეთოთხმეტედ ჩატარდა. ილიაუნის თეატრმა ფესტივალის ფარგლებში მონო სპექტაკლი „სეზარი და დრანა“ 30 აპრილს ითამაშა.

3.3 თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული ”შოუ-ქეისის” მთავარ პროგრამაში (რომელიც 2016 წელს შედგა პირველად) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპექტაკლმაც დაიკავა ადგილი:

- „ჩეხოვი.რეპეტიცია“ ანტონ ჩეხოვის მოთხრობების მიხედვით.
რეჟისორი: გაგა გოშაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი, აგრეთვე, წარმოდგენილი იყო ფესტივალის მსვლელობის დროს გამართულ ”თეატრალურ ბაზრობაზე”, რომელიც სპეციალურად უცხოური კრიტიკისთვის მოეწყო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

3.4 თეატრალური პრემია ”დურუჯი” 2015-2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა თეატრალური პრემიის ”დურუჯი 2015-2016” ჟიურის განსახილველად წარუდგინა იზაბელ დორეს „სეზარი და დრანა“, რეჟისორი: რუსუდან კობიაშვილი.

3.5 გორის კომედიის ფესტივალი 2016

გორის კომედიის ფესტივალზე ილიაუნის თეატრმა ბრენდონ თომასის „ჩარლის დეიდა“ ითამაშა. ფესტივალზე სპექტაკლი თეატრმა 22 ივნისს წარმოადგინა და სპეციალურ განხილვაზე, რომელშიც თეატრმცოდნეები იღებენ მონაწილეობას, დადებითი შეფასებები მიიღო.

ფესტივალზე Heat Batumi, რომელიც პროექტის „Check in Georgia“ ფარგლებში იმართება, ილიაუნის თეატრმა ჟან-ბატისტ მოლიერის „სკაპენის ოინები“ ითამაშა. სპექტაკლი 8 აგვისტოს, ბათუმის ბულვარში, საზაფხულო თეატრის გარე სცენაზე გაიმართა.

4. ღონისძიებები

4.1. ქართული თეატრი 2015 - პრეზენტაცია

2016 წლის მარტში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე კვლევის ცენტრმა, კვლევის - „ქართული თეატრი 2015 წელს“ პრეზენტაცია გამართა. კვლევაში, რომელსაც თანამედროვე კვლევის ცენტრი უკვე მეხუთე წელია ახორციელებს, შეფასებულია 2015 წლის ქართული თეატრის მნიშვნელოვანი მოვლენები.

4.2. „უკანასკნელი ფოთოლი“

21 იანვარს 15:00 საათზე ჩვენს სცენაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" ფარგლებში ქალაქ სამტრედიისა და ქალაქ სენაკის სკოლის მოსწავლეებმა სპექტაკლი "უკანასკნელი ფოთოლი" ითამაშეს.

4.3. ღია გაკვეთილი

7 აპრილს, 20:00 საათზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კურსის სტუდენტებმა თეატრის სცენაზე „ღია გაკვეთილი“ წარმოადგინეს, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც მათი პედაგოგები, ასევე თეატრალური ხელოვნების პროგრამის კურსადმთავრებულები და თეატრის პროფესიონალი მსახიობები.

4.4. პროექტი PlayWrite

28 აპრილს, 20:00 საათზე ილიაუნის თეატრის სცენაზე 8 აბსოლუტურად უნიკალური პიესა გათამაშდა. პროგრამა PlayWrite, საქართველოში განახორციელა ორგანიზაციამ "ფელიქსი". 10 გამოცდილ მწვრთნელთან ერთად ახალგაზრდა მონაწილეებმა პერსონაჟზე ორიენტირებული დრამატული ჩანახატები შექმნეს. პროექტში მწვრთნელებად 6 ფსიქოლოგი და 4 რეჟისორი იყო ჩართული და მათი დახმარებით ახალგაზრდა მონაწილეებმა შეძლეს 16 ერთმანეთისგან გასხვავებული პერსონაჟის და 8 აბსოლუტურად უნიკალური ამბის შექმნა, რომლებიც მაყურებელმა 28 აპრილს ილიაუნის თეატრის სცენაზე იხილა.

4.5. „ხეჩოს სიზმარი“

1 ივლისს, 20:00 საათზე ილიაუნის თეატრმა სცენა გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის დრამატულ თეატრს დაუთმო, რომელმაც წარმოადგინა სპექტაკლი „ხეჩოს სიზმარი“.

4.6. ილიაუნი 10 წლისაა

16 ივლისს, ილიაუნის თეატრმა მონაწილეობა მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც ლისის ტბაზე გაიმართა. სპექტაკლი „ბაზუას გზავნილი“ სპეციალურად უნივერსიტეტის იუბილესათვის რუსუდან კობიაშვილმა დადგა. სპექტაკლში მონაწილეობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს მოწვეულ მსახიობთან, ალექო ბეგალიშვილთან ერთად.

4.7. კვაჭი კვაჭანტირაძე

4 ნოემბერს 18:00 საათზე ილიაუნის თეატრის სცენაზე შედგა სპექტაკლის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ დახურული ჩვენება. სპექტაკლი ცხინვალის თეატრის მომავალი სარეპერტუარო სპექტაკლია, რომლის რეჟისორიც გახლავთ გოჩა კაპანაძე.

5. პროექტები თეატრის პოპულარიზაციისათვის

5.1. „ბალის“ ფასდაკლება ილიაუნის თეატრში

2016 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაახლა ხელშეკრულება კომპანია „მაგთიკომთან“ რომლის თანახმადაც „ბალის“ აბონენტები ილიაუნის თეატრის ერთი ბილეთის ყიდვის შემთხვევაში მეორეს უფასოდ იღებენ. სანაცვლოდ კომპანია „მაგთიკომმა“ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ილიაუნის თეატრის შესახებ ინფორმაცია დაგზავნა „ბალის“ ყველა აბონენტთან. კომპანიამ საგრძნობლად გაზარდა თეატრის ცნობადობა და მაცურებლის რაოდენობა წარმოდგენებზე.

5.2. ფასდაკლებები ილიაუნის თეატრში

2016 წელს ილიაუნის თეატრმა გააგრძელა სხვადასხვა ტიპის ფასდაკლებები:

- 15 და მეტი ბილეთის შეძენის შემთხვევაში მაცურებლისთვის თითო ბილეთის ღირებულება არის 5 ლარი.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ყველა სპექტაკლის ბილეთი არის მხოლოდ 3 ლარი.
- ნებისმიერი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ბილეთებზე ფასდაკლება - 50%

5.3. ილიაუნის თეატრის საინფორმაციო მხარდაჭერა

ილიაუნის თეატრის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ:

- ვიდეო პორტალი „Myvideo.ge“
- ჟურნალი „Georgia Today“
- ჟურნალი „Tbilisi Out“
- ვებ-გვერდი Feelcity.ge

თეატრის აფიშა რეგულარულად ცხადდება და თავსდება

- ყველა ქართულ რადიო ტალღაზე
- ყველა გაზეთში, რომელიც ბეჭდავს აფიშას
- საზოგადოებრივი მაუწყებლის დილის ეთერში
- ტელე იმედის დილის ეთერში
- საინფორმაციო საიტზე www.info-tbilisi.com
- სერვისებზე 09 და 08
- ბილეთების ელექტრონული გაყიდვის გვერდზე www.biletbi.ge

6. სტუდენტების დასაქმება

ამჟამად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის ტექნიკურ პერსონალს შორის უნივერსიტეტის 7 სტუდენტი და კურსდამთავრებულია (2 მოლარე, 2 სცენის მემანქანე, 2 ტექნიკური რეჟისორი და გარე ღონისძიებების კოორდინატორი).

მათ გაიარეს სპეციალური ტრენინგები და დამოუკიდებლად მუშაობენ. გარდა ამისა, თეატრმა 2016 წელს ოქტომბერში აიყვანა 7 სტაჟორი, რომლებიც ბაკალავრიატის სხვადასხვა პროგრამებზე სწავლობენ.

ილიაუნის თეატრის სპექტაკლებში ყოველთვის დაკავებულები არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროფესიული და საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის ანგარიში

ივლისი, აგვისტო და სექტემბერი უნივერსიტეტში იჭავჭავაძის გამზ. 32-ში მდებარე კორპუსებში A B C D) ჩატარდა სრული მოდერნიზაცია ვიდეო- სამეთვალყურეო სისტემის.

ოქტომბრის თვეში დაბა აბასტუმანში ასევე მოხდა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონტაჟი (შემოსასვლელი და ტერიტორია).

დიდუბის საგამოფენო ტერიტორიაზე ჩატარებულ წიგნების გამოფენა გაყიდვის ღონისძიებაზე სადაც ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა იღებდა მონაწილეობას, დაცვის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ინვენტარისა და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებისა და ბაკალავრების გამოსაშვები სადამო (ლისის ტბის ტერიტორია). სადაც უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობდა და უზრუნველყოფდა ღონისძიებაზე წესრიგის და სტუდენტების უსაფრთხოებას.

უნივერსიტეტის დაბადების დღისადმი მიძღვნილი სადამოს, რომელიც ჩატარდა ლისის ტბის ტერიტორიაზე დაცვის თანამშრომლები სამი დღე 24 საათის განმავლობაში იცავდნენ უნივერსიტეტის ინვენტარს და სტუდენტთა უსაფრთხოებას. ასევე ლისის ტბის ჩატარდა “ open air 2016” ასევე დაცვის თანამშრომლები სამი დღის განმავლობაში 24 საათი იცავდნენ უნივერსიტეტის ინვენტარის უსაფრთხოებას.

ვაკის პარკში ჩატარდა სამეცნიერო პიკნიკი. აღნიშნული ღონისძიებისთვის მიმდინარეობდა კარვების გაშლა და საჭირო ინვენტარის შეტანა. დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლები მთელი ღამის განმავლობაში უზრუნველყოფდნენ აღნიშნული ინვენტარის დაცვას. ასევე ღონისძიების განმავლობაში იცავდნენ წესრიგს და მონაწილეების უსაფრთხოებას.

უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, და არა მარტო, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობდა და უზრუნველყოფდა ღონისძიებაზე წესრიგის და სტუდენტების უსაფრთხოებას.


ასევე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იყო ხშირი შემთხვევების სტუდენტების შეუძლოდ გახდომისა და გულისწასვლის ფაქტები, სადაც დაცვის თანამშრომლებმა დროულად მოახდინეს შესაბამისი ზომების მიღება, პირველადი დახმარების გატარება და სასწაფო სამსახურის ოპერატიულად გამომახება. ასევე დაცვის თანამშრომლების მიერ მრავალჯერ იყო მოხილული ტელეფონების პოვნის და დაბრუნების ფაქტები .

კანცელარიის 2016 წლის ანგარიში

2016 წლის მანძილზე უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ შესრულდა შემდეგი ტიპისა და მოცულობის სამუშაოები:

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის # 64 დადგენილების მიხედვით, დანერგილია საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტბრუნვის პროგრამა /eDocument/ (სისტემის განახლება - 18.08.2016წ., ამჟამად 246 მომხმარებელი).

- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში /eDocument/ რეგისტრირებულია და საქმისწარმოებაში მიღებულია:



- დოკუმენტების საარქივო პროგრამაში - /Document Storage/, რომელიც მოიცავს ინფორმაციას 2015 წლის 1 ივლისამდე (eDoc. პროგრამის დანერგვა) გამოცემული სამართლებრივი აქტების შესახებ, ატვირთულია 2 372 სტუდენტური და 3 885 საკადრო კატეგორიის ბრძანება. ასევე 2016 წლის მანძილზე უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან ხელმოწერილი 51 მემორანდუმი.
- 2016 წლის განმავლობაში კანცელარიაში რედაქტირებისა და კორექტირებისათვის შემოსულია და შესწორებულია 231 სხვადასხვა სახის დოკუმენტი (წერილები, ოქმები, ვებ. გვერდზე დასაძებნი მასალა).
- წარმოებაში მიღებულია აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად წარმოდგენილი 80 საკონკურსო განაცხადი.

- რეგისტრირებულია, მონაცემთა ბაზაში ასახულია და შესაბამისი წესით დალუქულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 12 და 4 წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი.
- კანცელარიის დაქვემდებარებაში არსებული დიპლომების განყოფილების მიერ 2016 წლის მანძილზე შევსებულია 3 203 ცალი დიპლომი.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში საუტილიზაციოდ გაიგზავნა 853 ცალი დიპლომის ფორმა.
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 3 ივლისის N02-1092 ბრძანებით (ცვლილება N552-02 24.03.2016) შექმნილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების, დიპლომის დუბლიკატების ჩამოწერის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის მიერ ჩამოიწერა და განადგურდა 304 ცალი გამოყენებისათვის უვარგისი დიპლომის ფორმა.
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს ფოსტისა და საერთაშორისო ექსპრეს ფოსტის /ARAMEX/ საშუალებით განხორციელებულია:
305 გზავნილი -საქართველოს ფარგლებს შიგნით (ჯამური ღირ.- 1 106 ლარი)
166 გზავნილი -საქართველოს ფარგლებს გარეთ (ჯამური ღირ.- 13 918 ლარი)
- კანცელარიის დაქვემდებარებაში არსებული უნივერსიტეტის არქივის მიერ მომზადებულია 543 საარქივო ცნობა.
არქივის თანამშრომელთა ზედამხედველობით საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების მიერ დამუშავებულია უნივერსიტეტის არქივში დაცული ძველი წლების (2005 წლის ჩათვლით) საარქივო მასალის ნაწილი, ჯამში: ხანგრძლივი და მუდმივად შესანახი აღწერა - 18 489 საქმე, გასანადგურებელი - 7 500 საქმე.
- უნივერსიტეტის ცენტრალურ ელ-ფოსტაზე [/info@iliauni.edu.ge/](mailto:info@iliauni.edu.ge) - მიღებულია 12 901 სხვადასხვა სახის შეტყობინება, აქედან 5 399 - სტუდენტთა განცხადება და 636 - სარეკომენდაციო წერილი.
- 2016 წლის მანძილზე კანცელარიის მიერ მიღებულია 2016-2017 სასწავლო წლის მობილობის წესით საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა განაცხადები: გაზაფხულის სემესტრი -343 განაცხადი, შემოდგომის სემესტრი - 284 განაცხადი.
- კანცელარიის კუთვნილ ცხელი ხაზის ნომერზე (ოპერატორი 222 00 09) შემოსულია 45 880 სატელეფონო ზარი.

2017 წლის მარტის თვიდან იგეგმება საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების მიერ უნივერსიტეტის არქივში დაცული მასალის დასამუშავებელი სამუშაოების გაგრძელება.